სკოლაში შექმნილია ხარისხის ჯგუფი, წარმოდგენილია დებულება, რომლის მიხედვით ჯგუფმა ხელი უნდა შეუწყოს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას. ამავდროულად სკოლის სტრატეგიული გეგმით გაცხადებულია რომ სკოლა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით: ითანამშრომლებს საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან, მათ შორის კოლეჯებთან, რომლებიც სკოლის პედაგოგებს გაუწევენ კვალიფიციურ დახმარებას ტრენინგებისა და სემინარების სახით. სკოლა პერიოდულად ჩაატარებს მასწავლებელთა საქმიანობის მონიტორინგს და გააკეთებს შედეგების ანალიზს, რის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საფუძველზეც მოხდება წარმატებული მასწავლებლების წახალისება; ხელს შეუწყობს პედაგოგთა ჩართულობას კონფერენციებსა და სხვა მსგავს საგანმანათლებლო ღონისძიებებში; **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4..**სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;**

სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან შესაძლებლობის ფარგლებში ყველა პირობაა შექმნილი, რათა მოხდეს სამუშაო გარემოსთან თანამშრომლების ინტეგრაცია. საკლასო ოთახები კეთილმოწყობილია და აღჭურვილი თითოეული საგნის შესაბამისი საჭირო ინვენტარით. სასწავლო და სარეკრეაციო ზონები შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს. ამასთანავე, სკოლის შინაგანაწესში წარმოდგენილია შრომის პირობების დაცვის წესები. დაწესებულების მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრებზე ხდება ახალბედა მასწავლებლების მხარდაჭერა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.**

სკოლის შინაგანაწესში გაწერილია თანამშრომელთა წახალისების წესი. სკოლა ზრუნავს პერსონალის განვითარებაზე. უზრუნველყოფილია პერსონალის თითოეული წარმომადგენელი ინფორმაციით, რომელიც მის წარმატებას და პროფესიულ წინსვლას უწყობს ხელს. გარდა ამისა, სხვადასხვა აქტივობაში მონაწილეობიდან დაბრუნებულებს აქვთ პასუხისმგებლობა გაუზიარონ კოლეგებს მიღებული გამოცდილება, რაც სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან არის წახალისებული. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- გაკვეთილებზე დასწრების უკუკავშირი;
- კათედრის ოქმი;
- სტრატეგიული გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სკოლის შინაგანაწესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.3. პროცესის მართვა**

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;**

სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის მართვა და კონტროლი ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. კერძოდ: 1. კათედრების მიერ ხორციელდება სასწავლო პროგრამების განხორციელების შეფასება და შემდგომი გაუმჯობესება. 2.სკოლის მხრიდან, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დახმარებით ხორციელდება ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა ; 3. სკოლის მატერიალური რესურსების გაუმჯობესება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;**

საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის შინაგანაწესში. გაწერილია დირექციისა და ადმინისტრაციის ფუნქციები მართვის პროცესში. სკოლის საქმიანობის მმართველობით პროცესები აღწერილია სკოლის ადმინისტრაციულ და უმაღლესი მმართველობითი რგოლის საქმიანობაში, ხოლო ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებულია და ფუნქციურად აღწერილია სხვა სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობებში. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში იდენტიფიცირებულია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები; **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;**

გასაჩივრების პროცედურები განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესით. საჩივრების განხილვაზე უფლებამოსილი ორგანოებია სამეურვეო საბჭო და დისციპლინარული კომიტეტი. სკოლაში ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია გაასაჩივროს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებსაც საჩივრის შინაარსიდან გამომდინარე განიხილავს შესაბამისი ორგანო, მაგალითად, დისციპლინური გადაცდომების შესახებ საჩივრებს განიხილავს დისციპლინური კომიტეტი, დისციპლინური კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება სამეურვეო საბჭოში არის შესაძლებელი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.** პერსონალისა და მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები მკაფიოდაა გაწერილი შინაგანაწესსა და მასწავლებელთა შრომით ხელშეკრულებებში. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო და ასევე დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით განსაზღვრულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის შინაგანაწესი;
- რეფერირების წესი;
- დისციპლინარული კომიტეტის ოქმი;
- ხელშეკრულებები

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;**

დოკუმენტურად გაწერილი მექანიზმები, თუ როგორ ახორციელებს სკოლა მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობას, არ არის წარმოდგენილი, მასწავლებელს, მშობელსა და მოსწავლეს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში პასუხისმგებელი პირი არის დამრიგებელი. დამრიგებელს ხელშეკრულებით ევალება სასწავლო წლის დაწყებისას მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს გააცნოს შემდეგი დოკუმენტაცია: სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ქცევის კოდექსი, გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, ევაკუაციის გეგმა, საგანგებო სიტუაციების დროს სამოქმედო გეგმა და ქცევის წესები, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი; სკოლაში არსებული მოსწავლეთა ზოგადი შეფასების სისტემა; სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების შესახებ ინფორმაცია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2 **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.**

ზოგადი განათლების კანონის შესაბამისად სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, პედაგოგიური საბჭო, რომელთა ფუნქციები განსაზღვრულია კანონმდებლობით. ყველა სტრუქტურული რგოლის მუშაობის მთავარი მიზანი სკოლის მისიისა და სტრატეგიული მიზნების შესრულების ხელშეწყობაა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სკოლის შინაგანაწესი;
- დამრიგებლის შრომითი ხელშეკრულება;
- სკოლის წესდება;
- სამეურვეო საბჭოს და დისციპლინარული საბჭოს არჩევნების ოქმები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

### 3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;

სკოლის შესაძლებლობებიდან გამომდინარე უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა, სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო. სკოლას ჰყავს ექთანი. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით შენობის პირველ სართულზე ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარითა და პირველადი დახმარების საშუალებებით. სამედიცინო კაბინეტში არ არის დაცული პაციენტის გასინჯვისას პრივატულობა, რამდენადაც სამედიცინო ტახტი ხელოვნური ბარიერის საშუალებით არ არის გამოყოფილი ოთახის სხვა სივრცისგან. სკოლას ჰყავს მანდატურის სამსახურის თანამშრომლები, დარაჯები, მორიგე მასწავლებლები. სკოლის შიდა სივრცეებში და პერიმეტრზე არის ვიდეოკამერები, თუმცა წარმოდგენილი ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა ვერ უზრუნველყოფს ვერც სკოლის შიდა (კიბის უჯრედები საერთოდ არ კონტროლდება) და ვერც სკოლის გარე პერიმეტრის სრულად კონტროლს. სკოლას აქვს შემუშავებული საგანგებო სიტუაციების მართვისა, თუმცა ამ ეტაპზე არ აქვს შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას არა აქვს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა თუმცა იგი რეაბილიტირებულია. ყველა სართულზე განთავსებულია ცეცხლმაქრები. სკოლამ ვერ წარმოადგინა დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. შესაბამისობის გეგმის მიხედვით, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის ორგანოსთან განსაზღვრულია 01.09.2024 წლისთვის. შენობა-ნაგებობის მდგრადობის დასკვნა - 25.08.2024 წლისთვის, ხოლო შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისობის მიწერილობა/დასკვნის მოპოვება, შეთანხმება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან (დაფინანსების მოთხოვნა და სამუშაოების შესრულება) – 08.02.2024 წლისთვის. აქედან გამომდინარე, **ინდიკატორის მოთხოვნები მეტწილად არის დაკმაყოფილებული**

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

სკოლას- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 იანვრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" N06/ნ ბრძანების საფუძველზე შექმნილი აქვს მრჩეველთა საბჭო, რომელიც იკრიბება სემესტრში ორჯერ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განიხილავს არსებულ სიტუაციას და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს. სკოლას ჰყავს 2 მანდატური და დირექტორის ბრძანებით დანიშნული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომლებიც სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას ზრუნავენ მოსწავლეთა სკოლას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის ერთი ექთანი, რომელიც აწარმოებს ყოველდღიურ ჩანაწერებს, თუმცა არ არის წარმოდგენილი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე მონიტორინგის წარმოების ამსახველი დოკუმენტი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებულიტერიტორიებიდან დევნილთა, შრომ ის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ საფუძველზე დაყრდნობით არ არის გათვალისწინებული ე) პუნქტი <u>: სამედიცინო შემთხვევებთან დაკავშირებული მიმართვები აღრიცხოს სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალში და გაწეული სამედიცინო დახმარების შესახებ ინფორმაცია შეიტანოს სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმაში (დანართი N1.1); ( ექიმის მხრიდან წარმოებულია რვეული. ასევე არ ხორციელდება ამავე ბრძანების ს) პუნქტი, განახორციელოს წლის განმავლობაში დაგროვილი ინფორმაციის ანალიზი (სამედიცინო შემთხვევების რაოდენობა და ტიპები, პერიოდული სამედიცინო შემოწმებით გამოვლენილი განვითარების დარღვევები, სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემები და ა.შ.) და მოამზადოს საჭირო წინადადებები და რეკომენდაციები სკოლის ხელმძღვანელობისათვის წარსადგენად;</u> **<u>სკოლამ მიიღო რჩევა, რომ ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.</u>** <u>შესაბამისობის გეგმის მიხედვით წარმოდგენილი დოკუმენტაციით</u> **<u>ინდიკატორის მოთხოვნები არის დაკმაყოფილებული.</u>**

3. **<u>სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;</u>**

ფსიქო-ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით სკოლას ჰყავს სპეც-პედაგოგი. ხელშეკრულებაში გაწერილია მისი ფუნქციები. ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის პირობები ჩანს სკოლის სადამრიგებლო პროგრამით წარმოდგენილი კლასის საათის თემებში, რომლებიც მიმართულია ემოციური და სოციალური უნარების განვითარებაზე. სკოლის ინფრასტრუქტურა, კერძოდ, ეზოში მოწყობილი სპორტული მოედანი, დერეფნები ხელს უწყობს შესვენებაზე მოსწავლეების სოციალიზაციის პროცესს. რესურსოთახში სხვადასხვა პროექტის ფარგლებში წარმოდგენილი მრავალფეროვანი ნამუშევრები, იძლევა შთაბეჭდილებას რომ სასკოლო საზოგადოებას აქვს სკოლის მიმართ დადებითი, ემოციური და მიკუთვნილობის განცდა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში დასაქმებულია დამლაგებლები, რომელებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას. სასწავლო ინვენტარის (მერხები, მაგიდები, თაროები, კომპიუტერები და სხვა) გაწმენდას საწმენდი საშუალებებით. კარადების, სათავსოების, უჯრების მოწესრიგებას და ყოველდღიურად სველი წესით დამუშავებას. განსაკუთრებული კონტროლია დაწესებული სანიტარული კვანძების (ტუალეტი, ნიჟარები, უნიტაზები) სისუფთავეზე. დამლაგებლების მუშაობას ყოველდღიურ მონიტორინგს უწევს სკოლის ექთანი, თუმცა იგი ვერ დასტურდება დოკუმენტურად ჟურნალში აღრიცხვით. საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსში. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, საპონი, ნარჩენების კალათი.

5.. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

სკოლას საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე განსაზღვრული ჰყავს პასუხისმგებელი პირი, საქმეთამმართველი. მას ხელშეკრულებით ევალება სამსახურეობრივი მოვალეობის შედეგად მიღებული მოსწავლეების და თანამშრომელთა პერსონალური ინფორმაციის დაცვა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

.

6.. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

სკოლის დირექტორის განმარტებით, სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. საქმისწარმოებისა და ბუღალტრულ დოკუმენტაციაზე წვდომა აქვს მხოლოდ ხელშეკრულებით უფლებამოსილ პირებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. <u>სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.</u>

სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას, რაც დასტურდება მრჩეველთა საბჭოს ოქმით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ექთნის ხელშეკრულება;
- სპეცპედაგოგის ხელშეკრულება;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
*ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. <u>სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;</u>

სკოლა განლაგებულია 18506 კვ/მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების ფართზე. შენობის საერთო ფართია-1905,6 კვ. მ; სართულის რაოდენობა - 2 ; აშენების წელი-1977; სკოლას სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა 2019 წელს.
სკოლაში ირიცხება 106 მოსწავლე. ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია მასწავლებლის მაგიდით, მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით, სკამებით და სასკოლო დაფით. არის კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია პროექტორით და ეკრანით, ყველა მოსწავლისა და მასწავლებლისთვის ხელმისაწვდომია ინტერნეტი (არის Wi-Fi), სკოლას აქვს სხვადასხვა თვალსაჩინოებები და აუცილებელი მატერიალური საშუალებები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლას აქვს ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის და კომპიუტერული ლაბორატორია, ~ რომლებიც შეიცავს სხვდასხვა დასახელების ხელსაწყოებსა და თვალსაჩინოებებს (გრაფიკით რეგულირდება ქიმიის, ფიზიკის და ბიოლოგიის მასწავლებლების მონაცვლეობა ლაბორატორიაში); სკოლას აქვს სპორტული დარბაზი, რომელიც განთავსებულია სკოლის პირველ სართულზე (საყურადღებოა ის გარემოება, რომ სპორტულ დარბაზს არ აქვს ვენტილაცია და არც ფანჯრები იღება. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლამ მიიღო რჩევა). ასევე აქვს სკოლის ეზოში გარე სპორტული მოედანი. სკოლას აქვს სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა, რომელიც შედგება სათანადო წიგნადი ფონდისაგან. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა საგნის გრიფირებული სახელმძღვანელოების თითო ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, ინგლისურენოვანი და რუსულენოვანი წიგნები, დამხმარე სახელმძღვანელოები, პერიოდიკა და ა.შ. სკოლის შემოსასვლელში განთავსებულია პანდუსი, რაც შშმ მოსწავლეს აძლევს შენობაში შესვლისა და გადაადგილების შესაძლებლობას. პირველ სართულზე განთავსებულია სსსმ მოსწავლეთათვის რესურსოთახი, რომელიც მთლიანად ადაპტირებულია სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე და აღჭურვილია ინდ. გეგმებით განსაზღვრული გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების მისაღწევად საჭირო რესურსებით. სკოლას აქვს ადაპტირებული სველი წერტილი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;**

ინფრასტრუქტურა საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. გარე სტადიონზე და შიდა სპორტულ დარბაზში რეგულარულად ტარდება სპორტული ღონისძიებები, ლაბორატორიებში ხდება საგაკვეთილო პროცესის წარმართვა (გრაფიკით რეგულირდება ქიმიის, ფიზიკის და ბიოლოგიის მასწავლებლების მონაცვლეობა ლაბორატორიაში), ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის, ასევეა ექთნის კაბინეტი, რესურსოთახი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის ბიბლიოთეკას აქვს სამკითხველო მაგიდები, სკამები, ინტერნეტი. სკოლას აქვს დიდი დერეფნები, სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. სკოლის ერთ-ერთი შესასვლელით შეუძლია ეტლით მოსარგებლე პირს ისარგებლოს. სსსმ პირისთვის პირველ სართულზე მოწყობილია რესურსოთახი და ადაპტირებული საპირფარეშო.
**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. <u>სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;</u>

შენობის ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა სკოლა სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბდეს. დერეფნები, სკოლის ეზო, ღია და დახურული სპორტული მოედანი, კომპიუტერული ლაბორატორია და ბიბლიოთეკა ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები.
**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. <u>სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).</u>

სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები.
დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის განხორციელებისთვის (ისტ-ის მიმართულებით), მოწყობილია კომპიუტერულ კლასი, სადაც განთავსებულია პროექტორი და ინტერნეტით უზრუნველყოფილი კომპიუტერები.
ბუნებისმეტყველებისთვის-საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, შესაბამისი ლაბორატორიული აღჭურვილობით.
საბაზო და საშუალო საფეხურები: საბუნებისმეტყველო მიმართულებით ფუნქციონირებს ლაბორატორია, რომელიც განთავსებულია ცალკე საკლასო ოთახში, დგას სადემონსტრაციო მაგიდა აღჭურვილი სტემსაგნების გაკვეთილებისთვის საჭირო ინვენტარით.
სპორტის გაკვეთილებისთვის ღია და დახურული სპორტული მოედანი შესაბამისი ინვენტარით.
საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული ციფრული რესურსების განხორციელებისთვის სკოლაში არის კომპიუტერებით აღჭურვილი კომპიუტერული კლასი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამივე საფეხურის კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო წიგნადი ფონდი განთავსებულია სკოლის ბიბლიოთეკაში. შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება, სადაც გაწერილია ბიბლიოთეკაში ქცევის წესები. ბიბლიოთეკაში არის როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები ასევე მხატვრული და შემეცნებითი ლიტერატურა. შემთხვევითი პრინციპით შერჩეული სახელმძღვანელოების დათვალიერებით დგინდება, რომ წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- შენობის შიდა აზომვითი ნახაზი;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნი;
- ინვენტარიზაციის დოკუმენტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.6. საინფორმაციო რესურსები**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;**

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლას ციფრული ტრანსფორმაციის გეგმაში გათვალისწინებული აქვს მისი განახლება, რაშიც ხელს უწყობს ინფრასტრუქტურის სააგენტო. საჭიროებიდან გამომდინარე სკოლაში წამოჭრილი პრობლემას გადაჭრას, ემსახურება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის აიტი სპეციალისტი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.**

სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელშიც განთავსებულია 9 პერსონალური კომპიუტერი; გარდა ამისა, სკოლას აქვს 26 ლეპტოპი, 6 პროექტორი. კომპიუტერული ლაბორატორია უზრუნველყოფილია მუდმივი ინტერნეტით. მასწავლებლებსა და მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა მიზნობრივად იმუშაონ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ინვენტარიზაციის დოკუმენტი.

**3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად**

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. <u>სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;</u>

სკოლაში არსებობს საქმისწარმოების წესი. საქმისწარმოება მიმდინარეოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომელსაც უზრუნველყოფს საქმისმწარმოებელი. საქმისმწარმოებლის მოვალეობები რეგულირდება შრომითი ხელშეკრულებით. საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებული ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპონდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. ბრძანებები სისტემატიზებულია საკადრო და საერთო ბრძანებებად. ბრძანებები ინომრება წლიდან წლამდე, გამოცემის თარიღისა და რიგითობის მიხედვით. სკოლაში , ასევე წარმოებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი. ჟურნალები აკინძულია, ზონარგაყრილია, დანომრილი და დალუქულა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
_სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (Eflow). სკოლაში eSchool-ს სისტემის მეშვეობით ხდება ბაზაში მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის და დასაქმებული პერსონალის პერსონალური ინფორმაციის ასახვა. სკოლას აქვს ელექტრონული ფოსტა, სადაც ხდება ზოგიერთი ინფორმაციის და დოკუმენტის მიიღება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლას სრულად აქვს ასახული ინფორმაცია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. ბრძანებით გამოყოფილი ჰყავს პასუხისმგებელი პირი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. .სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.
სკოლის საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან დროულ კომუნიკაციას. დირექტორის განმარტებით, ანგარიშების წარდგენა შესაბამის სტრუქტურებთან ხდება ვადებისა და პროცედურების დაცვით, რაც დასტურდება 2022 წლის 10 დეკემბრის სამეურვეო საბჭოს ოქმით (სკოლის დირექტორის წლიური ანგარიშის წარდგენა). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სკოლის საქმის წარმოების წესი;
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
- საქმისწარმოების ჟურნალები;
- ერთიანი ელექტრონული სისტემა.

**3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას**

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1..<u>სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლას არ აქვს ვებგვერდი. სასკოლო ცხოვრების ამსახველი მასალების გასავრცელებლად სკოლა იყენებს სოციალურ ქსელს, სოციალურ ქსელში შექმნილია სხვადასხვა ე. წ დახურული ჯგუფები, რომლის საშუალებით ჯგუფის წევრებს მიეწოდებათ სხვადასხვა სახის ინფორმაცია. სკოლას დაგეგმილი აქვს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნილ პლატფორმაზე აქტიურ მუშაობას, რათა შექმნან სკოლის ვებ-გვერდი. შესაბამისობის გეგმის მიხედვით წარმოდგენილი მტკიცებულებებით, **ინდიკატორის მოთხოვნები არის დაკმაყოფილებული.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;**

სკოლას, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე განსაზღვრული ჰყავს პასუხიმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს გავრცელებული ინფორმაციის სიზუსტეს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;**

სკოლა გამოთქვამს მზაობას საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირი გამოიყენოს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; სკოლას ეძლევა რჩევა შეიმუშაოს საზოგადოებასთან ურთიერთობის/ მარეგულირებელი წესები, სადაც გამოჩნდება , თუ როგორ მოხდება შემოსული ინფორმაციის დამუშავება, შესაბამისი რეაგირება და დამუშავებული ინფორმაციის გამოყენება საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლას არ აქვს ვებგვერდი. სკოლას დაგეგმილი აქვს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნილ პლატფორმაზე აქტიური მუშაობა, რათა შექმნან სკოლის ვებ-გვერდი. შესაბამისობის გეგმის მიხედვით წარმოდგენილი მტკიცებულებებით, **ინდიკატორის მოთხოვნები არის დაკმაყოფილებული.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.**

სკოლას არ აქვს ვებგვერდი. სკოლას დაგეგმილი აქვს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნილ პლატფორმაზე აქტიურ მუშაობას, რათა შექმნან სკოლის ვებ-გვერდი. სკოლა გამოთქვამს მზაობას ვებგვერდის შექმნის შემდგომ მასზე განათავსოს ინფორმაცია სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. შესაბამისობის გეგმის მიხედვით წარმოდგენილი მტკიცებულებებით, **ინდიკატორის მოთხოვნები არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის სოციალური ქსელის მისამართი;
- 07/06/2023 წერილი MES 7 23 0000656965

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 3.7. ფინანსური რესურსები

### 3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;**

სსიპ - პროფესორ ავთანდილ პოპიაშვილის სახელობის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლაში დასტურდება, რომ სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება ხორციელდება კანონის შესაბამისად. სამეურვეო საბჭომ დეტალურად განიხილა დირექტორის მიერ შემუშავებული ბიუჯეტი და დაამტკიცა. დირექტორის განმარტებით, ბიუჯეტის შემუშავება ხდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. <u>სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.</u>

სკოლას აქვს ფინანსური რესურსების დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის სისტემა. სკოლის ბიუჯეტს შეიმუშავებს ბუღალტერი წინა წლის ბიუჯეტის ანალიზის, სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით და წარუდგენს დირექტორს. დირექტორს საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ცვლილება და მომზადებულ ბიუჯეტის გეგმის პროექტს წარუდგენს სამეურვეო საბჭოს წევრებს განსახილველად. მოწოდებული რეკომენდაციების და შენიშვნების კორექტირების შემდეგ უკვე ხდება მისი დამტკიცება სამეურვეო საბჭოზე და ფორმდება ოქმი. საჭირო ცვლილებების შეტანის შემთხვევაში კვლავ ხდება სამეურვეო საბჭოს მოწვევა და ბიუჯეტის კორექტირებული გეგმის დამტკიცება. ყოველი წლის ბოლოს სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს წლიური ბიუჯეტის ანგარიშს, სადაც ხდება სამეურვეო საბჭოს წევრებისთვის, დაგეგმილი ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯვითი ნაწილის დეტალური გაცნობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სამეურვეო საბჭოს ოქმი -25 დეკემბერი ოქმი N 7,ბრძანება N2-201, N2-202

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

# 4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

## 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

### 4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;

სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას და გარანტიებს უზრუნველყოფს სკოლის შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები, მასწავლებელთა და მოსწავლეთა ეთიკის კოდექსი, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის წესი და პირობები . შინაგანაწესი ასევე ითვალისწინებს სკოლის მანდატურის მიერ შედგენილი დარღვევის აღრიცხვის ფურცელზე რეაგირების ვადებს და პირობებს, მოსწავლის დისციპლინასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირებას, მოსწავლის წახალისების ფორმებს და მის გამოყენების წესს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2 **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;**

სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, ხოლო დამრიგებლების ფუნქციებში გაწერილია შინაგანაწესის გაცნობის ვალდებულება მოსწავლეთათვის. შექმნილია დისციპლინური კომიტეტის დებულება. აქედან გამომდინარე მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან; **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3.**მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.**

მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია ორივე მხარის ინტერესები, ასევე პერსონალური მონაცემების დაცვისა და გამოყენების პირობა . ორივე მხარის შეთანხმების შემდეგ მოხდება დოკუმენტზე ხელის მოწერა. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის საინფორმაციო დაფაზე გამოკრული შინაგანაწესი;
- დამრიგებლის ფუნქციები;
- გაფორმებული ხელშეკრულებები.

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.. <u>სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;</u>

სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა განსაზღვრავს მოსწავლის საფეხურის დაძლევის მობილობის შემთხვევაში განსხვავებული საგნების სწავლების საკითხებს, სკოლის წარმომადგენლების განმარტებით მოსწავლეთა სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვის, მობილობის და სხვ. პროცედურებისთვის ხელმძღვანელობს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურებით, კერძოდ: სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვას, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესებსა და პირობებს სკოლა განსაზღვრავს ბრძანება N04/ნ -ით, ხოლო ესგ მუხლი 35 ის მიხედვით კი კლასისა და საფეხურის დაძლევის პირობებს. ასევე არეგულირებს მოსწავლეთა მობილობას. საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N16/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების. სკოლას გაწერილი აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმი“ რომლის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასების/გადაფასების და შესაბამისი დასკვნის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შედგენის მიზნით, სკოლა მიმართავს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინურ გუნდს. ზემოთ აღნიშნულის შესახებ სკოლა ინფორმაციას აძლევს მშობელს მშობელთა კრებებზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;**

დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებების გადამოწმების შედეგად დასტურდება, რომ მოსწავლეების ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის" მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ხოლო კლასისა და საფეხურის დაძლევის ბრძანებები ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ეროვნული სასწავლო გეგმის" 35-ე მუხლის მე-4 პუნქტს. ზემოთქმულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესებს.
**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;**

სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია დამრიგებლის ფუნქციები, სადაც ერთ-ერთ ვალდებულებად გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმის, შინაგანაწესის და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტების გაცნობა მოსწავლეებისა და მათი კანონიერი წარმომადგენლებისთვის. სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს დამატებით სერვისებს, კერძოდ მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით იგეგმება კლუბების შექმნა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის პერსონალი და მასწავლებლები, პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაციის გავრცელებისას, ხელმძღვანელობენ კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული დოკუმენტებით. სკოლის დირექცია უზრუნველყოფს ყველა თანამშრომლის ინფორმირებას საგანმანათლებლო სიახლეების, აქტივობებისა და რესურსების შესახებ, სკოლის პერსონალის მიერ ინფორმაცია აქტივობების შესახებ ვრცელდება სატელეფონო კავშირის, ინდივიდუალური შეხვედრების, სოციალური ქსელის და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, კანონმდებლობის დაცვით. მომავალში იგეგმება ინფორმაციის მიწოდება სკოლის ვებგვერდითაც. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- გამოცემული ბრძანებებით მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

#### 4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. <u>სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;</u>

სკოლას არ აქვს გაწერილი მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი. თუმცა ინტერვიუს პროცესში მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ აცხადებენ მზაობას ხელი შეუწყონ მოსწავლეს სასკოლო და სასწავლო გარემოში ადაპტირებაში. კლასის ხელმძღვანელებს ფუნქციებში გაწერილი აქვთ ზრუნვა მოსწავლეთა წამოჭრილ საჭიროებებზე და მხარდაჭერა. შესაბამისობის გეგმის მიხედვით წარმოდგენილი დოკუმენტაციით, **ინდიკატორის მოთხოვნები არის დაკმაყოფილებული.**

2. <u>სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;</u>

სკოლის დირექტორის განმარტებით, სკოლა უზრუნველყოფს სამომავლოდ მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან, რისთვისაც არსებობს სკოლაში რესურსოთახი და შესაბამისი დამხმარე სპეციალისტები. კლასის ხელმძღვანელებს ფუნქციებში გაწერილი აქვთ ზრუნვა მოსწავლეთა წამოჭრილ საჭიროებებზე და მხარდაჭერა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. <u>მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;</u>
სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების მიხედვით სკოლა მზადაა სათანადო კონსულტირება გაუწიოს მოსწავლეს მისი მიღწევების გასაუმჯობესებლად, რისთვისაც გამოიყენებს მოსწავლეთა თვითშეფასების ინსტრუმენტებს და რემედიაციულ პროცესებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. <u>სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;</u>
სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების მიხედვით, სკოლა აცხადებს მზაობას გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში გაუწიოს მოსწავლეს ადმინისტრაციული მხარდაჭერა კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. <u>სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;</u>
სკოლის მიერ განხორციელებული აქტივობების გათვალისწინებით თუ ვიმსჯელებთ, სკოლას აქვს მზაობა, მომავალშიც მხარი დაუჭიროს და კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისება და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. <u>მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.</u>
სკოლის დირექტორის განმარტებით, შესაბამისი კითხვარებით მოხდება სამომავლოდ ინფორმაციის დადგენა და უკუკავშირის მიღება, რომლის მიხედვით სკოლა გააუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა.

**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. <u>კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;</u>

სკოლას წინა წლებში ჰქონდა პროფორიენტაციის გაკვეთილები, ახორციელებდა ვიზიტებს სასწავლო დაწესებულებასა და ორგანიზაციებში აქტივობები შეწყვეტილი იყო პანდემიის გამო. სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი კოლეჯთან „აისი“. გეგმავს სამომავლოდ კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობა გაზარდოს, შიდა და გასვლითი ღონისძიებებით. ინტერვიუს პროცესში დირექტორმა აღნიშნა, რომ დადგენილი იქნება ინტერესის სფეროები, მოწვეული იქნებიან შესაბამისი სპეციალობის და კვალიფიკაციის ადამიანები, მოხდება პროფესიებზე საუბრები და სხვადასხვა შეხვედრა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. <u>სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლა გამოხატავს მზაობას, რომ მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს კვლავაც რეგულარულად მიაწვდის განახლებულ და სანდო ინფორმაციას (მათ შორის ინტერნეტით) ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. მოსწავლეებს ხშირად ურიგებენ სასწავლებლებიდან მოწოდებულ ფლაერებს ინფორმაციის გასაცნობად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3.**<u>სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.</u>**

სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასებას, მათ შორის მოსწავლეებიგან უკუკავშირით (მაგალითად, ტრანსპორტის მომსახურება). ამასთანავე, აგროვებენ ინფორმაციას ყოფილი მოსწავლეებისგან, ამ პროცესში მათი შეხედულებების გამოყენების მიზნით. სასკოლო სასწავლო გეგმაში არ არის ამ ეტაპზე გათვალისწინებული დამატებითი სერვისები, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- მემორანდუმი კოლეჯთან „აისი“

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.**სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;**

სკოლას, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები, რომელიც შესაბამისობაშია ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N16/ნ ბრძანებასთან. სკოლაში დასაქმებულია სპეციალური მასწავლებელი, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს მასწავლებლებთან ინდგეგმების შემუშავებასა და განხორციელებაზე. შექმნილია ინკლუზიური განათლების დანერგვის მონიტორინგის ჯგუფი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2.**სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.**

სკოლას აქვს რესურსოთახი, შესაბამისი რესურსებით, ჰყავს სპეციალური მასწავლებელი.
სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ისგ ჯგუფის ფორმირება. ისგ ჯგუფის მუშაობა ეფუძნება მასწავლებელთა და მშობლის ერთობლივ საქმიანობას. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლეთა სირთულის პირველადი მართვის მექანიზმები, რომელიც ასევე მასწავლებელთა მხრიდან მოსწავლის სირთულის ერთობლივად დაძლევაზეა დაფუძნებული. სისტემატიურად ტარდება ინკლუზიური განათლების ცნობიერების ამაღლების კამპანიები, შეხვედრები როგორც მოსწავლეებთან, ასევე მშობლებთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანება
- ისგ ჯგუფის სხდომის ოქმები
- ინდ. გეგმის შემუშავების ჩარჩო დოკუმენტი;
- ფოტომასალა
- რესურსოთახი შესაბამისი რესურსებით;
- სპეციალურ მასწავლებელთან დადებული შრომითი ხელშეკრულება;

**4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო მომსახურება ტრანსპორტირების სერვისი ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების საფუძველზე. დეტალურად არის ასახული მარშრუტი, გაჩერებები, მოსწავლეთა რაოდენობა კლასების მიხედვით. ძირითადად ემსახურებიან სსსმ მოსწავლეებს. გაფორმებულია მძღოლის ხელშეკრულება ტრანსპორტის დეპარტამენტთან. განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი, ვინც უწევს მომსახურების შემოწმებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას; ამ პირობების დაცვით სკოლაში გახსნილია ცეკვის წრე. შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან, გაფორმებულია ხელშეკრულებები როგორც მომსახურების გამწევთან, ასევე მიმღებთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით სასკოლო ექსკურსიებზე დადის სკოლის ექთანი, ხოლო მძღოლს, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა უსაფრთხო გადაადგილებას, აქვს მართვის მოწმობა, ნარკოლოგიური ცნობა და ტრანსპორტის გამართულობის დამადასტურებელი დოკუმენტი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამაში ჩართვის დოკუმენტაცია;
- ტრანსპორტის ტაბელის ფორმა;
- ცეკვის მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

# ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

## I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საფეხური
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

დაწყებით საფეხურზე კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია მიემართება მოსწავლეთა ინტერესებს და შესაძლებლობებს. მასში გათვალისიწნებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და წინა სასწავლო წლის კურიკულუმის ანალიზი. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ კურიკულუმს შეიმუშავებენ თანამშრომლობით. მათი პროცესში ისინი ითვალისწინებენ როგორც საგნობრივი კათედრის წევრების, ასევე სხვა კათედრების მოსაზრებებსა და გამოცდილებას. ასევე, ცდილობენ კურიკულუმების შემუშავების პროცესში აქტიურად ჩართონ მოსწავლეთა მშობლებიც, რომლებთან ერთადაც პერიოდულად განიხილავენ აქტუალურ და პრობლემურ საკითხებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება კონკრეტული გამოცდილების, ინეტერესებისა და ხასიათის მქონე ინდივიდად, რომელიც თავად არის საკუთარი ცოდნის მწარმოებელი და სწავლის პროცესის წარმმართველი. სიღრმისეული სწვალის უზრუნველყოფა ხორციელდება სწავლების კონსტრუქტივისტული ფილოსოფიით, კერძოდ, კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნა, სასწავლო მასალის ეტაპობრივად მიწოდება, ახალი საკითხების, ცნებების საფუძვლიანად და განსხვავებულ კონტექსტებში განხილვა, საგანთაშორისი კავშირების გამოვლენა და საერთო ასპექტების დამუშავება.

**სკოლას მიეცა რჩევა, სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინების მიზნით, კითხვარების საშუალებით ჩაატაროს მოსწავლეთა, მშობლებისა და მასწავლებლების გამოკითხვა. ასევე, სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს სასკოლო სასწავლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი**

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;**

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე კათედრები კურიკულუმის შედგენისას ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, საჭიროებებსა და ასაკობრივ თავისებურებებს. მასწავლებლები იაზრებენ, რომ მოსწავლე სასწავლო პროცესის მთავარი სუბიექტია და მისი ჩართულობა კურიკულუმში კარგად დაგეგმილი სასწავლო პროცესის წინაპირობაა.

კომპლექსური დავალებების იდეებში, სადამრიგებლო პროგრამებში წარმოდგენილ თემებში იკითხება მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმს შეიმუშავებენ თანამშრომლობით, სასკოლო საზოგადოების წევრთა გამოკითხვა-ანალიზისა და გამოცდილების გაზიარების საფუძველზე. ამ პროცესს ხელს უწყობს წინასწარ დაგეგმილი შეხვედრები კათედრის წევრებთან და მშობლებთან. კომპლექსური დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა სწავლისა და პიროვნული ზრდის მხარდაჭერისთვის.

მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებას ადასტურებს ასევე მასწავლებელთა მიერ ინტერვიუს დროს მოწოდებული ინფორმაცია სკოლის ბაზაზე ჩატარებული პერიოდული გამოკითხვებისა და პროცესების მოკვლევის შესახებ, რომლის საფუძველზეც ხდება სკოლა ახდენს მშობელთა და მოსწავლეთა უკუკავშირის ანალიზს. მათი ინიციატივით სკოლაში ტარდება სხვადასხვა საგანმანათლებლო, სოციალური და კულტურული ღონისძიებები. შექმნილია ასევე კლუბები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თვითშეფასების კითხვარის მიხედვით, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის შემუშავების პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ მშობელთა სურვილს. მაგალითად, მშობლებმა გამოთქვეს სურვილი, რომ სასწავლო პროცესში მეტი აქცენტი გაკეთებულიყო კეთებით სწავლებაზე, ან ,,ყიდვა-გაყიდვაზე", რაც გათვალისწინებულ იქნა კურიკულუმების შემუშავებისას.

დაწყებით საფეხურზე კათედრების მიერ კურიკულუმებში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და პრიორიტეტები. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები შემუშავებულია კათედრების ერთობლივი მუშაობის საფუძველზე. პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ თანამშრომლობითი კულტურა მათი ძლიერი მხარეა. ისინი კომპლექსურ დავალებებსა თუ სხვადასხვა აქტივობებს სწორედ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გეგმავენ. მასწავლებლები კურიკულუმების შემუშავებისას ეყრდნობიან წინარე გამოცდილებას, ითვალისწინებენ მშობელთა უკუკავშირსა და მოსწავლეთა შედეგების ანალიზს. კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები, ინტერესის სფერო და ისეა გაწერილი კომპლექსური დავალებების გრძელვადიანი მიზნები.

დაწყებით საფეხურზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ კომპლექსური დავალებების დაგეგმვისას გათვალისწინებულია გასული სასწავლო წლის დროს განხორციელებლი კომპლექსური დავალებების შესრულებისას შექმნილი მოსწავლეთა პროდუქტები, გასიტყვება, მოსწავლეთა უკუკავშირი, რა გაუადვილდათ და გაუჭირდათ , და რატომ? მაგ. კომპლექსური დავალება ,, მზის სისტემა", ,, მცენარის სასიცოცხლო ციკლი". გამომდინარე იქიდან, რომ მოსწავლეებს მოსწონთ მოდელების გაკეთება, მასწავლებლებმა მომავალი წლის კურიკულუმში შეიტანეს აღნიშნული კომპლექსური დავალებები მოდიფიცირებული სახით.

საგნობრივ კათედრებზე ასევე ხდება განხორციელებული კურიკულუმის ანალიზი და ჩატარებული კომპლექსური დავალებების რეფლექსია. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს მონიტორინგის სრულყოფილი დოკუმენტის შექმნას და მეთოდოლოგიის დახვეწას.

**სკოლას მიეცა რჩევა, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესებში სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების აქტიურად ჩასართავად დაგეგმოს დამატებითი აქტივობები.**

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტაციის გაცნობისა და მასწავლებელთან ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა, რომ სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი ელექტრონული საკომუნიკაციო არხები: ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, სოციალური მედია და ა.შ.

პედაგოგების განცხადებით, ისინი შემუშავებულ კურიკულუმებს უზიარებენ როგორც კათედრებს, ასევე, შეძლებისდაგვარად მშობლებსაც, საინფორმაციო შეხვედრების სახით(ზეპირსიტყვიერად). გარდა ამისა, მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდების ერთ-ერთ მექნიზმად ასახელებენ მშობლებისთვის ბარათების გაგზავნას, რომლებშიც მოცემულია ინფორმაცია სავალდებულო თემების, დაგეგმილი კომპლექსური დავალებების და შეფასების კრიტერიუმების შესახებ. სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის სკოლა ასევე იყენებენ ინდივიდუალურ შეხვედრებს, მშობელთა კრებებსა და სოციალურ მედიას. მიღებულ უკუკავშირს კათედრის წევრები ითვალისწიენებენ კურიკულუმზე მუშაობის დროს. გასათვალისწინებელია ასევე, რომ სკოლას წინა წლების საგნობრივი კურიკულუმები ატვირთული აქვს სისტემაში, რომელზეც წვდომა აქვს ყველა მასწავლებელს.

მომავალი წლიდან სკოლა გეგმავს ვებ გვერდის შექმნას, სადაც განათავსებს სასკოლო ცხოვრების ყველა დეტალს და საჯარო ინფორმაციას. ასევე, გეგმავენ სხვადასხვა საშუალებების(სოციალური მედიის, ელ. ფოსტის, ბეჭდვითი მასალების, საჯარო ღონისძიებების) გამოყენებას. რაც სასკოლო საზოგადოების კიდევ უფრო მეტ ჩართულობას უზრუნველყოფს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწყებითი კლასების კათედრის სხდომის ოქმი N1;
- 2022- 23 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- 2022-29 წლის სტრატეგიული გეგმა;
- მასწავლებელთან ინტერვიუ;
- თვითშეფასების კითხვარი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საგნობრივი კურიკულუმები
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

**2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. შემუშავებული კურიკულუმები ძირითადად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმის ჩარჩოს გაცნობისა და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ დაწყებით საფეხურზე მასწავლებლებს აქვთ მზაობა დაგეგმონ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. დაწყებით საფეხურზე უცხოური ენების (რუსული, ინგლისური) კურიკულუმები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე - სამიზნე ცნებებზე. კურიკულუმის შემუშავებისას კათედრა ითვალისწინებს წინა წლების შედეგების ანალიზს, შემუშავებულ რეკომენდაციებს და პრობლემების გადაჭრის გზებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფიზიკური აღზრდის კათედრის მიერ დაწყებით საფეხურის 1-6 კლასის კურიკულუმებში, გაწერილია სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი კომლექსური დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკური განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლის და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე.
დაწყებით საფეხურზე სკოლას აქვს სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული შეფასების ინსტრუმენტებისა და კომპლექსური დავალებების ბარათის შემუშვებისა და გამოყენების პრაქტიკა. მნიშვნელოვანია ის, რომ სკოლა გეგმავს მოსწავლეზე ორიენტირების პროცესისათვის გრძელვადიანი მიზნების მიღწევის გზა შუალედური მიზნებით ისე იყოს დაფარული, რომ სწავლა–სწავლების პროცესში ხორციელდებოდეს კომპლექსური დავალებების შესრულება. ამ თვალსაზრისით კათედრებზე არსებობს რა კომპლექსური დავალებების სწავლების კარგი პრაქტიკული გამოცდილება, კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეების რაოდენობიდან მკაფიო ხდება, რომ იგეგმება კომპლექსურის დანერგვა თითოეულ კლასში. მასწავლებლებთან ინტერვიუსას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე დაგეგმილი კომპლექსურებით უზრუნველყოფენ თემატური ბლოკის/თემის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნების დაფარვას საგნებში.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ( 1-4 კლასები) ნაკლებად ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზა, თუმცა თვითსაფასების კითხვარში იკითხება და ასევე მასწავლებლეთან საუბრის დროსაც გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ყურადღებით ეკიდებიან თითოეულ მოსწავლეს, მით უფრო, რომ კლასები მცირერიცხოვანია. მათ გააზრებული აქვთ მე-3 თაობის ესგ-ს გამოწვევები და ცდილლობენ ეტაპობრივად დანერგონ კომპლექსური დავალებები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

დაწყებითი საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, გლობალურ უნარებს და მაკრო ცნებებს. მასწავლებელთა მიერ შერჩეულია მიზნების შესაბამისი საკითხები. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, იცნობენ და კურიკულუმების შემუშავებისას იყენებენ საგნობრივ სტანდარტს.
კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები და სასაწავლო პროექტები ხელს უწყობს მოსწავლეებს, რომ ინტეგრირებულად და მიზნობრივად გამოიყენონ საკუთარი გამოცდილება ახალი ცოდნის და გლობალურ-ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, ეთიკა, პასუხისმგებლობა) გასავითარებლად,
სახვით და გამოყენებითი ხელოვნების ზოგიერთი კლასის კურიკულუმში ზემოთ აღნიშნული სტანდარტთან შესაბამისობაში მცირედი უზუსტობაა, თუმცა კურიკულუმის სტრუქტურული ერთეულები სრულად არის გააზრებული. დაწყებითი საფეხურის ორივე საგნის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურიკულუმებით დასტურდება რომ, სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალება განიხილება, როგორც შუალედური სასწავლო მიზანი, კათედრას საგნის სწავლება დაგეგმილი აქვს სტანდარტის გრძელვადიანი მიზნების საფუძველზე და თემის ფარგლებში ახორციელებს კომპლექსურ დავალებებს.
ინტერვიუს პროცესში და გადმოგზავნილი დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ კომპლექსურ დავალებებთან ერთად ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირებით სკოლაში ხორციელდება მრავალფეროვანი პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები, სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურებასაც. პედაგოგებს გააზრებული აქვთ, რომ კომპლექსური ბუნების დავალებები ხელს უწმობს მოსწავლეებს იაზროვნონ კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას პრობლემის გადაჭრას მიუდგნენ შემოქმედებითად და გუნდური მუშაობის დროს ჩამოუყალიბდეთ თანამშრომლობითი უნარები.
**სკოლას მიეცა რჩევა,** რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმებში დაემატოს სტანდარტით გათალისწინებული ყველა სამიზნე ცნება/ქვეცნება, რათა ორიენტირება მოხდეს გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვროს საფეხურის/მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე, კურიკულუმის ჩარჩოებში შეტანილ იქნას და დაზუსტდეს კონტექსტ მაგალითები, დაემატოს მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსები. შესაბამისად, ფორმულირდეს დავალების იდეა.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ ახალი სასწავლი წლისთვის შექმნილი კურიკულუმის ჩარჩოები დაწყებით საფეხურზე (1-6 კლასები) უფრო სპონტანურია, ვიდრე კარგად გააზრებული; შესაბამისად, **სკოლას მიეცა რჩევა - დახვეწონ სტანდარტის შესაბამისად ბუნებისმეტყველების კურიკულუმები და სრული სახით (რესურსებით გაწერილი) შეიმუშავონ ახალი სასწავლო წლისთვის.**
სკოლას აქვს მზაობა დახვეწოს დაწყებით საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოებში არსებული ცალკეული კომპონენტები.
აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია და წარიმართება მოსწავლის ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობების და საჭიროებების გათვალისწინებით. ეს დასტურდება როგორც ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით, რომლებშიც განსაზღვრულია გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები, ასევე კომპლექსური ბუნების დავალებებით, რომლებიც ისეა მორგებული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე, რომ მოსწავლემ შეძლოს გამოავლინოს მისი სასწავლო თუ პიროვნული პოტენციალი.
წარმოდგენილ კურიკულუმებში კარგად ჩანს, რომ სამიზნე ცნებაზე მუშაობისას მოსწავლეს აქვს არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა (ქვეცნებების საფუძველზე), საბოლოო პროდუქტიც მრავალფეროვანია. ამ მსჯელობას ამყარებს კათედრებთან ინტერვიუს დროს მასწავლებელთა მიერ სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის პროცესისა და მოსწავლეების მიღწევების აღწერა. მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში, სხვადასხვა აქტივობების დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, საჭიროებებს და იმის მიხედვით ახდენენ დავალების პირობის, აქტივობების მოდიფიცირებასა და დიფერენცირებას. მათ ნარატივს ადასტურებს ნიმუშის სახით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოცემული მოდიფიცირებული დავალება (ინდ.გეგმა 3). პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სკოლა გეგმავს სხვადასხვა აქტივობებს მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის მიზნით და შედეგებიდან გამომდინარე კურიკულუმის მოდიფიცირებას.
დაწყებით საფეხურზე კათედრებს აქვთ მზაობა, გაამახვილონ ყურადღება და გაითვალისწინონ 2023-24 წლის კურიკულუმში დიფერენცირებული სწავლების პრინციპები. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ვლინდება, რომ დაწყებით საფეხურზე, მასწავლებლები იყენებენ განმსაზღვრელი ( V-VI კლასები ) და განმავითარებელი (I-VI კლასები ) შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტს. შეფასება ემსახურება სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას, პრობლემების იდენტიფიცირებას და მიღწევების შეფასებას. კათედრებს წარმოდგენილი აქვთ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. კათედრებს გააზრებული აქვთ განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის სრულყოფისთვის.
დაწყებით საფეხურზე სკოლამ წარმოადგინა შეფასების რამდენიმე რუბრიკა, რომელიც ეყრდნობა სტანდარტით გათვალისწინებულ ინდიკატორებს. ასევე, კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებს აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომლის კრიტერიუმები გრძელვადიანი მიზნების - სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენებიდან გამომდინარეობს. მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სკოლას აქვს მზაობა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება წარმართოს სამიზნე ცნებებზე დაფუძნებით.
დაწყებით საფეხურზე ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმები, რომლებშიც გაწერილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები. რუბრიკები კომპლექსური და შემაჯამებელი დავალების, გაკვეთილის, მოსწავლის თვითშეფასება, მრავალმხრივია და ვალიდურია, რაცსაშუალებას იძლევა მოსწავლეების ცოდნა შეფასდეს ობიექტურად.
ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ შექმნილი შეფასების რუბრიკების საფუძველზე ჩანს, რომ შეფასება მკაფიო, ცალსახად გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაფუძნებით მიმდინარეობს. განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასება ხორციელდება როგორც რუბრიკებით, ასევე განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებით. მაგალითისათვის მოსწვალის შეფასების მექანიზმად სკოლას წარმოდგენილი აქვს „სამიზნე ცნებებზე ორიენტირებულ განმავითარებელი შეფასების"რუბრიკა და „სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკა", რომლებიც წარმოადგენენ სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების იდეები, ბუნებრივად გულისხმობს და შეიცავს შეფასების კრიტერიუმებს, რაც მომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან და ფარავს მას. აღნიშნული შეფასების კრიტერიუმები სკოლას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველყოფს კურიკულუმის განხორციელებისას ეფექტურად მიმართოს განმავითარებელ შეფასებას. წარმოდგენილი დოკუმენტებისა დამასწავლებლებთან ინტერვიურების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კათედრას აქვს მზაობა შეფასება, როგორც სწავლის პროცესის გაუმჯობესების საშუალებად მოიაზრონ, მიზანმიმართულად გამოიყენონ უშუალოდ სწავლის პროცესში და მოახდინონ მოსწავლეების მიღწევების შეფასება.
თუმცა, დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი რუბრიკების გარკვეული ნაწილი არის ზოგადი ხასიათის და საჭიროებს დახვეწას. ამიტომ, სკოლას მიეცა რამდენიმე რჩევა. კერძოდ, დაიხვეწოს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, შეფასება გაიწეროს თემების მიხედვით, რომელიც მიმართული იქნება სამიზნე ცნებებსა და მათთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებისაკენ. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შემუშავებისას გამოიყენონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მეთოდიკური ორიენტირები, თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები. ასევე, სამომავლოდ შეფასების რუბრიკები ჩაიშალოს თემების მიხედვით.
დაწყებით საფეხურზე მასწავლებლები გეგმავენ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე იმუშაონ ამ მიმართულებით. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებისა და მასწავლებლებთან ინტერვიუზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და
მეთოდიკურ ორიენტირებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან( ძველი და ახალი კურიკულუმის ჩარჩო) და კათედრის წევრებთან საუბრიდან იკვეთება, რომ კურიკულუმის დაგეგმვისას გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. მასწავლებლებმა გაითვალისწინეს ის საჭიროებები, რომელიც გამოიკვეთა წინა წლებში შემუშავებული კურიკულუმის და შეთავაზებული კომპლექსური დავალებების დანრგვის პროცესში. მათ ყურადღება გაამახვილეს ასევე ურთიერთდასწრებაზეც, რაც ეხმარებოდათ სწავლა-სწავლების ძლიერი და გასაუმჯობესებლი მხარეების გამოკვეთაში.
მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი აქტიურად არ იყვნენ ჩართულები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში. აქედან გამომდინარე, აკვირდებიან მოსწავლეთა სასწავლო პროცესსა და მიღწეულ შედეგებს, ეს კი საშუალებას აძლევს მათ მიღებულ გამოცდილებაზე/მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე/საჭიროებებსა და ინტერესებზე დაყრდნობით, დაგეგმონ სასწავლო პროცესი.
მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ასევე აღნიშნეს, რომ სასკოლო კურიკულუმის და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას და გამოწვევებს. წინარე გამოცდილების გათვალისწინებით დგება გადამუშავებული/რევიზირებული კურიკულუმი.
ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლა დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წინარე გამოცდილების ანალიზს. შესაბამისად **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
- სოლო ტაქსონომიის ნიმუშები
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- სასკოლო პროექტები -დავიცვათ და გავუფრთხილდეთ ჩვენს კუტურულ მემკვიდრეობას
- სადამრიგებლო პროგრამა - მე-6 კლასი
- დაწყებითი კლასების კათედრის სხდომის ოქმი N1
- ინდ. გეგმები
- მოდიფიცირებული კომპლექსური დავალებები უცხო ენებში
- შეფასების რუბრიკები
- მასწავლებლებთან ინტერვიუ

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## 2.2 კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩო დოკუმენტში გაწერილი კომპლექსური დავალებები, მათი კონტექსტ-მაგალითები და რესურსები აძლევს მოსწავლეს საშუალებას ჩაერთოს აქტიურ შემოქმედებით პროცესში. წარმოდგენილ კომპლექსური დავალებების პირობებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეს აძლევს საშუალებას, იყოს არა მხოლოდ პროცესის მონაწილე, არამედ შემოქმედიც, რადგან კომპლექსური დავალების ფარგლებში მას უწევს პრობლემის გადაჭრა, ფიქრი, მსჯელობა და სხვადასხვა ტიპის პროდუქტის შექმნა.
გარდა კომპლექსური ტიპის დავალებებისა, მოსწავლეების აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის მიზნით სკოლაში ხორციელდება სასკოლო პროექტები, სპორტული ღონისძიებები, ფესტივალები, სადაც ჩართულია ყველა მოსწავლე და ინფორმირებული არიან მოსწავლეთა მშობლები. კათედრებთან ინტერვიუს დროს, მასწავლებლებმა იმსჯელეს კონკრეტულ მაგალითებზე (პროექტები (სოციალური/ სასწავლო/ ინტეგრირებული), აქტივობები).
მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა მოსწავლის მაღალი ავტონომიურობა და ჩართულობა. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სამომავლოდ სკოლა გეგმავს თვითმმართველობის ინიციატივების წახალისებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასწავლებელთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიებში სწავლა-სწავლების პროცესის დროს გამოყენებული აქტივობები, დავალებები და რესურსები მიმართულია მოსწავლეთა შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების განვითარებისკენ. ახალი ცოდნის გადაცემა ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით (კონსტრუქტივიზმი). დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთათვის შექმნილი კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურად ჩართვას სასწავლო პროცესში, საინტერესო ციფრული პროდუქტების შექმნას, კომპლექსური-სააზროვნო და შემოქმედებითი უნარების განივითარეს. მასწავლებელმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ მოსწავლეები აქტიურად იყენებენ ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს სხვადასხვა საგანში განსხვავებული ტიპის პრობლემების გადაჭრისა და მრავალფეროვანი პროდუქტის შექმნისთვის. აგრეთვე, სასკოლო პროექტებში, კონფერენციების დაგეგმვა-ჩატარებისას და საწრეო მუშაობებში მონაწილეობისას. ამას მოწმობს სკოლაში წარმოდგენილი მოსწავლეთა მიერ შესრულებული ციფრული ნამუშევრები, მოსწავლეთა და მასწავლებლეთა პორტფოლიო, სხვადასხვა ციფრული აქტივობის ამსახველი მასალები.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სასკოლო და საკლასო გარემო არის ძალიან ხალისიანი, პოზიტიური, მოწესრიგებული, სასწავლო რესურსებით მდიდარი, რაც ქმნის მამოტივირებელ გარემოს, რომელსაც კარგად იყენებენ მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციისა და პიროვნული განვითარებისთვის. ამას მოწმობს მოსწავლეთა ნამუშევრებიც.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში გათვალისწინებულია სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპები, რომელიც გულისხმობს ახალი ცოდნის აგებას წინარე ცოდნაზე დაშენებით. კურიკულუმებში შემოთავაზებულ კომპლექსურ დავალებებში და სასწავლო პროექტებში, ყოველი მომდევნო აქტივობა დაფუძნებულია წინა აქტივობაზე, რაც მოსწავლეს საშუალებას აძლევს გადაჭრას პრობლემა და შექმნას საინტერესო პროდუქტი მისთვის ნაცნობ კონტექსტში. ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ასევე იკვეთება კურიკულუმების ჩარჩოში დალაგებული საკითხებიდან და ქვესაკითხებიდან.

გარდა ამისა, წარმოდგენილ ჩარჩო კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალებების პირობები მოსწავლეს საშუალებას აძლევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თვალსაზრისით და.ა.შ. სკოლას კურიკულუმის ჩარჩოში ისე აქვს წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრილი თემა, თემის საკვანძო შეკითხვები, მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებების კონტექსტები, საკითხები თუ რესურსები, რომ მკაფიოა ახალი ცოდნის წინარე ცოდნაზე დაფუძნებით კონსტრუირების გახორციელების შესაძლებლობა. მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა მიერ საკლასო სივრცეში მიღებული ცოდნა ფართოდ იშლება სასკოლო პროექტებსა და არაფორმალურ აქტივობებში. სამომავლოდ, დაწყებით საფეხურზე კათედრები გეგმავენ გააგრძელონ ამ კუთხით მუშაობა წარმატებული პრაქტიკის გამოყენებით.

ახალი მასალისა და ინფორმაციის დამუშავების პორცესში მასწავლებლებს გააზრებული აქვთ წინარე ცოდნის მნიშვნელობა, რომელიც შეძლება გამოცდილებაც იყოს. დაწყებით საფეხურზე პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ბუნებისმეტყველების გაკვეთილებზე ხშირად იყენებენ მოსწავლეების გაარკვეულ გამოცდილებას. მაგ. საარსებო თუ გეოგრაფიული გარემოს შესწავლის დროს, ბუნებრივ მოვლენებს თუ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობებს.

წარმოდგენილი კურუკულუმით დასტურდება, რომ სკოლაითვალისწინებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნებსა და რეკომენდაციებს. პედაგოგების მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებით ასევე დასტურდება წინარე ცოდნაზე ახალი ცოდნის დაშენება, რამდენადაც კოპლექსური დავალება უზრუნველყოფს კონსტრუქტივისტული პრინციპების დაცვას. შერჩეული კომპლექსური დავალებები ხორციელდება შესაბამისი რესურსებისა და აქტივობების საშუალებით, რაც ცხადყოფს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში ხორციელდება წინარე ცოდნაზე ახალი ცოდნის გაზიარება და და ამ ცოდნის რეალურ ცხოვრებში გამოყენება. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

დაწყებით საფეხურზე კათედრების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში, აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, მეტაკოგნიტური პროცესების განვითარებაზე, პერსონალური, სოციალური და სწავლის კომპეტენციების დახვეწაზე. წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები და სასაწავლო პროექტები საშუალებას იძლევა, მოსწავლემ თავად განსაზღვროს და დაგეგმოს აქტივობები, აწარმოოს საკუთარი სწავლის პროცესის მონიტორინგი. წახალისებულია მოსწავლის ცნობისმოყვარეობა და გათვალისწინებულია მისი ინდივიდუალური გამოცდილება. კურიკულუმებში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებულია ისეთი აქტივობები და კითხვები, რომელიც მოითხოვს მოსწავლის მხრიდან დაფიქრებას შესრულებულ სამუშაოზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრასთან ინტერვიურებით დგინდება, რომ სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში, აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ ჩვევებისა და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები, ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების, ორგანიზებულობის, თვითკონტროლისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებ, რომ მასწავლებლები დაწყებით საფეხურზე თამაშითა და კეთებით სწავლებას მიმართავენ. სასწავლო პროცესში მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება მოახდინონ საკუთარი მიღწევების ანალიზი, მათი ასაკობრივი ჭრილიდან გამომდინარე მოახდინონ მარტივი დაკვირვება, დაგეგმვა და პრაქტიკაში განხორციელება. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეები, სასკოლო პროექტები, სკოლის სოციალური ქსელზე(facebook) ატვირთული ღონისძიებების ამსახველი ნარატივები და ფოტომასალა ადასტურებს მოსწავლეთა ჩართულობას შემოქმედებით პროცესში(პროექტები(სოციალური/სასწავლო/ინტეგრირებული),აქტივობები). სასწავლო პროცესში წახალისებულია მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვასა და მონიტორინგს. ინდიკატორთან მიმართებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სკოლას დაწყებითი საფეხურზე აქვს ხედვა, როგორ შეიძლება უზრუნველყოს მოსწავლეებში სწავლის, მრავალფეროვანი სტრატეგიების დაუფლება.

დაწყებით საფეხურზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში პირდაპირ არ ჩანს კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესში მიმდინარე აქტიური თანამშრომლობა, თუმცა ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ხშირად მიმართავენ თანამშრომლობით სწავლებას. მაგ. ჯგუფური მუშაობა, როლური თამაშები. იმისთის, რომ მოსწავლეები დაეუფლონ სწავლის სტრატეგიებს და შემოქმედებითი პროდუქტი შექმნან გრძელვადიანი მიზნის ფარგლებში, **სკოლას მიეცა რჩევა, ახალი სასწავლო წლისთის კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით, შეიმუშავოს კურიკულუმის დანართი, სადაც კომპლექსური დავალებების მიხედვით იქნება ცოდნის აგების პრინციპი.**

წარმოდგენილი დოკუმენტებითა და ინტერვიურებისას აღწერილი პროცესების გათვალისწინებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლებაზე. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

დაწყებით საფეხურზე სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის ჩარჩო, რომელშიც გათვალისწინებულია კომპლექსური დავალებები. კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება კი თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კატეგორიაზე ორიენტირებას. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ასევე აღნიშნეს, რომ ისინი მოსწავლეებს აძლევენ დავალებებს, სადაც მათ უწევთ ფაქტობრივი ცოდნის გამოყენება, მსჯელობა, ანალიზი და საკუთარი დასკვნების ჩამოყალიბება. ყურადღება ამახვილებენ აქტივობებში იმაზე, თუ როგორ უნდა გამოიყენონ მიღებული ცოდნა შემდგომ ცხოვრებისეულ სიტუაციებში.

დაწყებით საფეხურზე უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ პროგრამებში კომპლექსური დავალებები და პროექტული აქტივობები ისეა დაგეგმილი, რომ მოსწავლეები დეკლარაციული ცოდნიდან ეტაპობრივად გადადიან პროცედურულ და შემდეგ პირობისეულ ცოდნაზე. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სამომავლოდ გეგმავენ კომპლექსური დავალებებისა და პროექტების რაოდენობის გაზრდას.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კათედრიე მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კომპლექსურები დავალებები უზრუნველყოფს მოსწავლეებში სამიზნე ცნებების გააზრებას ცოდნის სამი კატეგორიის (დეკლარაციული, პროცედურული, პირობისეული) ჭრილში. კომპლექსური დავალების პროდუქტებიდან ნათლად ჩანს, რომ მოსწავლეები ფლობენ თეორიულ ცოდნას, ახდენენ მის რეალიზებას და პრაქტიკაში გამოყენებას(პროექტები(სოციალური/სასწავლო/ინტეგრირებული),აქტივობები).

ცოდნის სამივე კატეგორიას ეყრდნობა ასევე საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ საგნობრივი კურიკულუმში წარმოდგენილი მოსწავლეთა დავალებები, არაფორმალური აქტივობები, კომპლექსური დავავალებები და სხვა პროექტები. კომპლექსური დავალების ყველა პროდუქტი (პოსტერები, ინტერვიუ, ბუკლეტები, წერილები, მოდელები, მაკეტები , ელ.რესურსები, წერილები, დღიურები, თხზულებები, ინფოგრაფიკები, საჯარო გამოსვლები და სხვ.) ეყრდნობა ცოდნის სამივე კატეგორიას.

ტექნოლოგიებში, კომპლექსური დავალებების შესრულებისას, მოსწავლეებს უწევთ სხვადასხვა საგნობრივი საკითხის ურთიერთდაკავშირება, მსჯელობა, ანალიზი, პრობლემის გადაჭრა და შედეგად, საბოლოო პროდუქტის მომზადება, რითაც მოსწავლე დაადასტურებს საგნობრივ ცოდნას და განივითარებს მაღალსააზროვნო უნარებს. მასწავლებელს გააზრებული აქვს თემატური მატრიცების შექმნის პრინციპი. სამომავლოდ პედაგოგი გეგმავს კურიკულუმის ჩარჩოს დახვეწა/განვითრებას და მის ესგ-სმოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას, რაც უზრუნველყოფს ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებულობას.

დაწყებით საფეხურზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ მიმდინარე კურიკულუმი წარმოდგენილია მხოლოდ ცხრილი-ჩარჩოს სახით, სადაცნაკლებად ჩანს ცოდნის სამი კატეგორიაზე გასვლა, თუმცა მასწავლებლებთან ინტერვიუ ცხადყოფს, რომ მათ ესმით მე-3 თაობის ესგ-ს კონცეპტუალური საფუძვლები. ისინი ხელმძღვანელობენ მატრიცის შაბლონებით და მასწავლებლის წიგნებით. მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას, ახალი კურიკულუმის ფორმაში გააკეთებენ დიფერენცირებული და მრავალფეროვანი აქტივობებით გაწერილ სამუშაო მატრიცებს, რაც მოსწავლეს მისცემს ცოდნის აგების, გააზრებისა და განზოგადების საშუალებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

დაწყებითი საფეხურების კურიკულუმების თემატური დაგეგმვა, კომპლექსური დავალებები და მრავალფეროვანი აქტივობები ,გვიჩვენებს საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის რეალიზების გზას და არის ამავდროულად ის მთავარი კომპონენტი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. სწავლა-სწავლების პროცესი ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნის განვითარებაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, ახალი პროდუქტის შექმნაზე. გარდა ამისა, მოსწავლეები აქტიურად მუშაობენ სასწავლო პროექტებზე, რომლის ფარგლებში ხდება სხვადასხვა საგანში მიღებული ცოდნის ერთმანეთთან დაკავშირება და გამოყენება. დაწყებით საფეხურზე მასწავლებლები გამოხატავენ მზაობას სასწავლო პროცესი დაგეგმონ ამ პრინციპების გათვალისწინებით და დაგეგმონ მეტი ინტეგრირებული გაკვეთილები და პროექტები.
თვითშეფასების კითხვარსა და მათემატიკის მასწავლებლებთან გასაუბრებიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება, თუმცა სკოლას მიეცა რჩევა, დაწყებით საფეხურზე შეიმუშაონ და მოსწავლეებს შესთავაზონ მინიმუმ ერთი ინტეგრირებული კონპლექსური დავალება და შეიმუშავონ შესაბამისი განმავითარებელი შეფასება.
დაწყებით საფეხურზე მუსიკისა და ხელოვნების სწავლებისას სკოლა აცნობიერებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საგნის სწავლების თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, სწორედ ის საკვანძო ასპექტები თუ სტრუქტურულ ერთეულებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. იგი ყოველი განსაზღვრული თემით უზრუნველყოფს სასწავლი მასალის კავშირს მოსწავლის ცოდნასთან, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან. მიემართება მოსწავლეთა ფუნქციური უნარების გამომუშავებას, ორიენტირებულია მოსწავლეთა ცოდნის ტრანსფერზე რეალურ ცხოვრებაში და ქმნის მოსწავლის პიროვნული მოქმედების არეალს. ჩარჩო კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, თემები/საკითხები/ კომპლექსური დავალებები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ნაცნობ კონტაქტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას და მოსწავლეთა ჩართულობას შემოქმედებით პროცესში. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ ხშირად იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა კათედრის მიერ ორგანიზებულ აქტივობებში და ცდილობენ საგანთა შორის კავშირები მიზნობრივი გახადონ სწავლა-სწავლების პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის წევრებთან ინტერვიურებისას, პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება მოსწავლის მიერ საკითხის სიღრმისეულ გააზრებაზე და მოიყვანეს რამდენიმე განხორციელებული კომპლექსური დავალების მაგალითი, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებმა ღრმად გაიაზრეს საკითხი. იმისათვის, რომ მოსწავლეებმა ურთიერთდაკავშირებული და ორგანიზებული ცოდნა ააგონ, აუცილებელია ცოდნის სამი პირობის მიხედვით კომპლექსური დავალებების განხორციელება, რათა პირობისეული ცოდნის მიხედვით მოსწავლემ შეძლოს ცოდნის განზოგადება. შესაბამისად, სკოლას მიეცა რჩევა, კომპლექსური დაბალებების დაგეგმვისა და განხორციელებისთვის გაითვალისწინონ დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული ცოდნის ურთიერთკავშირი და გაიაზრონ სად ჩანს ეს.
სკოლა გამოხატავს მზაობას, სასწავლო პროცესში უზრუნველყოს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო პროექტები - დავიცვათ და გავუფრთხილდეთ ჩვენს კუტურულ მემკვიდრეობას;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა ნამუშევრები პროექტის ფარგლებში;
- მასწავლებლებთან ინტერვიუ;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/ატივობები.

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტები, სადაც მართებულად არის გაწერილი თემების მიხედვით კომპლექსური დავალების იდეები, საგნის სამიზნე ცნებები. კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხები მიმართულია სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებისკენ. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემატურ ბლოკებს და საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას) შორის. შუალედური სასწავლო მიზნები (კომპლექსური დავალებები) აზუსტებს სამიზნე ცნებების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. სკოლის მიერ სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის რეალიზება მკაფიოდ იკითხება დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიურებისას და კურიკულუმის ჩარჩოებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების იდეებიდან.
მათემატიკის კათედრის მიერ შემოთავაზებული კურიკულუმის ჩარჩოში თემები უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. სკოლას მიეცა რჩევა, შემდგომში კლასის შუალედური სასწავლო მიზნების განსაზღვრისას იხელმძღვანელონ მათემატიკის სტანდარტით (სადაც გაწერილია თემები კლასების მიხედვით), საკითხები/ქვესაკიტხები თემის ფარგლებში დააჯგუფონ ძირითადი სახელმძღვანელოდან და ცნებების იერარქიის დოკუმენტზე დაყრდნოთ უზრუნველყონ სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

დაწყებითი საფეხურის უცხოური ენების კურიკულუმის ჩარჩოებში გამოკვეთილია სამიზნე ცნებები, რომელსაც მიემართება შერჩეული კომპლექსური დავალებები, წარმოდგენილია ქვეცნებათა და ქვესაკითხთა იერარქია, რომელთა ურთიერთდაკავშირებულად შესწავლის საფუძველზე მოსწავლე ქმნის მიზნობრივ მთლიანობას საბოლოო პროდუქტის სახით. სასწავლო წლის დასაწყისისთვის მასწავლებლები გეგმავენ კომპლექსური დავალების კრიტერიუმების გადახედვასა და დახვეწას, რაც მოსწავლეებს მისცემს განზოგადების საშუალებას და უზრუნველყოფს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

დაწყებით საფეხურზე, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში შუალედური დავალებები არ არის მითითებული, თუმცა ინტერვიურებისას მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. სკოლას მიეცა რჩევა, მომავალ სასწავლო წელს სასწავლო პროცესისთვის პრაქტიკულად განახორციელონ სამიზნე ცნებები და გაითვალისწინონ მისი მკვიდრი წარმოდგენები საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა შესწავლისა და ინტერვიუების შედეგად დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობითა და გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ სწავლა-სწავლების პროცესში ყურადღება მახვილდება არა მხოლოდ მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე, არამედ მათ პიროვნულ და სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზე. მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა, ჩაერთოს აქტიურ შემოქმედებით პროცესში, იმსჯელოს, გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება, შეძლოს გუნდური მუშაობა, თანამშრომლობა, დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები. კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ მათ შესასრულებლად საჭირო აქტივობები ხელს შეუწყობს მოსწავლის პიროვნულ და სოციო-ემოციურ განვითარებას. ასევე, დაწყებით საფეხურზე კლასის საათისათვს შერჩეული თემატიკა,კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული თემები და დავალებები ადასტურებს, რომ კათედრებს აქვთ მზაობა იმუშაონ ამ მიმართულებით და გაითვალისწინონ მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმების დაგეგმვისას.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის მიერ წარმოდგენილ კურილულემებში გაწერილ თემებზე დართულია ჰიპერლინკები, რომლებიც ასახავს სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს და ქართველი სპორტსმენების მიღწევებს. ასევე, მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ ფსიქო-ემოციურ კეთილდღეობას ხელს შეუწყობს მასწავლებლების მიერ დაგეგმილი მოსწავლეების შესაქმნელი პროექტები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ესთეტიკური კათედრის დაწყებითი საფეხურის საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი ორიენტირები, თემები, კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შერჩეული თემები და კომპლექსური დავალებები მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ *სოციო*-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე მოსწავლეებს ნამუშევრის შექმნისას უწევთ თვითგამოხატვა, მუსიკალური ნაწარმოების მოსმენისას და მსჯელობისას უწევთ საკუთარი ემოციებზე, გრძნობებზე დამოკიდებულებებზე საუბარი.
სკოლას მიეცა რჩევა, მკაფიოდ გამოკვეთონ მოკლევადიან/შუალედურ სასწავლო მიზნის შესაბამისობა გრძელვადიანი სასწავლო მიზნებთან.
წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

დაწყებით საფეხურზე კომპლექსური დავალების ფორმაში მოცემულია შეფასების კრიტერიუმები, რომლიდანაც ნათლად ჩანს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერა. სკოლა იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმს, სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას.
დაწყებით საფეხურზე უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების მასალები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი და ანგარიშები ადასტურებს, რომ ჰოლისტური შეფასების პრინციპები მეტწილად გათვალისწინებულია მოსწავლის შეფასებისას, ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და განუყოფელი ნაწილია მოსწავლის სასწავლო საქმიანობის. შეფასების მიზნები შეესაბამება მოსწავლეების საჭიროებებს, ეხმარება მათ განავითარონ ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები, რომლებიც მათ ცხოვრების მანძილზე დასჭირდებათ. კათედრას შემუშავებული აქვს ზოგადი სახის და კონკრეტულ დავალებაზე მორგებული შეფასების რუბრიკები, თუმცა, ახალი სასწავლო წლიდან, გეგმავენ მეტი ინტენსივობით გამოიყენონ ახალ ფორმატში შემუშავებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
სკოლის მიერ წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდასა და სპოტში განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ეყრდნობა სტანდარტში წარმოდგენილი შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა გამომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენიდან, რომელიც საჭიროებს დახვეწას და რის მზაობასაც გამოხატავს სკოლა. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე ფიზიკურ აღზრდაში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიზანმიმართულად გამოიყენება. საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, საგაკვეთილო პროცესში საანსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება , სიტყვიერი კომენტარები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოცემული მტკიცებულებებისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში მოსწავლის განვითარებისთვის მიზანმიმართულად იყენებს შეფასების ორივე ფორმას. მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესში შეფასება ორიენტირებული იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.
სკოლის მიერ მოწოდებული მასალებიდან ირკვევა, რომ მათ მიერ გამოყენებულია შეფასების ფორმების მრავალფეროვნება: ესსე, პროექტის მომზადება, ზეპირი გამოსვლა, წარმოდგენა, წერითი ნაშრომი არგუმენტირებული მსჯელობა,შესასვლელი და გასასვლელი ბარათები, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ბარათები, სიტყვიერი განმავითარებელი კომენტარი, მყისიერი უკუკავშირი და სხვ. ასევე, შერჩეული და შექმნილი შეფასების რუბრიკები ადასტურებს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობას. შესაბამისად, **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და გასაუბრებაზე დაყრდნობით აღვნიშნავთ, სკოლაში მოსწავლეთა შეფსება ხდება ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. იმისათვის რომ მოსწავლეებს ჰქონდეთ განცდა, რომ შეფასება არის გამჭვირვალე და ობიექტური, მათი აზრი გათვალისწინებულია შეფასების რუბრიკების შექმნაში. შეფასების ინდიკატორებს მასწავლებლები აცნობენ მოსწავლეებს და განიხილავენ მათთან ერთად. ამასთან ერთად, რუბრიკები გამოკრულია სასწავლო სივრცეში.
დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები თვლიან, რომ შეფასების კრიტერიუმები გაზიარებული უნდა იყოს სასკოლო საზოგადოების და სასკოლო თემის დაინტერესებული პირების მიერ. მოსწავლეებთან ერთად, ინფორმირებულნი უნდა იყვნენ მშობლები, რადგან შეფასების კრიტერიუმების ღიაობა და ობიქტურობა ხელს უწყობს სკოლას ამ მიმართულებით სანდოობის მაღალი ხარისხი ჰქონდეს. ამ მიმართულებით კათედრები გეგმავენ მომდევნო სასწავლო წლისთვის დამატებით შეიმუშაონ და დანერგონ შეფასების ახალი ინსტრუმენტები. იგეგმება კომპლექსური დავალებების შეფასების რუბრიკების შექმნა.
საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას შერჩეული აქვს სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი, რომლის საფუძველზეც ფასდება გრძელვადიანი სამიზნე ცნებების დამუშავების პროცესი, რაც შეფასების სისტემას კიდევ უფრო სანდოს და გამჭვირვალეს, ობიექტურს და სამართლიანს ხდის.
სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები იძლევა დასკვნის საშუალებას, რომ დაწყებით საფეხურზე შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

სკოლაში მოქმედებს და სისტემატიურად მიმდინარეობს მუშაობა შეფასების ვერიფიკაციის ერთიანი მოდელის დასახვეწად. შეფასების პროცესის ვალიდურობის მიზნით სკოლაში იყენებენ სხვადასხვა საშუალებებს: მრავალფეროვან რუბრიკებს, შემაჯამებელი დავალებების ანალიზს, მასწავლებელთა და მოსწავლეთა რეფლექსიებს და უკუკავშირს. სკოლის ადმინისტრაცია ახორციელებს შეფასების პროცესების მონიტორინგს და დაკვირვების შედეგად ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა, მოქმედ სტანდარტებთან. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს კათედრებზე შემაჯამებელი დავალებების ანალიზის წარდგენაზე და განხილვაზე, შეფასების რუბრიკების შემუშავებაზე, თუ როგორ ხდება მოსწავლის პროგრესის დანახვა, რომელიც საშუალებას აძლევს მათ რეალურად გაზომონ მოსწავლის მიღწევის ანალიზი. ასევე აქტიურად ფუნქციონირებს ხარისხის ჯგუფი, რომელიც ახორციელებს გაკვეთილებზე დაკვირვებას, შეფასების მექანიზმების გამოყენების მონიტორინგის მიზნით.
სკოლას მიეცა რჩევა, კარგად გაიაზროს და დახვეწოს ვერიფიკაციის მექანიზმი.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და მასწავლებლებთან ინტერვიუზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ სკოლას აქვს მზაობა და პოტენციალი აღნიშნული მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები გადადგას. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სკოლა უზრუნველყოფს შეფასების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. (ელექტრონული ჟურნალი, შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების შეფასებები, მოსწავლეთა ნამუშევრები/ტესტები.) გარდა ამისა, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები, როგორიცაა: გასული წლის სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოს ოქმები, ჩატარებული გაკვეთილის შეფასებები, რეფლექსიები, გასულ წლებში ჩატარებული გაკვეთილის გეგმები და უკუკავშირები, აგრეთვე მოსწავლეთა პირადი საქმეები და მათში ასახული როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასებები ცხადყოფს, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
- სოლო ტაქსონომიის ნიმუშები
- ისგ ჯგუფის სხდომის ოქმები;
- მოდიფიცირებული კომპლექსური დავალებები
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- 2022- 23 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- 2022-29 წლის სტრატეგიული გეგმა
- დაწყებითი კლასების მასწავლებლებთან ინტერვიუ
- თვითშეფასების კითხვარი
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- სასწავლო პორცესში გამოყენებული აქტივობები/მასალები.

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან ირკვევა,რომ სკოლაში შექმნილია კეთილგანწყობილი და უსაფრთხო გარემო თანამშრომლობითი და პოზიტიური კომუნიკაციისთვის. წახალისებული და მხარდაჭერილია მოსწავლეთა ინიციატივები. მოსწავლეები ჩართულები არიან სხვადასხვა აქტივობებისა თუ ღონისძიებების დაგეგმვის საკითხებში. მოსწავლეთა მხარდაჭერას უზრუნველყოფს ასევე შეფასების სისტემა და რესურსების თანაბარი ხელმისაწვდომობა დაწყებითი კლასის ყველა მოსწავლისთვის. წარმოდგენილი საგნობრივი კურუკულუმები, სკოლის სამოქმედო გეგმა, სასწავლო პროცესში გამოყენებული სტრატეგიები, საკლასო პროექტები და სხვა აქტივობები ორიენტირებული მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებზე. დაწყებით საფეხურზე ასევე საკმაოდ აქტიურია კომუნიკაცია მშობლებთან. მათი ჩართულობა ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერას და შედეგების გაუმჯობესებას. გარდა ამისა, სკოლა სამომავლოდ გეგმავს, შეიმუშავოს ახალი მოსწავლეების სკოლაში ინტეგრირების ეფექტური მექანიზმები.
მასწავლებლებთან გასაუბრებით ასევე დგინდება, რომ სკოლაში არის თანამშრომლობითი გარემო. გამოცდილების გაზიარება და გამოწვევებისადმი გუნდური მიდგომა პრიორიტეტებია მათი საქმიანობის პროცესში. სკოლის ბაზაზე მოქმედებს ხარისხის განვითარების ჯგუფი. ასევე, სკოლა ჩარტულია USAID-ის ,,საბაზისო განათლების პროგრამაში", სადაც სკოლიდან შერჩეულია 3 ლიდერი მასწავლებელი სწორედ დაწყებითი საფეხურიდან და ხდება სწავლა-სწავლების მიმართულებით საინტერესო პრაქტიკის და გამოცდილების გაზიარება.
ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაცისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე დგინდება,რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეებზე. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები თუ განხორციელებული პროექტები, გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ინტერესებს, ფიზიკურ, ფსიქიკურ მახასიათებლებს, ემოციურ ინტელექტს. პედაგოგები აძლევენ მათ არჩევანის შესაძლებლობას და სთავაზობენ ინტერესების შესაბამის დავალებებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესი მოსწავლეზე ორიენტირებულად წარიმართება. ამის მაგალითებია მოსწავლის ინტერესების შესაბამისი კომპლექსური დავალებების და პროექტების დაგეგმვა და განხორციელება. ასევე, არასაგაკვეთილო და კლასგარეშე აქტივობები. უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვას სახის სპორტულ ოლიმპიადებში, სასკოლო სპორტულ ფესტივალებში, რომლებიც მორგებული და ორიენტირებულია მოსწავლეების ინტერესებზე.
იმისათვის რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლეზე ორიენტირებულად, სკოლა იყენებს მულტიმოდალურ და დიფერენცირებულ მიდგომებს. სკოლის მიზანია თითოეული მოსწავლის ჩართულობის გაზრდა საგაკვეთილო პროცესში და მოტივაციის ამაღლება.
აღნიშნულის გათვალისწინებით, დასტურდება, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური, მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგენული სასწავლო გარემო და სასწავლო პროცესი ნამდვილად წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან იკვეთება, რომ სკოლაში მაღალია თანამშრომლობითი კულტურა და გუნდური მუშაობის პრინციპი. როგორც დაწყებითი კლასების პედაგოგებმა აღნიშნეს, ისინი ინტენსიურად ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას.
მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზების მიზნით მასწავლებლები დიდ ყურადღებას უთმობენ საგანთა შორის კავშირებს. ტარდება ინტეგრირებული და ურთიერთდასწრების გაკვეთილები, დისკუსიები, ჯგუფური პროექტები, პრეზენტაციები, შემეცნებითი და სპორტული აქტივობები.
ხშირად იმართება კათედრების შეხვედრები, რომელზეც იგეგმება და შემდეგ ხორციელდება სასკოლო პროექტები. თანამშრომლობის შედეგს წარმოადგენს ასევე დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები, მასში შემავალი აქტივობები, კომპლექსური დავალებები და შეფასების რუბრიკები.
დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესის აღწერისას, ჩანს სკოლაში დამკვიდრებული პედაგოგების ერთმანეთთან და სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობის გამოცდილება. მშობლებს, სხვა საგნის პედაგოგებსა და
სამეურვეო საბჭოს აქვთ საშუალება გაეცნონ სკოლის სასწავლო პროცესში შემოთავაზებულ ინოვაციებსა და ახალ მეთოდებს. სასკოლო საზოგადოებას აქვს ინფორმაცია დაწყებით საფეხურზე ჩატარებული სხვადასხვა აქტივობების შესახებ. სამომავლოდ სკოლა გეგმავს მშობლების კომპონენტის გაძლიერებასა და სასკოლო თემის ჩართულობას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის განვითარებაში პროექტების გამოყენებით. ყოველივე ზემოაღნიშნული გვაძლევს საშუალებას ჩავთვალოთ, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სკოლაში უზრუნველყოფილია კეთილგანწყობილი და პოზიტიური გარემო სკოლისა და კლასის დონეზე. სკოლა ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის თანამშრომლობით კავშირებს, რომელიც მოიცავს აკადემიურ და პიროვნულ ზრდას, ზრუნვას, პატივისცემას, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობას და მათ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. პოზიტიური კლიმატის უზრუნველსაყოფად, სასკოლო საზოგადოებაში ფუნქციები და მოვალეობები გადანაწილებულია თანაბრად. კოლეგებსა და მოსწავლეებთან, მათ შორის მშობლებთან სისტემატიურად ხდება პოზიტიური უკუკავშირის გაცვლა. მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ დაუყოვნებლივ რეაგირებენ სასკოლო საზოგადოების უკუკავშირზე.
სკოლაში თითოეული მოსწავლის ინიციატივა აღიარებული, მიღებული და წახალისებულია. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ იგეგმება და ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები და აქტივობები მიკუთვნებულობის გრძნობისა და თანამშრომლობითი უნარ-ჩვევების ჩამოსაყალიბებლად. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული კლასის ქცევის წესების შემუშავებისას.
გარდა ამისა, სასკოლო საზოგადოების წევრები ერთობლივად ავითარებენ სასკოლო კურიკულუმს, გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებსა და არაფორმალური განათლების მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებს.

მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები. არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, თავისუფლად წარმოადგინონ დავალებები და იყვნენ მეტად თავდაჯერებულები. ამასთანავე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოსწავლეთა ნაშრომების შეფასებისას სკოლის მასწავლებლები იყენებენ ობიექტურ კრიტერიუმებს, ყურადღებას ამახვილებენ მოსწავლეთა წახალისების საშუალებებზე.

დაწყებითი კლასის მოსწავლეების ჩართულობით ჩატარებული სოციალური/სასწავლო/ ინტეგრირებული პროექტებითა და სხვა ღონისძიებებით ბავშვებს სხვადასხვა უნარის აღმოჩენის, საკუთარ ძალებში დარწმუნების, მეგობრების შეძენისა და თანატოლებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ურთიერთობის საშუალება ემლევათ. შესაბამისად, დგინდება, რომ დაწყებით საფეხურზე უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- 2022- 23 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- 2022-29 წლის სტრატეგიული გეგმა
- სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება
- მასწავლებელთან ინტერვიუ
- სკოლის შინაგანაწესი და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სხვა მასალები
- შეფასების მასალები;
- სასწავლო პროექტები
- წახალისების ბრძანებები
- მულტიდისციპლინარული ჯგუფის დასკვნები;
- სპეცმასწავლებლის სამოქმედო გეგმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სკოლაში ეტაპოვრივად ხორციელდება კურიკულუმების მონიტორინგი. პედაგოგები თვითრეფლექსიის, კოლეგების ურთიერთშეფასებისა და კათედრებზე მსჯელობის საფუძველზე გამოკვეთენ საჭიროებებს, რასაც ითვალისწინებენ კურიკულუმის დაგეგმვისას.
სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის მართვის ჯგუფი, რომელიც ახორციელებს გაკვეთილებზე დასწრებას და მასწავლებელთა საჭიროებების იდენტიფიცირებას. მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ კათედრებზე აქვთ სწორი ხედვა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით. პედაგოგების განცხადებით, კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი, მონიტორინგი და შეფასება კი ამ პროცესის ნაწილია. შესაბამისად, 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს შეიმუშაოს სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომელშიც დეტალურად იქნება გაწერილი აღნიშნული პროცესის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები, მიზნები, ამოცანები, ვადები, ინდიკატორები და სხვა დეტალები.
გარდა ამისა, სასკოლო კურიკულუმების დანერგვის მონიტორინგისათვის სკოლის დირექცია აკვირდება სასწავლო პროცესს, თუ რამდენად სწორად და მიზანმიმიმართულად ხორციელდება დაგეგმილი კომპლექსური დავალებები. ამ მიზნით გამოყენებულია წინასწარ შემუშავებული დაკვირვების ფორმა. შეფასების ინდიკატორები შეესაბამება ესგ-ს სტანდარტს და არის გამჭვირვალე. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგის წარმოებისთვის მხარდაჭერის მიზნით სასწავლო პროცესზე დაკვირვება ხდება სისტემატიურად. დაკვირვება ხდება ფოკუსირებულად კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლას მიეცა რჩევა, შეიმუშაოს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზნები კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომელიც აისახება სკოლის მიერ წარმოებულ დოკუმენტაციაში, კათედრის ოქმებში, ანგარიშებში და დებულებებში.
ზემოთ აღნიშნულის თანახმად დგინდება, რომ სკოლა გამოხატავს მზაობას განახორციელოს მონიტორინგი და შეფასება კურიკულუმისთ განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძელზე ირკვევა, რომ მონიტორინგისა და შეფასების საფუძველზე ხდება საჭიროებების გამოკვეთა, რაც ორიენტირებულია მოსწავლე-მასწავლებელთა მხარდაჭერაზე. მტკიცებულებებზე დაყრდნობით მასწავლებლებს შეუძლიათ შეაფასონ მოსწავლის სწავლის პროცესი, დაადგინონ ის სფეროები და უნარები, სადაც მოსწავლეს დახმარება სჭირდება, მისცენ უკუკავშირი და მიგნებების გათვალისწინებით დაგეგმონ სწავლის პროცესი. ასევე მასწავლებლებს და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებსაც, შეუძლით შეფასონ საკუთარი მუშაობის პროცესი და მოძებნონ გამოსავალი გამოწვევებზე.
სკოლაში განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების ძირითადი დანიშნულებაა სასკოლო საზოგადოების გაძლიერება, მხარდაჭერა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესება. გასაუბრების დროს მასწავლებლების მიერ აღინიშნა, რომ მუდმივად ადევნებენ თვალყურს სასწავლო პროცესს და აანალიზებენ რამდენად სწორად იყო დაგეგმილი პროცესი, შერჩეული რესურსები და აქტივობები ხელს უწყობს თუ არა საკითხების დამუშავებას, ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გააქტიურებას და იძლევა თუ არა ცოდნის კონსტრუირების საშუალებას. დაწყებით საფეხურზე კათედრის წევრებს აქვთ ურთიერთდასწრების პრაქტიკა, რის შედეგადაც ისინი ახორციელებენ რეფლექსიას, უკუკავშირს, აანალიზებენ გამოკვეთილ პრობლემებს, უზიარებენ კოლეგებს და ერთობლივად გეგმავენ გაუჯობესების გზებს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ მიზნით სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერი ჯგუფიც.
აღნიშნულის გათალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე ირკვევა, რომ დაწყებით საფეხურზე მასწავლებლებს გააზრებული აქვთ მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელობა სწავლა-სწავლების პროცესში. სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე პედაგოგები თვითრეფლექსიის, კოლეგების ურთიერთშეფასების და კათედრებზე მსჯელობის პროცესში ეძებენ გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის გზებს. მიღებულ შედეგებს და მიგნებებს ითვალისწინებენ მომავალში პროცესების უკეთ წარმართვისთვის.

სკოლას მიეცა რჩევა, გაითვალისწინოს მონიტორინგისა და შეფასების გაძლიერების მიზნით, სადიაგნოსტიკო კვლევაზე დაფუძნებული ანალიზის შედეგები და საჭიროებები.
სკოლა გეგმავს განახორციელოს მონიტორინგისა და შეფასების პროცესი და ანალიზში ასახოს კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განსაზღვროს ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის. ასევე, გაკვეთილებზე ურთიერთდაკვირვებითა და კრიტიკული მეგობრის საშუალებით სკოლა გეგმავს შეიმუშავოს პრიორიტეტული და სტრატეგიული ხედვა და ასახოს სამოქმედო გეგმასა და კურიკულუმებში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- 2022- 23 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- 2022-29 წლის სტრატეგიული გეგმა
- საგნობრივი კურიკულუმები
- ხარისხის განვითარების ჯგუფის ოქმები
- კათედრის ოქმები
- ურთიერთდასწრების ფორმები
- მასწავლებლებთან ინტერვიუ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

თვითშეფასების კითხვარიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამომდინარე ,ირკვევა, რომ შეფასებისას იყენებენ მრავალფეროვან მეთოდებს-კითხვარებს, ინტერვიუებს სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან(მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი, სხვა დაინტერესებული პირი), რათა მიიღონ სრული და რეალური სურათი. მასწავლებელთა მიერ სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებულია ჰოლისტური შეფასების მიდგომები, სადაც მოსწავლეების ემოციურ-სოციალურ-კოგნიტურ უნარების შეფასება წარმოჩინდება საგანთა და თემებს შორის კავშირებით, პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით.
დაწყებით საფეხურზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება განმავითარებელ შეფასებას. იგი სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ფოკუსირებულია მოსწავლეთა მუდმივ განვითარებაზე. მისი უზრუნველყოფა ხდება მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებით. შეფასებისას კათედრა ეყრდნობა ისეთ წყაროებს როგორიცაა, კომპლექსური და შემაჯამებელი სამუშაოების შედეგები, მოსწავლეთა უკუკავშირი, დაკვირვება სასწავლო პროცესზე. მონაცემების მიხედვით კეთდება ანალიზი და კურიკულუმში ცვლილებების შეტანა. ახალი 2023-2024 სასწავლო წლისათვის სკოლა გეგმავს შეფასებისას კიდევ უფრო მეტი ყურადღება დაუთმოს განმავითარებელ შეფასებას.
დაწყებით საფეხურის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები საჭიროებს დახვეწას. ფიზიკური აღზრდის პედაგოგთან ინტერვიუდან გამომდინარე ირკვევა, რომ საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენება სიტყვიერი კომენტარი, რომელიც მიმართულია მოსწავლის დადებითი მხარის წარმოსაჩენად და რჩევების ზუსტად და გასაგებად მიცემაში, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეების განვითარებას და სასწავლო პროცესის შედეგების გაუმჯობესებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლას მიეცა რჩევა, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების გადამუშავების დროს და პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით, გამოიყენოს სადიაგნოსტიკო შეფასების ანალიზი.
სკოლას აქვს მზაობა, სასკოლო კურიკულუმების განვითარებასთან ერთად, შეიმუშავოს მრავალფეროვანი შეფასების მეთოდები. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით: მოსწავლეთა უკუკავშირის, კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებების შედეგების გათვალისწინებით. გარდა ამისა, სკოლა შეფასებისას ითვალისწინებს მოსწავლის სოციალურ და ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას, რომლის შესახებაც იღებს ინფორმაციას კლასის დამრიგებლისგან და მშობლისგან.
გამომდინარე იქიდან, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტის წინაპირობასა და ფაქტორებზე დაყრდნობით, სკოლას ეძლევა საშუალება მოსწავლის იდენთიფიცირება მოახდინოს მრავალი კუთხით. მოსწავლეზე სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად ხდება მოსწავლეთა შესაძლებლობების შესწავლა ყველა კონტექსტში და დადგენა, თუ რა მიმართულებით არიან ძლიერნი და რაში ჭირდებათ მეტი მხარდაჭერა. მასწავლებლები მოსწავლეებზე დაკვირვებას ახორციელებენ სხვადასხვა სიტუაციაში, იქნება ეს ფორმალური თუ არაფორმალური გარემო: სასკოლო ექსკურსიები, ლაშქრობა, შემეცნებითი გასვლები, სხვადასხვა კლუბებში და წრეებში ჩართულობა და სხვა. მოსწავლეთა შესაძლებლობების დაზუსტების საშუალებით სკოლა ახორციელებს მათ საჭიროებაზე მორგებულ აქტივობებს.
დაწყებით საფეხურზე მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ მომავალ სასწავლო წელს, კათედრები გეგმავენ გააგრძელონ შეფასების მექანიზმის დახვეწასა და განვითარებაზე მუშაობა. ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

მოსწავლეთა მიღწევების მონაცემების შესაგროვებლად, პედაგოგების მიერ გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალების ანალიზი, გაკვეთილზე დაკვირვება, რეფლექსია, მოსწავლეთა უკუკავშირი, განმავითარებელი კომენტარი. სკოლა სამომავლოდ აპირებს ისეთი მეთოდების გამოყენებას, როგორიცაა ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს ჯგუფი, ტესტირება. აღნიშნულის საფუძველზე მოხდება ინფორმაციის დამუშავება და დახარისხება, რაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საშუალებას მისცემს სკოლას შეფასების ჰოლისტური მიდგომებით დააბალანსოს და გამოკვეთოს თითოეული მეთოდის სუსტი და ძლიერი მხარეები. მასწავლებლებმა ინტერვიუზე აღნიშნეს, რომ დაწყებითი კლასის მოსწავლის შეფასებისას მასწავლებელი მხოლოდ მის შექმნილ პროდუქტს არ აკვირდება, ითვალისწინებენ მოსწავლის წინარე ცოდნას, ინტერესებს, ემოციებს, დამოკიდებულებას საკითხისა და საგნის მიმართ.
გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას აქვს შეფასებისას მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენების პრაქტიკა და მომავალში გეგმავს მის კიდევ უფრო დახვეწას, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

სკოლა ითვალისწინებს, რომ შეფასებისას მნიშვნელოვანია ხედვის პერსპექტივა, მოვლენის, სიტუაციის, ინდივიდის შესწავლისას მასზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება.ამას აგრეთვე ხელს უწყობს მშობლებთან , დამრიგებლებთან მჭიდრო კომუნიკაცია. დაწყებით საფეხურზე პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლის მიმართ მულტიფაქტორულ მიდგომებს, რომელიც დიდ გავლენას ახდენს შედეგზე, მოსწავლის თვითშეფასებაზე და ავტონომიურობაზე. მოსწავლე ფასდება მრავალმხრივი უნარის გააზრების და შეფასების საშუალებით. რაც მოსწავლეზე მორგებული სასწავლო პროცესის უკეთ დაგეგმვის საფუძველს ქმნის. ეს ყოველივე კიხელს უწყობს მოსწავლეს განივითაროს აკადემიური და პიროვნული უნარები.
დაწყებით საფეხურზე მოსწავლის თვითშეფასების ასამაღლებლად იყენებენ მამოტივირებელ შეფასებას, მშობლებთან წერილობით და ზეპირ უკუკავშირს მოსწავლის წარმატებასთან დაკავშირებით, ჯილდოებს, სიგელებს და სკოლის გვერდს.
გარდა ამისა, კათედრები მუშაობენ ისეთი შეფასების კრიტერიუმებებზე, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მოსწავლის წინაპირობები და პროგრესი, კერძოდ, საკლასო გარემო, მოსწავლის ინტერესები, ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, ინდივიდუალური შესაძლებლობები, ანუ, ყველა ის ფაქტორი, რომელმაც შეიძლება გარკვეული ზეგავლენა მოახდინოს სწავლა- სწავლების პროცესზე.
ირკვევა ,რომ სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა შეფასება განახორციელოს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- 2022- 23 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- 2022-29 წლის სტრატეგიული გეგმა
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
- სოლო ტაქსონომიის ნიმუშები
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- მასწავლებლებთან ინტერვიუ

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**

**2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია**

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლას შემუშავებული აქვს სწორი ხედვა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით. სასწავლო წლის ბოლოს, საგნობრივი კათედრების მიერ ხდება წლის განმავლობაში განხორციელებული კურიკულუმის რევიზია და ანალიზი, რომლის ფარგლებშიც, მასწავლებლები, კათედრის წევრები, მშობლები და მოსწავლეები ერთად მსჯელობენ და განიხილავენ განვლილ სასწავლო წელს, განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებს, მათ ეტაპებს, საკითხებსა და შედეგებს. ამ მსჯელობის საშუალებით იგებენ, რომელმა მიდგომამ და მეთოდმა გაამართლა და რა საჭიროებს დახვეწას.
2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს შეიმუშაოს სასკოლო კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი.
სკოლას აქვს მზაობა შექმნას გარკვეული ტიპის მექანიზმი/საჭიროებათა პაკეტი, რომელიც ხელს შეუწყობს კურიკულუმის განვითარებას და მის მორგებას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და მოსწავლეთა საჭიროებებზე. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში მიმდინარე პროცესები ოთხ ეტაპად მიმდინარეობს: დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და გადასინჯვა. სასწავლო წლის დასაწყისში ახალი საგნობრივი კურიკულუმი იქმნება წინა წლის შედეგების ანალიზზე. მისი შედგენისას გათვალისწინებულია ის სირთულეები, რომელიც მის დანერგვის პროცესში შეიქმნა. სკოლა აგროვებს წინა წლის გამოცდილებას, ირჩევს სტრატეგიას ამ გამოცდილების გამოსაყენებლად სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად. აღნიშნული ხორციელდება სკოლის ადმინისტრაციის, მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების თანამონაწილეობით. სკოლის ბაზაზე აქტიურად ვლინდება კათედრების წევრთა შორის და სხვა საგნობრივ კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა, გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ერთობლივი ძიება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მომდევნო სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს, ამ პროცესებს მისცეს დოკუმენტის სახე, რომელშიც დეტალურად იქნება გაწერილი, სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების ყველა ეტაპზე პასუხისმგებელი პირები და მათი ფუნქცია-მოვალეობანი. განხორციელდება მონიტორინგი და მოხდება მიღებული შედეგების შეფასება.

გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ არის მზაობა, პროცესების მონიტორინგისა და შედეგების ანალიზზე დაყრდნობით, კათედრებმა შეიმუშაოვონ კურიკულუმების გადამუშავებული ვერსიები და მიგნებები ასახონ გაამუშავებულ კურიკულუმებში.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- 2022- 23 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- 2022-29 წლის სტრატეგიული გეგმა
- საგნობრივი კურიკულუმები
- საავტორიზაციო განაცხადი
- მასწავლებლებთან ინტერვიუები

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

### I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2. სასკოლო კურიკულუმი - საბაზო საფეხური**

**2.1. კურიკულუმის შემუშავება**

**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

საბაზო საფეხურზე კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია მიემართება მოსწავლეთა ინტერესებს და შესაძლებლობებს. მასში გათვალისიწნებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და წინა სასწავლო წლის კურიკულუმის ანალიზი. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ კურიკულუმს შეიმუშავებენ თანამშრომლობით. მათი პროცესში ისინი ითვალისწინებენ როგორც საგნობრივი კათედრის წევრების, ასევე სხვა კათედრების მოსაზრებებსა და გამოცდილებას. ასევე, ცდილობენ კურიკულუმების შემუშავების პროცესში აქტიურად ჩართონ მოსწავლეთა მშობლებიც, რომლებთან ერთადაც პერიოდულად განიხილავენ აქტუალურ და პრობლემურ საკითხებს. საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება კონკრეტული გამოცდილების, ინეტერესებისა და ხასიათის მქონე ინდივიდად, რომელიც თავად არის საკუთარი ცოდნის მწარმოებელი და სწავლის პროცესის წარმმართველი. სიღრმისეული სწავლის უზრუნველყოფა ხორციელდება სწავლების კონსტრუქტივისტული ფილოსოფიით, კერძოდ, კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნა, სასწავლო მასალის ეტაპობრივად მიწოდება,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ახალი საკითხების, ცნებების საფუძვლიანად და განსხვავებულ კონტექსტებში განხილვა, საგანთაშორისი კავშირების გამოვლენა და საერთო ასპექტების დამუშავება.
**სკოლას მიეცა რჩევა, სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინების მიზნით, კითხვარების საშუალებით ჩაატაროს მოსწავლეთა, მშობლებისა და მასწავლებლების გამოკითხვა. ასევე, სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი.**
**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;**

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე კათედრები კურიკულუმის შედგენისას ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, საჭიროებებსა და ასაკობრივ თავისებურებებს. მასწავლებლები იაზრებენ, რომ მოსწავლე სასწავლო პროცესის მთავარი სუბიექტია და მისი ჩართულობა კურიკულუმში კარგად დაგეგმილი სასწავლო პროცესის წინაპირობაა.
კომპლექსური დავალებების იდეებში, სადამრიგებლო პროგრამებში წარმოდგენილ თემებში იკითხება მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმს შეიმუშავებენ თანამშრომლობით, სასკოლო საზოგადოების წევრთა გამოკითხვა-ანალიზისა და გამოცდილების გაზიარების საფუძველზე. ამ პროცესს ხელს უწყობს წინასწარ დაგეგმილი შეხვედრები კათედრის წევრებთან და მშობლებთან. კომპლექსური დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა სწავლისა და პიროვნული ზრდის მხარდაჭერისთვის.
მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებას ადასტურებს ასევე მასწავლებელთა მიერ ინტერვიუს დროს მოწოდებული ინფორმაცია სკოლის ბაზაზე ჩატარებული პერიოდული გამოკითხვებისა და პროცესების მოკვლევის შესახებ, რომლის საფუძველზეც ხდება სკოლა ახდენს მშობელთა და მოსწავლეთა უკუკავშირის ანალიზს. მათი ინიციატივით სკოლაში ტარდება სხვადასხვა საგანმანათლებლო, სოციალური და კულტურული ღონისძიებები. შექმნილია ასევე კლუბები.
თვითშეფასების კითხვარის მიხედვით, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის შემუშავების პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ მშობელთა სურვილს. მაგალითად, მშობლებმა გამოთქვეს სურვილი, რომ სასწავლო პროცესში მეტი აქცენტი გაკეთებულიყო კეთებით სწავლებაზე, ან ,,ყიდვა-გაყიდვაზე", რაც გათვალისწინებულ იქნა კურიკულუმების შემუშავებისას.
საბაზო საფეხურზე კათედრების მიერ კურიკულუმებში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და პრიორიტეტები. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

საბაზო საფეხურის კურიკულუმები შემუშავებულია კათედრების ერთობლივი მუშაობის საფუძველზე. პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ თანამშრომლობითი კულტურა მათი ძლიერი მხარეა. ისინი კომპლექსურ დავალებებსა თუ სხვადასხვა აქტივობებს სწორედ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გეგმავენ. მასწავლებლები კურიკულუმების შემუშავებისას ეყრდნობიან წინარე გამოცდილებას, ითვალისწინებენ მშობელთა უკუკავშირსა და მოსწავლეთა შედეგების ანალიზს. კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები, ინტერესის სფერო და ისეა გაწერილი კომპლექსური დავალებების გრძელვადიანი მიზნები.
საბაზო საფეხურზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ კომპლექსური დავალების იდეები შეთანხმებულად შეირჩა, კლასის საჭიორებიდან გამომდინარე. ისინი დაეყრდნენ წინარე გამოცდილებას ,გაითვალისწინეს მშობელთა უკუკავშირი, მოსწავლეთა შედეგების ანალიზი და თვითრეფლექსია.
საგნობრივ კათედრებზე ასევე ხდება განხორციელებული კურიკულუმის ანალიზი და ჩატარებული კომპლექსური დავალებების რეფლექსია. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს მონიტორინგის სრულყოფილი დოკუმენტის შექმნას და მეთოდოლოგიის დახვეწას.
**სკოლას მიეცა რჩევა, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესებში სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების აქტიურად ჩასართავად დაგეგმოს დამატებითი აქტივობები.**

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

დოკუმენტაციის გაცნობისა და მასწავლებელთან ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა, რომ სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი ელექტრონული საკომუნიკაციო არხები: ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, სოციალური მედია, საინფორმაციო დაფები და ა.შ.

პედაგოგების განცხადებით, ისინი კურიკულუმს განვიხილავენ, არგებენ მოსწავლეთა საჭიროებებს, განიხილავენ კათედრებზე და მნიშნელოვან ნიუანსებზე საუბრობენ პედაგოგიური საბჭოს სხდომაზეც. რაც შეეხება მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობას, მათთანაც აქვთ საჭიროებისამებრ ზეპირი ფორმით კომუნიკაცია და კომპლექსურ დავალებებზე ამახვილებენ ყურადღებას, უხსნიან რა ფორმით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეიძლება ჩაერთონ ისინი ამ პროცესში. სასწავლო წლის ბოლოს ტრადიციულად კათერებზე ხდება ანგარიშების წარდგენა, სადაც ასევე ხდება ყურადღების გამახვილება წარმატებულ და წარუმატებელ აქტივობებზე და გეგმავენ ინტერვენციებს მომდევნო სასწავლო წლისთვის.

მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდების ერთ-ერთ მექნიზმად ასახელებენ მშობლებისთვის ბარათების გაგზავნას, რომლებშიც მოცემულია ინფორმაცია სავალდებულო თემების, დაგეგმილი კომპლექსური დავალებების და შეფასების კრიტერიუმების შესახებ. სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის სკოლა ასევე იყენებენ ინდივიდუალურ შეხვედრებს, მშობელთა კრებებსა და სოციალურ მედიას. მიღებულ უკუკავშირს კათედრის წევრები ითვალისწიენებენ კურიკულუმზე მუშაობის დროს. გასათვალისწინებელია ასევე, რომ სკოლას წინა წლების საგნობრივი კურიკულუმები ატვირთული აქვს სისტემაში, რომელზეც წვდომა აქვს ყველა მასწავლებელს. შექმნილ კურიკულუმებს, ფესტივალების მოწყობით და საერთო სასკოლო აქტივობებში ჩართულობით, იზიარებს სასკოლო საზოგადოებაც. ამას ადასტურებს საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურუკულუმები, ფესტივალის, სასკოლო პროექტების, შიდასასკოლო კონფერენციებში მონაწილეობისა და სხვა აქტივობების ამსახველი მასალები.

მომავალი წლიდან სკოლა გეგმავს ვებ გვერდის შექმნას, სადაც განათავსებს სასკოლო ცხოვრების ყველა დეტალს და საჯარო ინფორმაციას. ასევე, გეგმავენ სხვადასხვა საშუალებების(სოციალური მედიის, ელ. ფოსტის, ბეჭდვითი მასალების, საჯარო ღონისძიებების) გამოყენებას. რაც სასკოლო საზოგადოების კიდევ უფრო მეტ ჩართულობას უზრუნველყოფს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კათედრების სხდომის ოქმები;
- 2022- 23 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- 2022-29 წლის სტრატეგიული გეგმა;
- მასწავლებელთან ინტერვიუ;
- თვითშეფასების კითხვარი;
- საგნობრივი კურიკულუმები
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება
- კოლეჯ ,,აისთან“ გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

**2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. შემუშავებული კურიკულუმები ძირითადად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმის ჩარჩოს გაცნობისა და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურზე მასწავლებლებს აქვთ მზაობა დაგეგმონ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. საბაზო საფეხურზე უცხოური ენების (რუსული, ინგლისური) კურიკულუმები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე - სამიზნე ცნებებზე. კურიკულუმის შემუშავებისას კათედრა ითვალისწინებს წინა წლების შედეგების ანალიზს, შემუშავებულ რეკომენდაციებს და პრობლემების გადაჭრის გზებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფიზიკური აღზრდის კათედრის მიერ საბაზო საფეხურის 7-9 კლასის კურიკულუმებში, გაწერილია სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი კომლექსური დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკური განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლის და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე.
საბაზო საფეხურზე სკოლას აქვს სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული შეფასების ინსტრუმენტებისა და კომპლექსური დავალებების ბარათის შემუშვებისა და გამოყენების პრაქტიკა. მნიშვნელოვანია ის, რომ სკოლა გეგმავს მოსწავლეზე ორიენტირების პროცესისათვის გრძელვადიანი მიზნების მიღწევის გზა შუალედური მიზნებით ისე იყოს დაფარული, რომ სწავლა–სწავლების პროცესში ხორციელდებოდეს კომპლექსური დავალებების შესრულება. ამ თვალსაზრისით კათედრებზე არსებობს რა კომპლექსური დავალებების სწავლების კარგი პრაქტიკული გამოცდილება, კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეების რაოდენობიდან მკაფიო ხდება, რომ იგეგმება კომპლექსურის დანერგვა თითოეულ კლასში. მასწავლებლებთან ინტერვიუსას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე დაგეგმილი კომპლექსურებით უზრუნველყოფენ თემატური ბლოკის/თემის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნების დაფარვას საგნებში.
საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. კურიკულუმებში ასახულია აქტუალური,ნაცნობი თემები, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, კომპლექსური დავალებების პირობები, კონტექსტ მაგალითები და რესურსები. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმის ჩარჩოს გაცნობისა და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურზე მასწავლებლებს აქვთ მზაობა დაგეგმონ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, გლობალურ უნარებს და მაკრო ცნებებს. მასწავლებელთა მიერ შერჩეულია მიზნების შესაბამისი საკითხები. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, იცნობენ და კურიკულუმების შემუშავებისას იყენებენ საგნობრივ სტანდარტს.
კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები და სასაწავლო პროექტები ხელს უწყობს მოსწავლეებს, რომ ინტეგრირებულად და მიზნობრივად გამოიყენონ საკუთარი გამოცდილება ახალი ცოდნის და გლობალურ-ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, ეთიკა, პასუხისმგებლობა) გასავითარებლად,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახვით და გამოყენებითი ხელოვნების ზოგიერთი კლასის კურიკულუმში ზემოთ აღნიშნული სტანდარტთან შესაბამისობაში მცირედი უზუსტობაა, თუმცა კურიკულუმის სტრუქტურული ერთეულები სრულად არის გააზრებული. საბაზო საფეხურის ორივე საგნის კურიკულუმებით დასტურდება რომ, სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალება განიხილება, როგორც შუალედური სასწავლო მიზანი, კათედრას საგნის სწავლება დაგეგმილი აქვს სტანდარტის გრძელვადიანი მიზნების საფუძველზე და თემის ფარგლებში ახორციელებს კომპლექსურ დავალებებს.

საბაზო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით, სწავლება ეფუძნება მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გამოწვევას საგანთაშორისი კავშირებით (გეოგრაფია, ისტორია და მოქალაქეობა) მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებსა და ღირებულებებს. საგანი ,,მოქალაქეობის" კურიკულუმის დაგეგმვის პრინციპი განსაზღვრავს თუ როგორ შეიძლება სასწავლო პროცესში ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარება. კომპლექსური დავალება, ცნებებზე ორიენტირება, საგნობრივი საკითხები, თემები, ძირითადი და დამატებითი რესურსები, შეფასების ინსტრუმენტები მოიცავს მოსწავლეების პიროვნული განვითარებისთვის ძირითად საშუალებას.
კურიკულუმებში გათვალისწინებულია ისეთი აქტივობები, რომლებიც მოსწავლეთა შემოქმედებითი და სხვა უნარების განვითარებას ემსახურება (ესეს, ნახატის, მაკეტის, პოსტერის შექმნა, ჯგუფური პრეზენტაცია, ბროშურების შექმნა) კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებისთვის ტარდება დისკუსიები, დებატები, თავისუფალი გაკვეთილები, სადაც მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი აზრის თავისუფლად დაფიქსირება; აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გეოგრაფიის კურიკულუმში საკმაოდ მრავალფეროვანი პროდუქტები იქნა წარმოდგენილი. მათ შორის, კომპლექსური დავალების იდეები. გაჟღერდა სასკოლო ტიპის კონფერენციის ჩატარების იდეაც, რისთვისაც შეიქმნება სასწავლო მეთოდოლოგიური რესურსი გზამკვლევის სახით, თუ როგორ უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს, როგორ გაუწიონ მიზნობრივი ფასილიტაცია მოსწავლეებს კომპლექსური დავალების ამა თუ იმ პროდუქტის შექმნაში და ა.შ.

საბაზო საფეხურზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია სამიზნე ცნებები, გრძელვადიანი მიზნები. შერჩეულია მიზნების შესაბამისი საკითხები. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, იცნობენ და იყენებენ საგნობრივ სტანდარტს კურიკულუმების შემუშავებისას და გამოიყენებენ მომავალში მათ დასახვეწად. კურიკულუმში წარმოდგენილი ზოგიერთი დავალებისთვის განსაზღვრულია მისაღწევი მიზნები ცნებების სახით. წარმოდგენილი დავალებებიდან და სადამრიგებლო პროგრამიდან ჩანს, რომ მასწავლებლები ითვალისწინებენ ისეთი უნარების განგანვითარებას, როგორიცაა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაზრდა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარები. აღნიშნული დასტურდება მოსწავლეთა ნამუშევარებით და პრეზენტაციებით ბიოლოგიასა და ფიზიკაში. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია და წარიმართება მოსწავლის ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობების და საჭიროებების გათვალისწინებით. ეს დასტურდება როგორც ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით, რომლებშიც განსაზღვრულია გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები, ასევე კომპლექსური ბუნების დავალებებით, რომლებიც ისეა მორგებული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე, რომ მოსწავლემ შეძლოს გამოავლინოს მისი სასწავლო თუ პიროვნული პოტენციალი.
წარმოდგენილ კურიკულუმებში კარგად ჩანს, რომ სამიზნე ცნებაზე მუშაობისას მოსწავლეს აქვს არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა (ქვეცნებების საფუძველზე), საბოლოო პროდუქტიც მრავალფეროვანია. ამ მსჯელობას ამყარებს კათედრებთან ინტერვიუს დროს მასწავლებელთა მიერ სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის პროცესისა და მოსწავლეების მიღწევების აღწერა. მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში, სხვადასხვა აქტივობების დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, საჭიროებებს და იმის მიხედვით ახდენენ დავალების პირობის, აქტივობების მოდიფიცირებასა და დიფერენცირებას. მათ ნარატივს ადასტურებს ნიმუშის სახით მოცემული მოდიფიცირებული დავალება (ინდ.გეგმა 3). პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სკოლა გეგმავს სხვადასხვა აქტივობებს მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის მიზნით და შედეგებიდან გამომდინარე კურიკულუმის მოდიფიცირებას.
საბაზო საფეხურზე კათედრებს აქვთ მზაობა, გაამახვილონ ყურადღება და გაითვალისწინონ 2023-24 წლის კურიკულუმში დიფერენცირებული სწავლების პრინციპები. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ვლინდება, რომ საბაზო საფეხურზე, მასწავლებლები იყენებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტს. შეფასება ემსახურება სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას, პრობლემების იდენტიფიცირებას და მიღწევების შეფასებას. კათედრებს წარმოდგენილი აქვთ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. კათედრებს გააზრებული აქვთ განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის სრულყოფისთვის.
საბაზო საფეხურზე სკოლამ წარმოადგინა შეფასების რამდენიმე რუბრიკა, რომელიც ეყრდნობა სტანდარტით გათვალისწინებულ ინდიკატორებს. ასევე, კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებს აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომლის კრიტერიუმები გრძელვადიანი მიზნების - სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენებიდან გამომდინარეობს. მასწავლებლებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სკოლას აქვს მზაობა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება წარმართოს სამიზნე ცნებებზე დაფუძნებით.

საბაზო საფეხურზე ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმები, რომლებშიც გაწერილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები. რუბრიკები კომპლექსური და შემაჯამებელი დავალების, გაკვეთილის, მოსწავლის თვითშეფასება, მრავალმხრივია და ვალიდურია, რაცსაშუალებას იძლევა მოსწავლეების ცოდნა შეფასდეს ობიექტურად.
ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ შექმნილი შეფასების რუბრიკების საფუძველზე ჩანს, რომ შეფასება მკაფიო, ცალსახად გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაფუძნებით მიმდინარეობს. განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასება ხორციელდება როგორც რუბრიკებით, ასევე განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებით. კომპლექსური დავალება ფასდება განმავითარებელი შეფასებით, მასწავლებლები წერენ კომენტარებს როგორც ელ. ჟურნალში, ისე კონკრეტული აქტივობის/დავალების შესაბამისად, კურიკულუმში/მატრიცებში გათვალისწინებული კომპლექსური დავალებები ინდიკატორებით, რაც მასწავლებლის განმავითარებელი შეფასების გამოყენების საფუძველს ადასტურებს. ასევე წარმოდგენილია მიმდინარე კომპლექსური დავალების დოკუმენტიც ჩაშლილი კრიტერიუმებით, რომელიც განმავითარებელი შეფასების ერთგვარ ინსტრუმენტს წარმოადგენს. დასახელებული მტკიცებულებები, ცხადყოფს, რომ ორივე საგანში ( მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. შესაბამისად, შეიძლება ითქვას რომ კათედრას აქვს მზაობა შეფასება, როგორც სწავლის პროცესის გაუმჯობესების საშუალებად მოიაზრონ, მიზანმიმართულად გამოიყენონ უშუალოდ სწავლის პროცესში და მოახდინონ მოსწავლეების მიღწევების შეფასება
თუმცა, საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი რუბრიკების გარკვეული ნაწილი არის ზოგადი ხასიათის და საჭიროებს დახვეწას. ამიტომ, სკოლას მიეცა რამდენიმე რჩევა. კერძოდ, დაიხვეწოს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. შეფასება გაიწეროს თემების მიხედვით, რომელიც მიმართული იქნება სამიზნე ცნებებსა და მათთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებისაკენ. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შემუშავებისას გამოიყენონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მეთოდიკური ორიენტირები, თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები. ასევე, სამომავლოდ შეფასების რუბრიკები ჩაიშალოს თემების მიხედვით.
საბაზო საფეხურზე მასწავლებლები გეგმავენ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე იმუშაონ ამ მიმართულებით. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებისა და მასწავლებლებთან ინტერვიუზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და
მეთოდიკურ ორიენტირებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან (ძველი და ახალი კურიკულუმის ჩარჩო) და კათედრის წევრებთან საუბრიდან იკვეთება, რომ კურიკულუმის დაგეგმვისას გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. მასწავლებლებმა გაითვალისწინეს ის საჭიროებები, რომელიც გამოიკვეთა წინა წლებში შემუშავებული კურიკულუმის და შეთავაზებული კომპლექსური დავალებების დანრგვის პროცესში. მათ ყურადღება გაამახვილეს ასევე ურთიერთდასწრებაზეც, რაც ეხმარებოდათ სწავლა-სწავლების ძლიერი და გასაუმჯობესებლი მხარეების გამოკვეთაში.
მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი აქტიურად არ იყვნენ ჩართულები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში. აქედან გამომდინარე, აკვირდებიან მოსწავლეთა სასწავლო პროცესსა და მიღწეულ შედეგებს, ეს კი საშუალებას აძლევს მათ მიღებულ გამოცდილებაზე/მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე/საჭიროებებსა და ინტერესებზე დაყრდნობით, დაგეგმონ სასწავლო პროცესი.
მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ასევე აღნიშნეს, რომ სასკოლო კურიკულუმის და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას და გამოწვევებს. წინარე გამოცდილების გათვალისწინებით დგება გადამუშავებული/რევიზირებული კურიკულუმი.
ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლა დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს
წინარე გამოცდილების ანალიზს. შესაბამისად **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სადამრიგებლო პროგრამა 7-8-9 კლასები
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები
- სოლო ტაქსონომიის ნიმუშები
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- სამოქალაქო კლუბი კვარტალური ანგარიში
- კათედრების სხდომის ოქმები
- მულტიდისციპლინარული ჯგუფის დასკვნები
- სპეც-მასწავლებლის სამოქმედო გეგმები
- სამოქალაქო კლუბი კვარტალური ანგარიში
- შეფასების რუბრიკები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მასწავლებლებთან ინტერვიუ

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2კურიკულუმის განხორციელება**

**2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩო დოკუმენტში გაწერილი კომპლექსური დავალებები, მათი კონტექსტ-მაგალითები და რესურსები აძლევს მოსწავლეს საშუალებას ჩაერთოს აქტიურ შემოქმედებით პროცესში. წარმოდგენილ კომპლექსური დავალებების პირობებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეს აძლევს საშუალებას, იყოს არა მხოლოდ პროცესის მონაწილე, არამედ შემოქმედიც, რადგან კომპლექსური დავალების ფარგლებში მას უწევს პრობლემის გადაჭრა, ფიქრი, მსჯელობა და სხვადასხვა ტიპის პროდუქტის შექმნა.
გარდა კომპლექსური ტიპის დავალებებისა, მოსწავლეების აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის მიზნით სკოლაში ხორციელდება სასკოლო პროექტები, სპორტული ღონისძიებები, ფესტივალები, სადაც ჩართულია ყველა მოსწავლე და ინფორმირებული არიან მოსწავლეთა მშობლები. კათედრებთან ინტერვიუს დროს, მასწავლებლებმა იმსჯელეს კონკრეტულ მაგალითებზე (პროექტები (სოციალური/ სასწავლო/ ინტეგრირებული), აქტივობები).
მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა მოსწავლის მაღალი ავტონომიურობა და ჩართულობა. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სამომავლოდ სკოლა გეგმავს თვითმართველობის ინიციატივების წახალისებას.
ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სასკოლო და საკლასო გარემო არის ძალიან ხალისიანი, პოზიტიური, მოწესრიგებული, სასწავლო რესურსებით მდიდარი, რაც ქმნის მამოტივირებელ გარემოს, რომელსაც კარგად იყენებენ მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციისა და პიროვნული განვითარებისთვის. ამას მოწმობს მოსწავლეთა ნამუშევრებიც.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

საბაზო საფეხურის კურიკულუმებში გათვალისწინებულია სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპები, რომელიც გულისხმობს ახალი ცოდნის აგებას წინარე ცოდნაზე დაშენებით. კურიკულუმებში შემოთავაზებულ კომპლექსურ დავალებებში და სასწავლო პროექტებში, ყოველი მომდევნო აქტივობა დაფუძნებულია წინა აქტივობაზე, რაც მოსწავლეს საშუალებას აძლევს გადაჭრას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრობლემა და შექმნას საინტერესო პროდუქტი მისთვის ნაცნობ კონტექსტში. ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ასევე იკვეთება კურიკულუმების ჩარჩოში დალაგებული საკითხებიდან და ქვესაკითხებიდან.

გარდა ამისა, წარმოდგენილ ჩარჩო კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალებების პირობები მოსწავლეს საშუალებას აძლევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით და.ა.შ. სკოლას კურიკულუმის ჩარჩოში ისე აქვს წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრილი თემა, თემის საკვანძო შეკითხვები, მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებების კონტექსტები, საკითხები თუ რესურსები, რომ მკაფიოა ახალი ცოდნის წინარე ცოდნაზე დაფუძნებით კონსტრუირების გახორციელების შესაძლებლობა. მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა მიერ საკლასო სივრცეში მიღებული ცოდნა ფართოდ იშლება სასკოლო პროექტებსა და არაფორმალურ აქტივობებში. სამომავლოდ, საბაზო საფეხურზე კათედრები გეგმავენ გააგრძელონ ამ კუთხით მუშაობა წარმატებული პრაქტიკის გამოყენებით.

ახალი მასალისა და ინფორმაციის დამუშავების პორცესში მასწავლებლებს გააზრებული აქვთ წინარე ცოდნის მნიშვნელობა.

წარმოდგენილი კურუკულუმით დასტურდება, რომ სკოლა ითვალისწინებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნებსა და რეკომენდაციებს. პედაგოგების მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებით ასევე დასტურდება წინარე ცოდნაზე ახალი ცოდნის დაშენება, რამდენადაც კოპლექსური დავალება უზრუნველყოფს კონსტრუქტივისტული პრინციპების დაცვას. შერჩეული კომპლექსური დავალებები ხორციელდება შესაბამისი რესურსებისა და აქტივობების საშუალებით, რაც ცხადყოფს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში ხორციელდება წინარე ცოდნაზე ახალი ცოდნის გაზიარება და და ამ ცოდნის რეალურ ცხოვრებში გამოყენება. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

საბაზო საფეხურზე კათედრების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლაში მხარდაჭერილია მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე. როცა მოსწავლე აანალიზებს შესრულებული დავალებას: მსჯელობს რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება. წარმოდგენილი თემატური მატრიცა და კომპლექსური დავალების ნიმუშები, ამ თვალსაზრისით სასწავლო პროცესის შეფასების საშუალებას იძლევა. სასწავლო პროცესში, აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, მეტაკოგნიტური პროცესების განვითარებაზე, პერსონალური, სოციალური და სწავლის კომპეტენციების დახვეწაზე. წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები და სასაწავლო პროექტები საშუალებას იძლევა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლემ თავად განსაზღვროს და დაგეგმოს აქტივობები, აწარმოოს საკუთარი სწავლის პროცესის მონიტორინგი. წახალისებულია მოსწავლის ცნობისმოყვარეობა და გათვალისწინებულია მისი ინდივიდუალური გამოცდილება. კურიკულუმებში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებულია ისეთი აქტივობები და კითხვები, რომელიც მოითხოვს მოსწავლის მხრიდან დაფიქრებას შესრულებულ სამუშაოზე.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრასთან ინტერვიურებით დგინდება, რომ სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში, აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ ჩვევებისა და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები, ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების, ორგანიზებულობის, თვითკონტროლისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებს, რომ მასწავლებლები თამაშითა და კეთებით სწავლებას მიმართავენ საბაზო საფეხურზეც. სასწავლო პროცესში მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება მოახდინონ საკუთარი მიღწევების ანალიზი, მათი ასაკობრივი ჭრილიდან გამომდინარე მოახდინონ მარტივი დაკვირვება, დაგეგმვა და პრაქტიკაში განხორციელება. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეები, სასკოლო პროექტები, სკოლის სოციალური ქსელზე(facebook) ატვირთული ღონისძიებების ამსახველი ნარატივები და ფოტომასალა ადასტურებს მოსწავლეთა ჩართულობას შემოქმედებით პროცესში(პროექტები(სოციალური/სასწავლო/ინტეგრირებული),აქტივობები). სასწავლო პროცესში წახალისებულია მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვასა და მონიტორინგს. ინდიკატორთან მიმართებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სკოლას საბაზო საფეხურზე აქვს ხედვა, როგორ შეიძლება უზრუნველყოს მოსწავლეებში სწავლის, მრავალფეროვანი სტრატეგიების დაუფლება.

წარმოდგენილი დოკუმენტებითა და ინტერვიურებისას აღწერილი პროცესების გათვალისწინებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლებაზე. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

საბაზო საფეხურზე სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის ჩარჩო, რომელშიც გათვალისწინებულია კომპლექსური დავალებები. კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება კი თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ასევე აღნიშნეს, რომ ისინი მოსწავლეებს აძლევენ დავალებებს, სადაც მათ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უწევთ ფაქტობრივი ცოდნის გამოყენება, მსჯელობა, ანალიზი და საკუთარი დასკვნების ჩამოყალიბება. ყურადღება ამახვილებენ აქტივობებში იმაზე, თუ როგორ უნდა გამოიყენონ მიღებული ცოდნა შემდგომ ცხოვრებისეულ სიტუაციებში.

საბაზო საფეხურზე კომპლექსურ დავალებათა პირობები გაწერილია იმგვარად, რომ მოსწავლეებს სჭირდებათ ფაქტობრივ ცოდნას ამა თუ იმ საკითხზე, აძლევს საშუალებას ეს ცოდნა წარმოაჩინონ დავალების შესრულების სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებულ აქტივობებში და კომპლექსური დავალების პროდუქტის შექმნისას განახორციელებენ მიღებული ცოდნის ტრანსფერს.

საბაზო საფეხურზე უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ პროგრამებში კომპლექსური დავალებები და პროექტული აქტივობები ისეა დაგეგმილი, რომ მოსწავლეები დეკლარაციული ცოდნიდან ეტაპობრივად გადადიან პროცედურულ და შემდეგ პირობისეულ ცოდნაზე. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სამომავლოდ გეგმავენ კომპლექსური დავალებებისა და პროექტების რაოდენობის გაზრდას.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კათედრის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კომპლექსურები დავალებები უზრუნველყოფს მოსწავლეებში სამიზნე ცნებების გააზრებას ცოდნის სამი კატეგორიის (დეკლარაციული, პროცედურული, პირობისეული) ჭრილში. კომპლექსური დავალების პროდუქტებიდან ნათლად ჩანს, რომ მოსწავლეები ფლობენ თეორიულ ცოდნას, ახდენენ მის რეალიზებას და პრაქტიკაში გამოყენებას(პროექტები(სოციალური/სასწავლო/ინტეგრირებული),აქტივობები).

ცოდნის სამივე კატეგორიას ეყრდნობა ასევე საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ საგნობრივი კურიკულუმში წარმოდგენილი მოსწავლეთა დავალებები, არაფორმალური აქტივობები, კომპლექსური დავავალებები და სხვა პროექტები. კომპლექსური დავალების ყველა პროდუქტი (პოსტერები, ინტერვიუ, ბუკლეტები, წერილები, მოდელები, მაკეტები , ელ.რესურსები, წერილები, დღიურები, თხზულებები, ინფოგრაფიკები, საჯარო გამოსვლები და სხვ.) ეყრდნობა ცოდნის სამივე კატეგორიას.

კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის წევრებმა ინტერვიუს დროს კი აღნიშნეს, რომ ისინი მოსწავლეებს აძლევენ დავალებებს, სადაც მათ უწევთ, ფაქტობრივი ცოდნის გამოყენება, ასევე მსჯელობა და ანალიზი. გარდა ამისა, აქტივობებში ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, თუ როგორ უნდა გამოიყენონ მიღებული ცოდნა შემდგომ ცხოვრებისეულ სიტუაციებში.

აღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**5.** სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საბაზო საფეხურის კურიკულუმების თემატური დაგეგმვა, კომპლექსური დავალებები და მრავალფეროვანი აქტივობები გვიჩვენებს საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის რეალიზების გზას და არის ამავდროულად ის მთავარი კომპონენტი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. სწავლა-სწავლების პროცესი ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნის განვითარებაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, ახალი პროდუქტის შექმნაზე. გარდა ამისა, მოსწავლეები აქტიურად მუშაობენ სასწავლო პროექტებზე, რომლის ფარგლებში ხდება სხვადასხვა საგანში მიღებული ცოდნის ერთმანეთთან დაკავშირება და გამოყენება. საბაზო საფეხურზე მასწავლებლები გამოხატავენ მზაობას სასწავლო პროცესი დაგეგმონ ამ პრინციპების გათვალისწინებით და დაგეგმონ მეტი ინტეგრირებული გაკვეთილები და პროექტები.
საბაზო საფეხურზე მუსიკისა და ხელოვნების სწავლებისას სკოლა აცნობიერებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საგნის სწავლების თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, სწორედ ის საკვანძო ასპექტები თუ სტრუქტურულ ერთეულებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. იგი ყოველი განსაზღვრული თემით უზრუნველყოფს სასწავლი მასალის კავშირს მოსწავლის ცოდნასთან, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან. მიემართება მოსწავლეთა ფუნქციური უნარების გამომუშავებას, ორიენტირებულია მოსწავლეთა ცოდნის ტრანსფერზე რეალურ ცხოვრებაში და ქმნის მოსწავლის პიროვნული მოქმედების არეალს. ჩარჩო კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, თემები/საკითხები/ კომპლექსური დავალებები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ნაცნობ კონტაქტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას და მოსწავლეთა ჩართულობას შემოქმედებით პროცესში. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ ხშირად იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა კათედრის მიერ ორგანიზებულ აქტივობებში და ცდილობენ საგანთა შორის კავშირები მიზნობრივი გახადონ სწავლა-სწავლების პროცესში.
ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო პროექტი- გამარჯვების საჯარო სკოლა კვარტლური ანგარიშგება USAID სამოქალაქო განათლების პროგრამა 2022
- სადამრიგებლო პროგრამები 7-9 კლასი;
- საბაზო საფეხურის მოსწავლეთა  ნამუშევრები პროექტის ფარგლებში;
- მასწავლებლებთან ინტერვიუ;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/ატივობები.
- სამოქალაქო კლუბი კვარტალური ანგარიში

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტები, სადაც მართებულად არის გაწერილი თემების მიხედვით კომპლექსური დავალების იდეები, საგნის სამიზნე ცნებები. კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხები მიმართულია სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებისკენ. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემატურ ბლოკებს და საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას) შორის. შუალედური სასწავლო მიზნები (კომპლექსური დავალებები) აზუსტებს სამიზნე ცნებების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. სკოლის მიერ სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის რეალიზება მკაფიოდ იკითხება საბაზო საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიურებისას და კურიკულუმის ჩარჩოებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების იდეებიდან.

თვითშეფასების კითხვარისა და მათემატიკის მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს მიღებული ინფორმაციის ანალიზმა აჩვენა, რომ მათ მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. 2023-2024 სასწავლო წლიდან შუალედური სასწავლო მიზნები მკაფიოდ იქნება განსაზღვრული გრძელვადიან (საფეხურის) სასწავლო მიზნებზე. კურიკულუმის ჩარჩოები შემუშავებულია მესამე თაობის ესგ სტანდარტის შესაბამისად. ასევე შემუშავდება შეფასების რუბრიკები, რომელიც მოსწავლეს დაეხმარება გაითავისოს სამიზნე ცნება და მისი მკვიდრი წარმოდგენები საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

საბაზო საფეხურის უცხოური ენების კურიკულუმის ჩარჩოებში გამოკვეთილია სამიზნე ცნებები, რომელსაც მიემართება შერჩეული კომპლექსური დავალებები, წარმოდგენილია ქვეცნებათა და ქვესაკითხთა იერარქია, რომელთა ურთიერთდაკავშირებულად შესწავლის საფუძველზე მოსწავლე ქმნის მიზნობრივ მთლიანობას საბოლოო პროდუქტის სახით. სასწავლო წლის დასაწყისისთვის მასწავლებლები გეგმავენ კომპლექსური დავალების კრიტერიუმების გადახედვასა და დახვეწას, რაც მოსწავლეებს მისცემს განზოგადების საშუალებას და უზრუნველყოფს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

საბაზო საფეხურზე, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტები, სადაც მართებულად არის გაწერილი სტანდარტის შესაბამისად თემები, საგნის სამიზნე ცნებები. კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხები მიმართულია სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებისკენ. ბიოლოგიაში არ არის შეტანილი კომპლექსური დავალებები, თუმცა ინტერვიუს დროს პედაგოგმა აღნიშნა, რომ სწავლის დასაწყისში მოახდენს კომპლექსური დავალებების გაწერას თემებსა და საკითხებთან მიამრთებაში. ფიზიკასა და ქიმიაში წარომდგენილი აქვთ საბაზო საფეხურის კურიკულუმში კომპლექსური დავალებები; სკოლამ გამოთქვა მზაობა, რომ გააგრძელებენ კურიკულუმის განვითარებას ამ პრინციპით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა შესწავლისა და ინტერვიუების შედეგად დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობითა და გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ სწავლა-სწავლების პროცესში ყურადღება მახვილდება არა მხოლოდ მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე, არამედ მათ პიროვნულ და სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზე. მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა, ჩაერთოს აქტიურ შემოქმედებით პროცესში. იმსჯელოს, გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება, შეძლოს გუნდური მუშაობა, თანამშრომლობა, დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები. კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ მათ შესასრულებლად საჭირო აქტივობები ხელს შეუწყობს მოსწავლის პიროვნულ და სოციო-ემოციურ განვითარებას. ასევე, საბაზო საფეხურზე კლასის საათისათვს შერჩეული თემატიკა, კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული თემები და დავალებები ადასტურებს, რომ კათედრებს აქვთ მზაობა იმუშაონ ამ მიმართულებით და გაითვალისწინონ მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმების დაგეგმვისას.
ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის მიერ წარმოდგენილ კურილულემებში გაწერილ თემებზე დართულია ჰიპერლინკები, რომლებიც ასახავს სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს და ქართველი სპორტსმენების მიღწევებს. ასევე, მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ ფსიქო-ემოციურ კეთილდღეობას ხელს შეუწყობს მასწავლებლების მიერ დაგეგმილი მოსწავლეების შესაქმნელი პროექტები.
ესთეტიკური კათედრის საბაზო საფეხურის საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი ორიენტირები, თემები, კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შერჩეული თემები და კომპლექსური დავალებები მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ *სოციო*-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე მოსწავლეებს ნამუშევრის შექმნისას უწევთ თვითგამოხატვა, მუსიკალური ნაწარმოების მოსმენისას და მსჯელობისას უწევთ საკუთარი ემოციებზე, გრძნობებზე დამოკიდებულებებზე საუბარი.
წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საბაზო საფეხურზე კომპლექსური დავალების ფორმაში მოცემულია შეფასების კრიტერიუმები, რომლიდანაც ნათლად ჩანს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერა. სკოლა იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმს, სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას.
საბაზო საფეხურზე უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების მასალები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი და ანგარიშები ადასტურებს, რომ ჰოლისტური შეფასების პრინციპები მეტწილად გათვალისწინებულია მოსწავლის შეფასებისას, ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და განუყოფელი ნაწილია მოსწავლის სასწავლო საქმიანობის. შეფასების მიზნები შეესაბამება მოსწავლეების საჭიროებებს, ეხმარება მათ განავითარონ ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები, რომლებიც მათ ცხოვრების მანძილზე დასჭირდებათ. კათედრას შემუშავებული აქვს ზოგადი სახის და კონკრეტულ დავალებაზე მორგებული შეფასების რუბრიკები, თუმცა, ახალი სასწავლო წლიდან, გეგმავენ მეტი ინტენსივობით გამოიყენონ ახალ ფორმატში შემუშავებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრასთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე ფიზიკურ აღზრდაში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიზანმიმართულად გამოიყენება. საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, საგაკვეთილო პროცესში საანსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება , სიტყვიერი კომენტარები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას.
მოცემული მტკიცებულებებისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ რომ მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესში შეფასება ორიენტირებული იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.
სკოლის მიერ მოწოდებული მასალებიდან ირკვევა, რომ მათ მიერ გამოყენებულია შეფასების ფორმების მრავალფეროვნება: ესსე, პროექტის მომზადება, ზეპირი გამოსვლა, წარმოდგენა, წერითი ნაშრომი არგუმენტირებული მსჯელობა,შესასვლელი და გასასვლელი ბარათები, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ბარათები, სიტყვიერი განმავითარებელი კომენტარი, მყისიერი უკუკავშირი და სხვ. ასევე, შერჩეული და შექმნილი შეფასების რუბრიკები ადასტურებს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობას. შესაბამისად, **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და გასაუბრებაზე დაყრდნობით აღვნიშნავთ, სკოლაში მოსწავლეთა შეფსება ხდება ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. იმისათვის რომ მოსწავლეებს ჰქონდეთ განცდა, რომ შეფასება არის გამჭვირვალე და ობიექტური, მათი აზრი გათვალისწინებულია შეფასების რუბრიკების შექმნაში. შეფასების ინდიკატორებს მასწავლებლები აცნობენ მოსწავლეებს და განიხილავენ მათთან ერთად. ამასთან ერთად, რუბრიკები გამოკრულია სასწავლო სივრცეში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საბაზო საფეხურის მასწავლებლები თვლიან, რომ შეფასების კრიტერიუმები გაზიარებული უნდა იყოს სასკოლო საზოგადოების და სასკოლო თემის დაინტერესებული პირების მიერ. მოსწავლეებთან ერთად, ინფორმირებულნი უნდა იყვნენ მშობლები, რადგან შეფასების კრიტერიუმების ღიაობა და ობიქტურობა ხელს უწყობს სკოლას ამ მიმართულებით სანდოობის მაღალი ხარისხი ჰქონდეს. ამ მიმართულებით კათედრები გეგმავენ მომდევნო სასწავლო წლისთვის დამატებით შეიმუშაონ და დანერგონ შეფასების ახალი ინსტრუმენტები. იგეგმება კომპლექსური დავალებების შეფასების რუბრიკების შექმნა.
საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას შერჩეული აქვს სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი, რომლის საფუძველზეც ფასდება გრძელვადიანი სამიზნე ცნებების დამუშავების პროცესი, რაც შეფასების სისტემას კიდევ უფრო სანდოს და გამჭვირვალეს, ობიექტურს და სამართლიანს ხდის.
სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები იძლევა დასკვნის საშუალებას, რომ საბაზო საფეხურზე შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

სკოლაში მოქმედებს და სისტემატიურად მიმდინარეობს მუშაობა შეფასების ვერიფიკაციის ერთიანი მოდელის დასახვეწად. შეფასების პროცესის ვალიდურობის მიზნით სკოლაში იყენებენ სხვადასხვა საშუალებებს: მრავალფეროვან რუბრიკებს, შემაჯამებელი დავალებების ანალიზს, მასწავლებელთა და მოსწავლეთა რეფლექსიებს და უკუკავშირს. სკოლის ადმინისტრაცია ახორციელებს შეფასების პროცესების მონიტორინგს და დაკვირვების შედეგად ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა, მოქმედ სტანდარტებთან. საბაზო საფეხურის მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს კათედრებზე შემაჯამებელი დავალებების ანალიზის წარდგენაზე და განხილვაზე, შეფასების რუბრიკების შემუშავებაზე, თუ როგორ ხდება მოსწავლის პროგრესის დანახვა, რომელიც საშუალებას აძლევს მათ რეალურად გაზომონ მოსწავლის მიღწევის ანალიზი. ასევე აქტიურად ფუნქციონირებს ხარისხის ჯგუფი, რომელიც ახორციელებს გაკვეთილებზე დაკვირვებას, შეფასების მექანიზმების გამოყენების მონიტორინგის მიზნით. სკოლა მომავალში გეგმავს ვერიფიკაციის მექანიზმების დახვეწასა და განვითარებას.
სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და მასწავლებლებთან ინტერვიუზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ სკოლას აქვს მზაობა და პოტენციალი აღნიშნული მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები გადადგას. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სკოლა უზრუნველყოფს შეფასების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. (ელექტრონული ჟურნალი, შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების შეფასებები, მოსწავლეთა ნამუშევრები/ტესტები.) გარდა ამისა, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები, როგორიცაა: გასული წლის სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოს ოქმები, ჩატარებული გაკვეთილის შეფასებები, რეფლექსიები, გასულ წლებში ჩატარებული გაკვეთილის გეგმები და უკუკავშირები, აგრეთვე მოსწავლეთა პირადი საქმეები და მათში ასახული როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასებები ცხადყოფს, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საბაზო საფეხურის კურიკულუმები
- კომპლექსური დავალებები
- ისგ ჯგუფის სხდომის ოქმები;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- მასწავლებლებთან ინტერვიუ
- თვითშეფასების კითხვარი
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- სასწავლო პორცესში გამოყენებული აქტივობები/მასალები.

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან ირკვევა,რომ სკოლაში შექმნილია კეთილგანწყობილი და უსაფრთხო გარემო თანამშრომლობითი და პოზიტიური კომუნიკაციისთვის. წახალისებული და მხარდაჭერილია მოსწავლეთა ინიციატივები. მოსწავლეები ჩართულები არიან სხვადასხვა აქტივობებისა თუ ღონისძიებების დაგეგმვის საკითხებში.

მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. სასკოლო საზოგადოებას აქვს გამოხატვის შესაძლებლობა და ქმნიან ნაყოფიერ სივრცეს თანამშრომლობითი და პოზიტიური კომუნიკაციისთვის სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. ამის დასტურია კათედრის წევრებს შორის თანამშრომლობა, მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლისა და მასწავლებლის თანამშრომლობითი ურთიერთობები.
მოსწავლეთა მხარდაჭერას უზრუნველყოფს ასევე შეფასების სისტემა და რესურსების თანაბარი ხელმისაწვდომობა საბაზო საფეხურის ყველა მოსწავლისთვის. წარმოდგენილი საგნობრივი კურუკულუმები, სკოლის სამოქმედო გეგმა, სასწავლო პროცესში გამოყენებული სტრატეგიები, საკლასო პროექტები და სხვა აქტივობები ორიენტირებული მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებზე. გარდა ამისა, სკოლა სამომავლოდ გეგმავს, შეიმუშავოს ახალი მოსწავლეების სკოლაში ინტეგრირების ეფექტური მექანიზმები.
ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს, მათ შესაძლებელობებს და ქმნის სივრცეს მათი პოტენციალის რეალიზებისთვის; ასევე ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის; ვლინდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და მონაწილეობა სკოლის განვითარებაში, რომელიც ეფუძნება გაზიარებულ პასუხისმგებლობას
ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე დგინდება,რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეებზე. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები თუ განხორციელებული პროექტები, გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ინტერესებს, ფიზიკურ, ფსიქიკურ მახასიათებლებს, ემოციურ ინტელექტს. პედაგოგები აძლევენ მათ არჩევანის შესაძლებლობას და სთავაზობენ ინტერესების შესაბამის დავალებებს.
სასწავლო პროცესი მოსწავლეზე ორიენტირებულად წარიმართება. ამის მაგალითებია მოსწავლის ინტერესების შესაბამისი კომპლექსური დავალებების და პროექტების დაგეგმვა და განხორციელება. ასევე, არასაგაკვეთილო და კლასგარეშე აქტივობები. უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვას სახის სპორტულ ოლიმპიადებში, სასკოლო სპორტულ ფესტივალებში, რომლებიც მორგებული და ორიენტირებულია მოსწავლეების ინტერესებზე.
იმისათვის რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლეზე ორიენტირებულად, სკოლა იყენებს დიფერენცირებულ მიდგომებს. სკოლის მიზანია თითოეული მოსწავლის ჩართულობის გაზრდა საგაკვეთილო პროცესში და მოტივაციის ამაღლება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, დასტურდება, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური, მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგენული სასწავლო გარემო და სასწავლო პროცესი ნამდვილად წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან იკვეთება, რომ სკოლაში მაღალია თანამშრომლობითი კულტურა და გუნდური მუშაობის პრინციპი. როგორც საბაზო კლასების პედაგოგებმა აღნიშნეს, ისინი ინტენსიურად ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას. სკოლაში დანერგილია ,,კრიტიკული მეგობარის" პრაქტიკა.
მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზების მიზნით მასწავლებლები დიდ ყურადღებას უთმობენ საგანთა შორის კავშირებს. ტარდება ინტეგრირებული და ურთიერთდასწრების გაკვეთილები, დისკუსიები, ჯგუფური პროექტები, პრეზენტაციები, შემეცნებითი და სპორტული აქტივობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხშირად იმართება კათედრების შეხვედრები, რომელზეც იგეგმება და შემდეგ ხორციელდება სასკოლო პროექტები. თანამშრომლობის შედეგს წარმოადგენს ასევე საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები, მასში შემავალი აქტივობები, კომპლექსური დავალებები და შეფასების რუბრიკები.
საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესის აღწერისას, ჩანს სკოლაში დამკვიდრებული პედაგოგების ერთმანეთთან და სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობის გამოცდილება. მშობლებს, სხვა საგნის პედაგოგებსა და სამეურვეო საბჭოს აქვთ საშუალება გაეცნონ სკოლის სასწავლო პროცესში შემოთავაზებულ ინოვაციებსა და ახალ მეთოდებს. სასკოლო საზოგადოებას აქვს ინფორმაცია საბაზო საფეხურზე ჩატარებული სხვადასხვა აქტივობების შესახებ. სამომავლოდ სკოლა გეგმავს მშობლების კომპონენტის გაძლიერებასა და სასკოლო თემის ჩართულობას სკოლის განვითარებაში პროექტების გამოყენებით.
ყოველივე ზემოაღნიშნული გვაძლევს საშუალებას ჩავთვალოთ, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სკოლაში უზრუნველყოფილია კეთილგანწყობილი და პოზიტიური გარემო სკოლისა და კლასის დონეზე. სკოლა ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის თანამშრომლობით კავშირებს, რომელიც მოიცავს აკადემიურ და პიროვნულ ზრდას, ზრუნვას, პატივისცემას, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობას და მათ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. პოზიტიური კლიმატის უზრუნველსაყოფად, სასკოლო საზოგადოებაში ფუნქციები და მოვალეობები გადანაწილებულია თანაბრად. კოლეგებსა და მოსწავლეებთან, მათ შორის მშობლებთან სისტემატიურად ხდება პოზიტიური უკუკავშირის გაცვლა. მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ დაუყოვნებლივ რეაგირებენ სასკოლო საზოგადოების უკუკავშირზე.
სკოლაში თითოეული მოსწავლის ინიციატივა აღიარებული, მიღებული და წახალისებულია. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ იგეგმება და ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები და აქტივობები მიკუთვნებულობის გრძნობისა და თანამშრომლობითი უნარ-ჩვევების ჩამოსაყალიბებლად.
გარდა ამისა, სასკოლო საზოგადოების წევრები ერთობლივად ავითარებენ სასკოლო კურიკულუმს, გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებსა და არაფორმალური განათლების მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებს.

მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები. არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, თავისუფლად წარმოადგინონ დავალებები და იყვნენ მეტად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თავდაჯერებულები. ამასთანავე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოსწავლეთა ნაშრომების შეფასებისას სკოლის მასწავლებლები იყენებენ ობიექტურ კრიტერიუმებს, ყურადღებას ამახვილებენ მოსწავლეთა წახალისების საშუალებებზე.

სკოლას შემუშავებული და თვალსაჩინო ადგილზე გამოკრული აქვს სკოლის შინაგანაწესი, რომელსაც დამრიგებლები მათთვის გასაგები ენით, ასაკის შესაფერისი ლექსიკისა და ტერმინოლოგიის გამოყენებით აცნობენ მოსწავლეებს. საბაზო საფეხურის მოსწავლეების ჩართულობით ჩატარებული სოციალური/სასწავლო/ინტეგრირებული პროექტებითა და სხვა ღონისძიებებით ბავშვებს სხვადასხვა უნარის აღმოჩენის, საკუთარ ძალებში დარწმუნების, მეგობრების შეძენისა და თანატოლებთან ურთიერთობის საშუალება ეძლევათ.

შესაბამისად, დგინდება, რომ საბაზო საფეხურზე უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- 2022- 23 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- 2022-29 წლის სტრატეგიული გეგმა
- სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება
- მასწავლებელთან ინტერვიუ
- სკოლის შინაგანაწესი და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სხვა მასალები
- შეფასების მასალები
- სასწავლო პროექტები
- წახალისების ბრძანებები
- მულტიდისციპლინარული ჯგუფის დასკვნები;
- სპეცმასწავლებლის სამოქმედო გეგმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.2.3 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სკოლაში ეტაპოვრივად ხორციელდება კურიკულუმების მონიტორინგი. პედაგოგები თვითრეფლექსიის, კოლეგების ურთიერთშეფასებისა და კათედრებზე მსჯელობის საფუძველზე გამოკვეთენ საჭიროებებს, რასაც ითვალისწინებენ კურიკულუმის დაგეგმვისას.
სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის მართვის ჯგუფი, რომელიც ახორციელებს გაკვეთილებზე დასწრებას და მასწავლებელთა საჭიროებების იდენტიფიცირებას. მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ კათედრებზე აქვთ სწორი ხედვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით. პედაგოგების განცხადებით, კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი, მონიტორინგი და შეფასება კი ამ პროცესის ნაწილია. შესაბამისად, 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს შეიმუშაოს სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომელშიც დეტალურად იქნება გაწერილი აღნიშნული პროცესის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები, მიზნები, ამოცანები, ვადები, ინდიკატორები და სხვა დეტალები.
გარდა ამისა, სასკოლო კურიკულუმების დანერგვის მონიტორინგისათვის სკოლის დირექცია აკვირდება სასწავლო პროცესს, თუ რამდენად სწორად და მიზანმიმიმართულად ხორციელდება დაგეგმილი კომპლექსური დავალებები. ამ მიზნით გამოყენებულია წინასწარ შემუშავებული დაკვირვების ფორმა. შეფასების ინდიკატორები შეესაბამება ესგ-ს სტანდარტს და არის გამჭვირვალე. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგის წარმოებისთვის მხარდაჭერის მიზნით სასწავლო პროცესზე დაკვირვება ხდება სისტემატიურად. დაკვირვება ხდება ფოკუსირებულად კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით.
სკოლას მიეცა რჩევა, შეიმუშაოს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზნები კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომელიც აისახება სკოლის მიერ წარმოებულ დოკუმენტაციაში, კათედრის ოქმებში, ანგარიშებში და დებულებებში.
ზემოთ აღნიშნულის თანახმად დგინდება, რომ სკოლა გამოხატავს მზაობას განახორციელოს მონიტორინგი და შეფასება კურიკულუმისთ განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძელზე ირკვევა, რომ მონიტორინგისა და შეფასების საფუძველზე ხდება საჭიროებების გამოკვეთა, რაც ორიენტირებულია მოსწავლე-მასწავლებელთა მხარდაჭერაზე. მტკიცებულებებზე დაყრდნობით მასწავლებლებს შეუძლიათ შეაფასონ მოსწავლის სწავლის პროცესი, დაადგინონ ის სფეროები და უნარები, სადაც მოსწავლეს დახმარება სჭირდება, მისცენ უკუკავშირი და მიგნებების გათვალისწინებით დაგეგმონ სწავლის პროცესი. ასევე მასწავლებლებს და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებსაც, შეუძლით შეფასონ საკუთარი მუშაობის პროცესი და მოძებნონ გამოსავალი გამოწვევებზე.

სკოლაში განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების ძირითადი დანიშნულებაა სასკოლო საზოგადოების გაძლიერება, მხარდაჭერა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესება. გასაუბრების დროს მასწავლებლების მიერ აღინიშნა, რომ მუდმივად ადევნებენ თვალყურს სასწავლო პროცესს და აანალიზებენ რამდენად სწორად იყო დაგეგმილი პროცესი, შერჩეული რესურსები და აქტივობები ხელს უწყობს თუ არა საკითხების დამუშავებას, ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გააქტიურებას და იძლევა თუ არა ცოდნის კონსტრუირების საშუალებას. საბაზო საფეხურზე კათედრის წევრებს აქვთ ურთიერთდასწრების პრაქტიკა, რის შედეგადაც ისინი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ახორციელებენ რეფლექსიას, უკუკავშირს, აანალიზებენ გამოკვეთილ პრობლემებს, უზიარებენ კოლეგებს და ერთობლივად გეგმავენ გაუჯობესების გზებს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ მიზნით სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერი ჯგუფიც.
აღნიშნულის გათალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე ირკვევა, რომ საბაზო საფეხურზე მასწავლებლებს გააზრებული აქვთ მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელობა სწავლა-სწავლების პროცესში. სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე პედაგოგები თვითრეფლექსიის, კოლეგების ურთიერთშეფასების და კათედრებზე მსჯელობის პროცესში ეძებენ გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის გზებს. მიღებულ შედეგებს და მიგნებებს ითვალისწინებენ მომავალში პროცესების უკეთ წარმართვისთვის.

სკოლას მიეცა რჩევა, გაითვალისწინოს მონიტორინგისა და შეფასების გაძლიერების მიზნით, სადიაგნოსტიკო კვლევაზე დაფუძნებული ანალიზის შედეგები და საჭიროებები.
სკოლა გეგმავს განახორციელოს მონიტორინგისა და შეფასების პროცესი და ანალიზში ასახოს კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განსაზღვროს ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის. ასევე, გაკვეთილებზე ურთიერთდაკვირვებითა და კრიტიკული მეგობრის საშუალებით სკოლა გეგმავს შეიმუშავოს პრიორიტეტული და სტრატეგიული ხედვა და ასახოს სამოქმედო გეგმასა და კურიკულუმებში.
დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- 2022- 23 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- 2022-29 წლის სტრატეგიული გეგმა
- საგნობრივი კურიკულუმები
- ხარისხის განვითარების ჯგუფის ოქმები
- კათედრის ოქმები
- ურთიერთდასწრების ფორმები
- მასწავლებლებთან ინტერვიუ

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

თვითშეფასების კითხვარიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამომდინარე ,ირკვევა, რომ შეფასებისას იყენებენ მრავალფეროვან მეთოდებს-კითხვარებს, ინტერვიუებს სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან(მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი, სხვა დაინტერესებული პირი), რათა მიიღონ სრული და რეალური სურათი. მასწავლებელთა მიერ სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებულია ჰოლისტური შეფასების მიდგომები, სადაც მოსწავლეების ემოციურ-სოციალურ-კოგნიტურ უნარების შეფასება წარმოჩინდება საგანთა და თემებს შორის კავშირებით, პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით.
საბაზო საფეხურზე შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ფოკუსირებულია მოსწავლეთა მუდმივ განვითარებაზე. მისი უზრუნველყოფა ხდება მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებით. შეფასებისას კათედრა ეყრდნობა ისეთ წყაროებს როგორიცაა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპლექსური და შემაჯამებელი სამუშაოების შედეგები, მოსწავლეთა უკუკავშირი, დაკვირვება სასწავლო პროცესზე. მონაცემების მიხედვით კეთდება ანალიზი და კურიკულუმში ცვლილებების შეტანა. ახალი 2023-2024 სასწავლო წლისათვის სკოლა გეგმავს შეფასებისას კიდევ უფრო მეტი ყურადღება დაუთმოს განმავითარებელ შეფასებას.
საბაზო საფეხურის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები საჭიროებს დახვეწას. ფიზიკური აღზრდის პედაგოგთან ინტერვიუდან გამომდინარე ირკვევა, რომ საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენება სიტყვიერი კომენტარი, რომელიც მიმართულია მოსწავლის დადებითი მხარის წარმოსაჩენად და რჩევების ზუსტად და გასაგებად მიცემაში, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეების განვითარებას და სასწავლო პროცესის შედეგების გაუმჯობესებას.
სკოლას მიეცა რჩევა, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების გადამუშავების დროს და პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით, გამოიყენოს სადიაგნოსტიკო შეფასების ანალიზი.
სკოლას აქვს მზაობა, სასკოლო კურიკულუმების განვითარებასთან ერთად, შეიმუშავოს მრავალფეროვანი შეფასების მეთოდები. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით: მოსწავლეთა უკუკავშირის, კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებების შედეგების გათვალისწინებით. გარდა ამისა, სკოლა შეფასებისას ითვალისწინებს მოსწავლის სოციალურ და ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას, რომლის შესახებაც იღებს ინფორმაციას კლასის დამრიგებლისგან და მშობლისგან.
გამომდინარე იქიდან, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტის წინაპირობასა და ფაქტორებზე დაყრდნობით, სკოლას ეძლევა საშუალება მოსწავლის იდენთიფიცირება მოახდინოს მრავალი კუთხით. მოსწავლეზე სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად ხდება მოსწავლეთა შესაძლებლობების შესწავლა ყველა კონტექსტში და დადგენა, თუ რა მიმართულებით არიან ძლიერნი და რაში ჭირდებათ მეტი მხარდაჭერა. მასწავლებლები მოსწავლეებზე დაკვირვებას ახორციელებენ სხვადასხვა სიტუაციაში, იქნება ეს ფორმალური თუ არაფორმალური გარემო: სასკოლო ექსკურსიები, ლაშქრობა, შემეცნებითი გასვლები, სხვადასხვა კლუბებში და წრეებში ჩართულობა და სხვა. მოსწავლეთა შესაძლებლობების დაზუსტების საშუალებით სკოლა ახორციელებს მათ საჭიროებაზე მორგებულ აქტივობებს.
საბაზო საფეხურზე მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ მომავალ სასწავლო წელს, კათედრები გეგმავენ გააგრძელონ შეფასების მექანიზმის დახვეწასა და განვითარებაზე მუშაობა. ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

მოსწავლეთა მიღწევების მონაცემების შესაგროვებლად, პედაგოგების მიერ გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალების ანალიზი, გაკვეთილზე დაკვირვება, რეფლექსია, მოსწავლეთა უკუკავშირი, განმავითარებელი კომენტარი. სკოლა სამომავლოდ აპირებს ისეთი მეთოდების გამოყენებას, როგორიცაა ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს ჯგუფი, ტესტირება. აღნიშნულის საფუძველზე მოხდება ინფორმაციის დამუშავება და დახარისხება, რაც საშუალებას მისცემს სკოლას შეფასების ჰოლისტური მიდგომებით დააბალანსოს და გამოკვეთოს თითოეული მეთოდის სუსტი და ძლიერი მხარეები. მასწავლებლებმა ინტერვიუზე აღნიშნეს, რომ საბაზო საფეხურის მოსწავლის შეფასებისას მასწავლებელი მხოლოდ მის შექმნილ პროდუქტს არ აკვირდება, ითვალისწინებენ მოსწავლის წინარე ცოდნას, ინტერესებს, ემოციებს, დამოკიდებულებას საკითხისა და საგნის მიმართ.
გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას აქვს შეფასებისას მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენების პრაქტიკა და მომავალში გეგმავს მის კიდევ უფრო დახვეწას, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

სკოლა ითვალისწინებს, რომ შეფასებისას მნიშვნელოვანია ხედვის პერსპექტივა, მოვლენის, სიტუაციის, ინდივიდის შესწავლისას მასზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება. ამას აგრეთვე ხელს უწყობს მშობლებთან, დამრიგებლებთან მჭიდრო კომუნიკაცია. საბაზო საფეხურზე პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლის მიმართ მულტიფაქტორულ მიდგომებს, რომელიც დიდ გავლენას ახდენს შედეგზე, მოსწავლის თვითშეფასებაზე და ავტონომიურობაზე. მოსწავლე ფასდება მრავალმხრივი უნარის გააზრების და შეფასების საშუალებით. რაც მოსწავლეზე მორგებული სასწავლო პროცესის უკეთ დაგეგმვის საფუძველს ქმნის. ეს ყოველივე კი ხელს უწყობს მოსწავლეს განივითაროს აკადემიური და პიროვნული უნარები.
საბაზო საფეხურზე მოსწავლის თვითშეფასების ასამაღლებლად იყენებენ მამოტივირებელ შეფასებას, მშობლებთან წერილობით და ზეპირ უკუკავშირს მოსწავლის წარმატებასთან დაკავშირებით, ჯილდოებს, სიგელებს და სკოლის გვერდს.
გარდა ამისა, კათედრები მუშაობენ ისეთი შეფასების კრიტერიუმებზე, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მოსწავლის წინაპირობები და პროგრესი, კერძოდ, საკლასო გარემო, მოსწავლის ინტერესები, ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, ინდივიდუალური შესაძლებლობები, ანუ, ყველა ის ფაქტორი, რომელმაც შეიძლება გარკვეული ზეგავლენა მოახდინოს სწავლა- სწავლების პროცესზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ირკვევა ,რომ სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა შეფასება განახორციელოს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. შესაბამსიად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- 2022- 23 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- 2022-29 წლის სტრატეგიული გეგმა
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები
- სოლო ტაქსონომიის ნიმუშები
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- მასწავლებლებთან ინტერვიუ

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**

**i. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

სკოლას შემუშავებული აქვს სწორი ხედვა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით. სასწავლო წლის ბოლოს, საგნობრივი კათედრების მიერ ხდება წლის განმავლობაში განხორციელებული კურიკულუმის რევიზია და ანალიზი, რომლის ფარგლებშიც, მასწავლებლები, კათედრის წევრები, მშობლები და მოსწავლეები ერთად მსჯელობენ და განიხილავენ განვლილ სასწავლო წელს, განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებს, მათ ეტაპებს, საკითხებსა და შედეგებს. ამ მსჯელობის საშუალებით იგებენ, რომელმა მიდგომამ და მეთოდმა გაამართლა და რა საჭიროებს დახვეწას.
2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს შეიმუშაოს სასკოლო კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი.
სკოლას აქვს მზაობა შექმნას გარკვეული ტიპის მექანიზმი/საჭიროებათა პაკეტი, რომელიც ხელს შეუწყობს კურიკულუმის განვითარებას და მის მორგებას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და მოსწავლეთა საჭიროებებზე. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში მიმდინარე პროცესები ოთხ ეტაპად მიმდინარეობს: დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და გადასინჯვა. სასწავლო წლის დასაწყისში ახალი საგნობრივი კურიკულუმი იქმნება წინა წლის შედეგების ანალიზზე. მისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შედგენისას გათვალისწინებულია ის სირთულეები, რომელიც მის დანერგვის პროცესში შეიქმნა. სკოლა აგროვებს წინა წლის გამოცდილებას, ირჩევს სტრატეგიას ამ გამოცდილების გამოსაყენებლად სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად. აღნიშნული ხორციელდება სკოლის ადმინისტრაციის, მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების თანამონაწილეობით. სკოლის ბაზაზე აქტიურად ვლინდება კათედრების წევრთა შორის და სხვა საგნობრივ კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა, გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ერთობლივი ძიება.

მომდევნო სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს, ამ პროცესებს მისცეს დოკუმენტის სახე, რომელშიც დეტალურად იქნება გაწერილი, სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების ყველა ეტაპზე პასუხისმგებელი პირები და მათი ფუნქცია-მოვალეობანი. განხორციელდება მონიტორინგი და მოხდება მიღებული შედეგების შეფასება.

გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ არის მზაობა, პროცესების მონიტორინგისა და შედეგების ანალიზზე დაყრდნობით, კათედრებმა შეიმუშაოვონ კურიკულუმების გადამუშავებული ვერსიები და მიგნებები ასახონ გაამუშავებულ კურიკულუმებში.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- 2022- 23 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- 2022-29 წლის სტრატეგიული გეგმა
- საგნობრივი კურიკულუმები
- საავტორიზაციო განაცხადი
- მასწავლებლებთან ინტერვიუები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

# ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

## I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი** (საშუალო საფეხური) | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2. სასკოლო კურიკულუმი - საშუალო საფეხური**

**2.1. კურიკულუმის შემუშავება**

**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

საშუალო საფეხურზე კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია მიემართება მოსწავლეთა ინტერესებს და შესაძლებლობებს. მასში გათვალისიწნებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და წინა სასწავლო წლის კურიკულუმის ანალიზი. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ კურიკულუმს შეიმუშავებენ თანამშრომლობით. მათი პროცესში ისინი ითვალისწინებენ როგორც საგნობრივი კათედრის წევრების, ასევე სხვა კათედრების მოსაზრებებსა და გამოცდილებას. ასევე, ცდილობენ კურიკულუმების შემუშავების პროცესში აქტიურად ჩართონ მოსწავლეთა მშობლებიც, რომლებთან ერთადაც პერიოდულად განიხილავენ აქტუალურ და პრობლემურ საკითხებს. საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება კონკრეტული გამოცდილების, ინეტერესებისა და ხასიათის მქონე ინდივიდად, რომელიც თავად არის საკუთარი ცოდნის მწარმოებელი და სწავლის პროცესის წარმმართველი. სიღრმისეული სწვალის უზრუნველყოფა ხორციელდება სწავლების კონსტრუქტივისტული ფილოსოფიით, კერძოდ, კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნა, სასწავლო მასალის ეტაპობრივად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიწოდება, ახალი საკითხების, ცნებების საფუძვლიანად და განსხვავებულ კონტექსტებში განხილვა, საგანთაშორისი კავშირების გამოვლენა და საერთო ასპექტების დამუშავება.
მოსწავლეებს საშუალო საფეხურზე აქვთ შესაძლებლობა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე აირჩიონ არჩევითი საგნები. მოსწავლეთა ინტერესები მაქსიმალურად გათვალისწინებულია კლუბურ მუშაობაში. კლუბის სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში ჩართული არიან კლუბის წევრი მოსწავლეები
**სკოლას მიეცა რჩევა, სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინების მიზნით, კითხვარების საშუალებით ჩაატაროს მოსწავლეთა, მშობლებისა და მასწავლებლების გამოკითხვა. ასევე, სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე კათედრები კურიკულუმის შედგენისას ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, საჭიროებებსა და ასაკობრივ თავისებურებებს. მასწავლებლები იაზრებენ, რომ მოსწავლე სასწავლო პროცესის მთავარი სუბიექტია და მისი ჩართულობა კურიკულუმში კარგად დაგეგმილი სასწავლო პროცესის წინაპირობაა.
კომპლექსური დავალებების იდეებში, სადამრიგებლო პროგრამებში წარმოდგენილ თემებში იკითხება მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმს შეიმუშავებენ თანამშრომლობით, სასკოლო საზოგადოების წევრთა გამოკითხვა-ანალიზისა და გამოცდილების გაზიარების საფუძველზე. ამ პროცესს ხელს უწყობს წინასწარ დაგეგმილი შეხვედრები კათედრის წევრებთან და მშობლებთან. კომპლექსური დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა სწავლისა და პიროვნული ზრდის მხარდაჭერისთვის.
მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებას ადასტურებს ასევე მასწავლებელთა მიერ ინტერვიუს დროს მოწოდებული ინფორმაცია სკოლის ბაზაზე ჩატარებული პერიოდული გამოკითხვებისა და პროცესების მოკვლევის შესახებ, რომლის საფუძველზეც ხდება სკოლა ახდენს მშობელთა და მოსწავლეთა უკუკავშირის ანალიზს. მათი ინიციატივით სკოლაში ტარდება სხვადასხვა საგანმანათლებლო, სოციალური და კულტურული ღონისძიებები. შექმნილია ასევე კლუბები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საშუალო საფეხურზე აქტუალურია პროექტული სწავლება. სწავლების პროცესში მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით ჩართულია ტექნოლოგიები. სასწავლო გეგმებში კი გათვალისწინებულია სკოლის პრიორიტეტული მიმართულება - დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები.
საშუალო საფეხურზე კათედრების მიერ კურიკულუმებში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და პრიორიტეტები.
შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

საშუალო საფეხურის კურიკულუმები შემუშავებულია კათედრების ერთობლივი მუშაობის საფუძველზე. პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ თანამშრომლობითი კულტურა მათი ძლიერი მხარეა. ისინი კომპლექსურ დავალებებსა თუ სხვადასხვა აქტივობებს სწორედ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გეგმავენ. მასწავლებლები კურიკულუმების შემუშავებისას ეყრდნობიან წინარე გამოცდილებას, ითვალისწინებენ მშობელთა უკუკავშირსა და მოსწავლეთა შედეგების ანალიზს. კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები, ინტერესის სფერო და ისეა გაწერილი კომპლექსური დავალებების გრძელვადიანი მიზნები.
საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ კომპლექსური დავალების იდეები შეთანხმებულად შეირჩა, კლასის საჭიორებიდან გამომდინარე. ისინი დაეყრდნენ წინარე გამოცდილებას, გაითვალისწინეს მშობელთა უკუკავშირი, მოსწავლეთა შედეგების ანალიზი და თვითრეფლექსია.
საგნობრივ კათედრებზე ასევე ხდება განხორციელებული კურიკულუმის ანალიზი და ჩატარებული კომპლექსური დავალებების რეფლექსია. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს მონიტორინგის სრულყოფილი დოკუმენტის შექმნას და მეთოდოლოგიის დახვეწას.
**სკოლას მიეცა რჩევა, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესებში სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების აქტიურად ჩასართავად დაგეგმოს დამატებითი აქტივობები.**

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

დოკუმენტაციის გაცნობისა და მასწავლებელთან ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა, რომ სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი ელექტრონული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საკომუნიკაციო არხები:  ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, სოციალური მედია, საინფორმაციო დაფები და ა.შ.

პედაგოგების განცხადებით, ისინი კურიკულუმს განვიხილავენ, არგებენ მოსწავლეთა საჭიროებებს, განიხილავენ კათედრებზე და მნიშნელოვან ნიუანსებზე საუბრობენ პედაგოგიური საბჭოს სხდომაზეც. რაც შეეხება მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობას, მათთანაც აქვთ საჭიროებისამებრ ზეპირი ფორმით კომუნიკაცია და კომპლექსურ დავალებებზე ამახვილებენ ყურადღებას, უხსნიან რა ფორმით შეიძლება ჩაერთონ ისინი ამ პროცესში. სასწავლო წლის ბოლოს ტრადიციულად კათერებზე ხდება ანგარიშების წარდგენა, სადაც ასევე ხდება ყურადღების გამახვილება წარმატებულ და წარუმატებელ აქტივობებზე და გეგმავენ  ინტერვენციებს მომდევნო სასწავლო წლისთვის.

მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდების ერთ-ერთ მექნიზმად ასახელებენ მშობლებისთვის ბარათების გაგზავნას, რომლებშიც მოცემულია  ინფორმაცია სავალდებულო თემების, დაგეგმილი კომპლექსური დავალებების და შეფასების კრიტერიუმების შესახებ. სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის სკოლა ასევე იყენებენ ინდივიდუალურ შეხვედრებს, მშობელთა კრებებსა და სოციალურ მედიას. მიღებულ უკუკავშირს  კათედრის წევრები ითვალისწიენებენ კურიკულუმზე მუშაობის დროს. გასათვალისწინებელია ასევე, რომ სკოლას წინა წლების საგნობრივი კურიკულუმები ატვირთული აქვს სისტემაში, რომელზეც წვდომა აქვს ყველა მასწავლებელს.
შექმნილ კურიკულუმებს,  ფესტივალების მოწყობით და საერთო სასკოლო აქტივობებში  ჩართულობით, იზიარებს სასკოლო საზოგადოებაც. ამას ადასტურებს საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურუკულუმები,  ფესტივალის, სასკოლო პროექტების, შიდასასკოლო კონფერენციებში მონაწილეობისა და სხვა აქტივობების ამსახველი მასალები.

მომავალი წლიდან სკოლა გეგმავს ვებ გვერდის შექმნას, სადაც განათავსებს სასკოლო ცხოვრების ყველა დეტალს და საჯარო ინფორმაციას. ასევე, გეგმავენ სხვადასხვა საშუალებების(სოციალური მედიის, ელ. ფოსტის, ბეჭდვითი მასალების, საჯარო ღონისძიებების)  გამოყენებას.  რაც სასკოლო საზოგადოების კიდევ უფრო მეტ ჩართულობას უზრუნველყოფს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კათედრების სხდომის ოქმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- 2022- 23 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- 2022-29 წლის სტრატეგიული გეგმა;
- მასწავლებელთან ინტერვიუ;
- თვითშეფასების კითხვარი;
- საგნობრივი კურიკულუმები
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება
- კოლეჯ ,,აისთან" გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

**2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად ორიენტირებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. შემუშავებული კურიკულუმები ძირითადად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმის ჩარჩოს გაცნობისა და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ საშუალო საფეხურზე მასწავლებლებს აქვთ მზაობა დაგეგმონ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. საშუალო საფეხურზე უცხოური ენების კურიკულუმები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე - სამიზნე ცნებებზე. შედეგები განისაზღვრება მთლიანად სასწავლო კურსის ფარგლებში, შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განისაზღვრება მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის და საჭიროებების გათვალისწინებით. კურიკულუმის შემუშავებისას კათედრა ითვალისწინებს წინა წლების შედეგების ანალიზს, შემუშავებულ რეკომენდაციებს და პრობლემების გადაჭრის გზებს.
ფიზიკური აღზრდის კათედრის მიერ საშუალო საფეხურის 10-12 კლასის კურიკულუმებში, გაწერილია სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი კომლექსური დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკური განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლის და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე.
საშუალო საფეხურზე სკოლას აქვს სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული შეფასების ინსტრუმენტებისა და კომპლექსური დავალებების ბარათის შემუშვებისა და გამოყენების პრაქტიკა. მნიშვნელოვანია ის, რომ სკოლა გეგმავს მოსწავლეზე ორიენტირების პროცესისათვის გრძელვადიანი მიზნების მიღწევის გზა შუალედური მიზნებით ისე იყოს დაფარული, რომ სწავლა–სწავლების პროცესში ხორციელდებოდეს კომპლექსური დავალებების შესრულება. ამ თვალსაზრისით კათედრებზე არსებობს რა კომპლექსური დავალებების სწავლების კარგი პრაქტიკული გამოცდილება, კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეების რაოდენობიდან მკაფიო ხდება, რომ იგეგმება კომპლექსურის დანერგვა თითოეულ კლასში. მასწავლებლებთან ინტერვიუსას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე დაგეგმილი კომპლექსურებით უზრუნველყოფენ თემატური ბლოკის/თემის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნების დაფარვას საგნებში.
უნდა აღინიშნოს, რომ საშუალო საფეხურზე ხელოვნების სწავლება მიმდინარეობს სავალდებულო პროექტული სწავლების სახით. სკოლას 2022-2023 სასწავლო წელს პროექტი არჩეული ჰქონდა მუსიკის საგანში, მტკიცებულებების სახით წარმოდგენილია კურიკულუმის ჩარჩო და პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები. პროექტის მიზანი და შინაარსი ორიენტირებული იყო მოსწავლის ცხოვრებისეულ კონტექსტთან და პირად გამოცდილებაზე. ამიტომ შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ესთეტიკური კათედრის მიერ საშუალო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.
საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. კურიკულუმებში ასახულია აქტუალური, ნაცნობი თემები, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, კომპლექსური დავალებების პირობები, კონტექსტ მაგალითები და რესურსები. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმის ჩარჩოს გაცნობისა და მასწავლებლებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გასაუბრებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ საშუალო საფეხურზე მასწავლებლებს აქვთ მზაობა დაგეგმონ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, გლობალურ უნარებს და მაკრო ცნებებს. მასწავლებელთა მიერ შერჩეულია მიზნების შესაბამისი საკითხები. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, იცნობენ და კურიკულუმების შემუშავებისას იყენებენ საგნობრივ სტანდარტს.
კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები და სასაწავლო პროექტები ხელს უწყობს მოსწავლეებს, რომ ინტეგრირებულად და მიზნობრივად გამოიყენონ საკუთარი გამოცდილება ახალი ცოდნის და გლობალურ-ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, ეთიკა, პასუხისმგებლობა) გასავითარებლად.
საშუალო საფეხურზე სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში სწავლება მიმდინარეობს სავალდებულო პროექტული სწავლების სახით. სკოლას 2022-2023 სასწავლო წელს პროექტი არჩეული ჰქონდა მუსიკაში. კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა იმსჯელეს განხორციელებულ პროექტის შედეგიანობაზე, ინტერვიუზე გამოიკვეთა პროექტის შესაბამისობა საშუალო საფეხურის სტანდარტთან.
კურიკულუმებში გათვალისწინებულია ისეთი აქტივობები, რომლებიც მოსწავლეთა შემოქმედებითი და სხვა უნარების განვითარებას ემსახურება (ესეს, ნახატის, მაკეტის, პოსტერის შექმნა, ჯგუფური პრეზენტაცია, ბროშურების შექმნა) კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებისთვის ტარდება დისკუსიები, დებატები, თავისუფალი გაკვეთილები, სადაც მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი აზრის თავისუფლად დაფიქსირება; აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გეოგრაფიის კურიკულუმში საკმაოდ მრავალფეროვანი პროდუქტები იქნა წარმოდგენილი. მათ შორის, კომპლექსური დავალების იდეები. გაჟღერდა სასკოლო ტიპის კონფერენციის ჩატარების იდეაც, რისთვისაც შეიქმნება სასწავლო მეთოდოლოგიური რესურსი გზამკვლევის სახით, თუ როგორ უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს, როგორ გაუწიონ მიზნობრივი ფასილიტაცია მოსწავლეებს კომპლექსური დავალების ამა თუ იმ პროდუქტის შექმნაში და ა.შ.

საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია სამიზნე ცნებები, გრძელვადიანი მიზნები. შერჩეულია მიზნების შესაბამისი საკითხები. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, იცნობენ და იყენებენ საგნობრივ სტანდარტს კურიკულუმების შემუშავებისას და გამოიყენებენ მომავალში მათ დასახვეწად. კურიკულუმში წარმოდგენილი ზოგიერთი დავალებისთვის განსაზღვრულია მისაღწევი მიზნები ცნებების სახით. წარმოდგენილი დავალებებიდან და სადამრიგებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამიდან ჩანს, რომ მასწავლებლები ითვალისწინებენ ისეთი უნარების განგანვითარებას, როგორიცაა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაზრდა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარები. აღნიშნული დასტურდება მოსწავლეთა ნამუშევარებით და პრეზენტაციებით ბიოლოგიასა და ფიზიკაში. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია და წარიმართება მოსწავლის ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობების და საჭიროებების გათვალისწინებით. ეს დასტურდება როგორც ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით, რომლებშიც განსაზღვრულია გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები, ასევე კომპლექსური ბუნების დავალებებით, რომლებიც ისეა მორგებული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე, რომ მოსწავლემ შეძლოს გამოავლინოს მისი სასწავლო თუ პიროვნული პოტენციალი.
წარმოდგენილ კურიკულუმებში კარგად ჩანს, რომ სამიზნე ცნებაზე მუშაობისას მოსწავლეს აქვს არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა (ქვეცნებების საფუძველზე), საბოლოო პროდუქტიც მრავალფეროვანია. ამ მსჯელობას ამყარებს კათედრებთან ინტერვიუს დროს მასწავლებელთა მიერ სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის პროცესისა და მოსწავლეების მიღწევების აღწერა. მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში, სხვადასხვა აქტივობების დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, საჭიროებებს და იმის მიხედვით ახდენენ დავალების პირობის, აქტივობების მოდიფიცირებასა და დიფერენცირებას. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სკოლა გეგმავს სხვადასხვა აქტივობებს მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის მიზნით და შედეგებიდან გამომდინარე კურიკულუმის მოდიფიცირებას.
საშუალო საფეხურზე, პროექტული სწავლების ფარგლებში სკოლის მიერ შერჩეულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი. განხორციელებული პროექტის დამადასტურებელ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი ნაბიჯები გვაფიქრებინებს, რომ მოსწავლეს შეუძლია გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში, სხვადასხვა აქტივობების დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, საჭიროებებს და იმის მიხედვით ახდენენ დავალების პირობის/ აქტივობების მოდიფიცირებასა და დიფერენცირებას. ამ მიმართულებით ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის სასწავლო გეგმაში - ,,ინკლუზიური განათლება“ მკაფიოდაა გაწერილი მოსწავლეზე ორიენტირებული დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომების შინაარსი. ასევე, სკოლის 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნულია, რომ ,სკოლის სასწავლო პროცესი ეფუძნება ინკლუზიურობის პრინციპს, რომლის ფარგლებშიც სკოლა უზრუნველყოფს ხარისხიან განათლებას ყველასთვის თანატოლებთან ერთად, იმის მიუხედავად, თუ რა ფიზიკური, შემეცნებითი, სოციალური, ემოციური თუ სხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მახასიათებლები გააჩნიათ. ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს ეძლევათ შესაძლებლობა მოსწავლეებს შესთავაზონ სასწავლო მიზნებისა და საგნობრივი საკითხების/შინაარსების გააზრებისთვის მრავალფეროვანი სტრატეგიები და მეთოდები.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საშუალო საფეხურზე კათედრებს აქვთ მზაობა, გაამახვილონ ყურადღება და გაითვალისწინონ 2023-24 წლის კურიკულუმში დიფერენცირებული სწავლების პრინციპები. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ვლინდება, რომ საშუალო საფეხურზე, მასწავლებლები იყენებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტს. შეფასება ემსახურება სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას, პრობლემების იდენტიფიცირებას და მიღწევების შეფასებას. კათედრებს წარმოდგენილი აქვთ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. კათედრებს გააზრებული აქვთ განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის სრულყოფისთვის.
საშუალო საფეხურზე სკოლამ წარმოადგინა შეფასების რამდენიმე რუბრიკა, რომელიც ეყრდნობა სტანდარტით გათვალისწინებულ ინდიკატორებს. ასევე, კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებს აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომლის კრიტერიუმები გრძელვადიანი მიზნების - სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენებიდან გამომდინარეობს. მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სკოლას აქვს მზაობა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება წარმართოს სამიზნე ცნებებზე დაფუძნებით.
საშუალო საფეხურზე ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმები, რომლებშიც გაწერილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები. რუბრიკები კომპლექსური და შემაჯამებელი დავალების, გაკვეთილის, მოსწავლის თვითშეფასება, მრავალმხრივია და ვალიდურია, რაც საშუალებას იძლევა მოსწავლეების ცოდნა შეფასდეს ობიექტურად.
საშუალო საფეხურის სავალდებულო პროექტული სწავლება ფასდება განმავითარებელი შეფასებით. კათედრამ წარმოადგინა განმავითარებელი შეფასების წერილობითი კომენტარი, მიუხედავად იმისა, რომ ზოგადი ხასიათის იყო, კათედრასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა განმავითარებელი შეფასების მიზნობრიობა პროექტული სწავლების დროს. ასევე მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეების შეფასებას აწარმოებენ სამიზნე ცნებებთან მიმართებით. კათედრას გააზრებული აქვს შეფასება - სწავლის პროცესის გაუმჯობესებისათვის; შეფასება, როგორც თავად სწავლის პროცესი; მიღწევების შეფასება.
სკოლას მიეცა რჩევა, დაიხვეწოს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები და ჩაიშალოს თემების მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საშუალო საფეხურზე მასწავლებლები გეგმავენ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე იმუშაონ ამ მიმართულებით. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებისა და მასწავლებლებთან ინტერვიუზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან (ძველი და ახალი კურიკულუმის ჩარჩო) და კათედრის წევრებთან საუბრიდან იკვეთება, რომ კურიკულუმის დაგეგმვისას გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. მასწავლებლებმა გაითვალისწინეს ის საჭიროებები, რომელიც გამოიკვეთა წინა წლებში შემუშავებული კურიკულუმის და შეთავაზებული კომპლექსური დავალებების დანრგვის პროცესში. მათ ყურადღება გაამახვილეს ასევე ურთიერთდასწრებაზეც, რაც ეხმარებოდათ სწავლა-სწავლების ძლიერი და გასაუმჯობესებლი მხარეების გამოკვეთაში.
მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი აქტიურად არ იყვნენ ჩართულები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში. აქედან გამომდინარე, აკვირდებიან მოსწავლეთა სასწავლო პროცესსა და მიღწეულ შედეგებს, ეს კი საშუალებას აძლევს მათ მიღებულ გამოცდილებაზე/მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე/საჭიროებებსა და ინტერესებზე დაყრდნობით, დაგეგმონ სასწავლო პროცესი.
მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ასევე აღნიშნეს, რომ სასკოლო კურიკულუმის და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას და გამოწვევებს. წინარე გამოცდილების გათვალისწინებით დგება გადამუშავებული/რევიზირებული კურიკულუმი.
ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლა დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს წინარე გამოცდილების ანალიზს. შესაბამისად **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საშუალო საფეხურის კურიკულუმები
- სოლო ტაქსონომიის ნიმუშები
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მოსწავლეთა თვითმართველობა კვარტალური ანგარიში
- მულტიდისციპლინარული ჯგუფის დასკვნები
- სპეც-მასწავლებლის სამოქმედო გეგმები
- ისგ ჯგუფის სხდომის ოქმები
- სადამრიგებლო პროგრამები
- მასწავლებლებთან ინტერვიუ

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.2 კურიკულუმის განხორციელება**

**2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩო დოკუმენტში გაწერილი კომპლექსური დავალებები, მათი კონტექსტ-მაგალითები და რესურსები აძლევს მოსწავლეს საშუალებას ჩაერთოს აქტიურ შემოქმედებით პროცესში. წარმოდგენილ კომპლექსური დავალებების პირობებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეს აძლევს საშუალებას, იყოს არა მხოლოდ პროცესის მონაწილე, არამედ შემოქმედიც, რადგან კომპლექსური დავალების ფარგლებში მას უწევს პრობლემის გადაჭრა, ფიქრი, მსჯელობა და სხვადასხვა ტიპის პროდუქტის შექმნა.

გარდა კომპლექსური ტიპის დავალებებისა, მოსწავლეების აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის მიზნით სკოლაში ხორციელდება სასკოლო პროექტები, სპორტული ღონისძიებები, ფესტივალები, სადაც ჩართულია ყველა მოსწავლე და ინფორმირებული არიან მოსწავლეთა მშობლები. კათედრებთან ინტერვიუს დროს, მასწავლებლებმა იმსჯელეს კონკრეტულ მაგალითებზე (პროექტები (სოციალური/ სასწავლო/ ინტეგრირებული), აქტივობები).

მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა მოსწავლის მაღალი ავტონომიურობა და ჩართულობა. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სამომავლოდ სკოლა გეგმავს თვითმართველობის ინიციატივების წახალისებას.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სასკოლო და საკლასო გარემო არის ძალიან ხალისიანი, პოზიტიური, მოწესრიგებული, სასწავლო რესურსებით მდიდარი, რაც ქმნის მამოტივირებელ გარემოს, რომელსაც კარგად იყენებენ მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციისა და პიროვნული განვითარებისთვის. ამას მოწმობს მოსწავლეთა ნამუშევრებიც.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საშუალ საფეხურის კურიკულუმებში გათვალისწინებულია სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპები, რომელიც გულისხმობს ახალი ცოდნის აგებას წინარე ცოდნაზე დაშენებით. კურიკულუმებში შემოთავაზებულ კომპლექსურ დავალებებში და სასწავლო პროექტებში, ყოველი მომდევნო აქტივობა დაფუძნებულია წინა აქტივობაზე, რაც მოსწავლეს საშუალებას აძლევს გადაჭრას პრობლემა და შექმნას საინტერესო პროდუქტი მისთვის ნაცნობ კონტექსტში. ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ასევე იკვეთება კურიკულუმების ჩარჩოში დალაგებული საკითხებიდან და ქვესაკითხებიდან.
გარდა ამისა, წარმოდგენილ ჩარჩო კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალებების პირობები მოსწავლეს საშუალებას აძლევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით და.ა.შ. სკოლას კურიკულუმის ჩარჩოში ისე აქვს წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრილი თემა, თემის საკვანძო შეკითხვები, მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებების კონტექსტები, საკითხები თუ რესურსები, რომ მკაფიოა ახალი ცოდნის წინარე ცოდნაზე დაფუძნებით კონსტრუირების გახორციელების შესაძლებლობა. მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა მიერ საკლასო სივრცეში მიღებული ცოდნა ფართოდ იშლება სასკოლო პროექტებსა და არაფორმალურ აქტივობებში. სამომავლოდ, საშუალო საფეხურზე კათედრები გეგმავენ გააგრძელონ ამ კუთხით მუშაობა წარმატებული პრაქტიკის გამოყენებით.
ახალი მასალისა და ინფორმაციის დამუშავების პროცესში მასწავლებლებს გააზრებული აქვთ წინარე ცოდნის მნიშვნელობა.
წარმოდგენილი კურუკულუმით დასტურდება, რომ სკოლა ითვალისწინებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნებსა და რეკომენდაციებს. პედაგოგების მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებით ასევე დასტურდება წინარე ცოდნაზე ახალი ცოდნის დაშენება, რამდენადაც კოპლექსური დავალება უზრუნველყოფს კონსტრუქტივისტული პრინციპების დაცვას. შერჩეული კომპლექსური დავალებები ხორციელდება შესაბამისი რესურსებისა და აქტივობების საშუალებით, რაც ცხადყოფს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში ხორციელდება წინარე ცოდნაზე ახალი ცოდნის გაზიარება და და ამ ცოდნის რეალურ ცხოვრებში გამოყენება. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

საშუალო საფეხურზე კათედრების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლაში მხარდაჭერილია მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე. როცა მოსწავლე აანალიზებს შესრულებული დავალებას: მსჯელობს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რა შესრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება. წარმოდგენილი თემატური მატრიცა და კომპლექსური დავალების ნიმუშები, ამ თვალსაზრისით სასწავლო პროცესის შეფასების საშუალებას იძლევა. სასწავლო პროცესში, აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, მეტაკოგნიტური პროცესების განვითარებაზე, პერსონალური, სოციალური და სწავლის კომპეტენციების დახვეწაზე. წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები და სასაწავლო პროექტები საშუალებას იძლევა, მოსწავლემ თავად განსაზღვროს და დაგეგმოს აქტივობები, აწარმოოს საკუთარი სწავლის პროცესის მონიტორინგი. წახალისებულია მოსწავლის ცნობისმოყვარეობა და გათვალისწინებულია მისი ინდივიდუალური გამოცდილება. კურიკულუმებში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებულია ისეთი აქტივობები და კითხვები, რომელიც მოითხოვს მოსწავლის მხრიდან დაფიქრებას შესრულებულ სამუშაოზე.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრასთან ინტერვიურებით დგინდება, რომ სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში, აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ ჩვევებისა და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები, ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების, ორგანიზებულობის, თვითკონტროლისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება მოახდინონ საკუთარი მიღწევების ანალიზი, მათი ასაკობრივი ჭრილიდან გამომდინარე მოახდინონ მარტივი დაკვირვება, დაგეგმვა და პრაქტიკაში განხორციელება. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეები, სასკოლო პროექტები, სკოლის სოციალური ქსელზე(facebook) ატვირთული ღონისძიებების ამსახველი ნარატივები და ფოტომასალა ადასტურებს მოსწავლეთა ჩართულობას შემოქმედებით პროცესში(პროექტები(სოციალური/სასწავლო/ინტეგრირებული),აქტივობები). სასწავლო პროცესში წახალისებულია მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვასა და მონიტორინგს. ინდიკატორთან მიმართებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სკოლას საშუალო საფეხურზე აქვს ხედვა, როგორ შეიძლება უზრუნველყოს მოსწავლეებში სწავლის, მრავალფეროვანი სტრატეგიების დაუფლება.

წარმოდგენილი დოკუმენტებითა და ინტერვიურებისას აღწერილი პროცესების გათვალისწინებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლებაზე. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საშუალო საფეხურზე სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის ჩარჩო, რომელშიც გათვალისწინებულია კომპლექსური დავალებები. კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება კი თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ასევე აღნიშნეს, რომ ისინი მოსწავლეებს აძლევენ დავალებებს, სადაც მათ უწევთ ფაქტობრივი ცოდნის გამოყენება, მსჯელობა, ანალიზი და საკუთარი დასკვნების ჩამოყალიბება. ყურადღება ამახვილებენ აქტივობებში იმაზე, თუ როგორ უნდა გამოიყენონ მიღებული ცოდნა შემდგომ ცხოვრებისეულ სიტუაციებში.

საშუალო საფეხურზე კომპლექსურ დავალებათა პირობები გაწერილია იმგვარად, რომ მოსწავლეებს სძენს ფაქტობრივ ცოდნას ამა თუ იმ საკითხზე, აძლევს საშუალებას ეს ცოდნა წარმოაჩინონ დავალების შესრულების სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებულ აქტივობებში და კომპლექსური დავალების პროდუქტის შექმნისას განახორციელებენ მიღებული ცოდნის ტრანსფერს.

საშუალო საფეხურზე უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ პროგრამებში კომპლექსური დავალებები და პროექტული აქტივობები ისეა დაგეგმილი, რომ მოსწავლეები დეკლარაციული ცოდნიდან ეტაპობრივად გადადიან პროცედურულ და შემდეგ პირობისეულ ცოდნაზე. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სამომავლოდ გეგმავენ კომპლექსური დავალებებისა და პროექტების რაოდენობის გაზრდას.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კათედრის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კომპლექსურები დავალებები უზრუნველყოფს მოსწავლეებში სამიზნე ცნებების გააზრებას ცოდნის სამი კატეგორიის (დეკლარაციული, პროცედურული, პირობისეული) ჭრილში. კომპლექსური დავალების პროდუქტებიდან ნათლად ჩანს, რომ მოსწავლეები ფლობენ თეორიულ ცოდნას, ახდენენ მის რეალიზებას და პრაქტიკაში გამოყენებას(პროექტები(სოციალური/სასწავლო/ინტეგრირებული),აქტივობები).

ცოდნის სამივე კატეგორიას ეყრდნობა ასევე საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ საგნობრივი კურიკულუმში წარმოდგენილი მოსწავლეთა დავალებები, არაფორმალური აქტივობები, კომპლექსური დავავალებები და სხვა პროექტები. კომპლექსური დავალების ყველა პროდუქტი (პოსტერები, ინტერვიუ, ბუკლეტები, წერილები, მოდელები, მაკეტები , ელ.რესურსები, წერილები, დღიურები, თხზულებები, ინფოგრაფიკები, საჯარო გამოსვლები და სხვ.) ეყრდნობა ცოდნის სამივე კატეგორიას.

კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის წევრებმა ინტერვიუს დროს კი აღნიშნეს, რომ ისინი მოსწავლეებს აძლევენ დავალებებს, სადაც მათ უწევთ, ფაქტობრივი ცოდნის გამოყენება, ასევე მსჯელობა და ანალიზი. გარდა ამისა, აქტივობებში ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, თუ როგორ უნდა გამოიყენონ მიღებული ცოდნა შემდგომ ცხოვრებისეულ სიტუაციებში.

აღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**5.** სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

საშუალო საფეხურის კურიკულუმების თემატური დაგეგმვა, კომპლექსური დავალებები და მრავალფეროვანი აქტივობები გვიჩვენებს საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის რეალიზების გზას და არის ამავდროულად ის მთავარი კომპონენტი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. სწავლა-სწავლების პროცესი ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნის განვითარებაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, ახალი პროდუქტის შექმნაზე. გარდა ამისა, მოსწავლეები აქტიურად მუშაობენ სასწავლო პროექტებზე, რომლის ფარგლებში ხდება სხვადასხვა საგანში მიღებული ცოდნის ერთმანეთთან დაკავშირება და გამოყენება. საშუალო საფეხურზე მასწავლებლები გამოხატავენ მზაობას სასწავლო პროცესი დაგეგმონ ამ პრინციპების გათვალისწინებით და დაგეგმონ მეტი ინტეგრირებული გაკვეთილები და პროექტები.
საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა აცნობიერებს, რომ სწავლების თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, სწორედ ის საკვანძო ასპექტები თუ სტრუქტურულ ერთეულებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. იგი ყოველი განსაზღვრული თემით უზრუნველყოფს სასწავლი მასალის კავშირს მოსწავლის ცოდნასთან, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან. მიემართება მოსწავლეთა ფუნქციური უნარების გამომუშავებას, ორიენტირებულია მოსწავლეთა ცოდნის ტრანსფერზე რეალურ ცხოვრებაში და ქმნის მოსწავლის პიროვნული მოქმედების არეალს. საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ ჩარჩო კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, თემები/საკითხები/ კომპლექსური დავალებები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ნაცნობ კონტაქტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას და მოსწავლეთა ჩართულობას შემოქმედებით პროცესში. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ ხშირად იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა კათედრის მიერ ორგანიზებულ აქტივობებში და ცდილობენ საგანთა შორის კავშირები მიზნობრივი გახადონ სწავლა-სწავლების პროცესში.
ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- მასწავლებლებთან ინტერვიუ;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/ატივობები.

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტები, სადაც მართებულად არის გაწერილი თემების მიხედვით კომპლექსური დავალების იდეები, საგნის სამიზნე ცნებები. კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხები მიმართულია სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებისკენ. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემატურ ბლოკებს და საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას) შორის. შუალედური სასწავლო მიზნები (კომპლექსური დავალებები) აზუსტებს სამიზნე ცნებების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. სკოლის მიერ სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის რეალიზება მკაფიოდ იკითხება საშუალო საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიურებისას და კურიკულუმის ჩარჩოებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების იდეებიდან.

თვითშეფასების კითხვარისა და მათემატიკის მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს მიღებული ინფორმაციის ანალიზმა აჩვენა, რომ მათ მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. 2023-2024 სასწავლო წლიდან შუალედური სასწავლო მიზნები მკაფიოდ იქნება განსაზღვრული გრძელვადიან (საფეხურის) სასწავლო მიზნებზე. კურიკულუმის ჩარჩოები შემუშავებულია მესამე თაობის ესგ სტანდარტის შესაბამისად. ასევე შემუშავდება შეფასების რუბრიკები, რომელიც მოსწავლეს დაეხმარება გაითავისოს სამიზნე ცნება და მისი მკვიდრი წარმოდგენები საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

საშუალო საფეხურის უცხოური ენების კურიკულუმის ჩარჩოებში გამოკვეთილია სამიზნე ცნებები, რომელსაც მიემართება შერჩეული კომპლექსური დავალებები, წარმოდგენილია ქვეცნებათა და ქვესაკითხთა იერარქია, რომელთა ურთიერთდაკავშირებულად შესწავლის საფუძველზე მოსწავლე ქმნის მიზნობრივ მთლიანობას საბოლოო პროდუქტის სახით. სასწავლო წლის დასაწყისისთვის მასწავლებლები გეგმავენ კომპლექსური დავალების კრიტერიუმების გადახედვასა და დახვეწას, რაც მოსწავლეებს მისცემს განზოგადების საშუალებას და უზრუნველყოფს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

საშუალო საფეხურზე, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტები, სადაც მართებულად არის გაწერილი სტანდარტის შესაბამისად თემები, საგნის სამიზნე ცნებები. კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხები მიმართულია სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებისკენ. ბიოლოგიაში არ არის შეტანილი კომპლექსური დავალებები, თუმცა ინტერვიუს დროს პედაგოგმა აღნიშნა, რომ სწავლის დასაწყისში მოახდენს კომპლექსური დავალებების გაწერას თემებსა და საკითხებთან მიამრთებაში. ფიზიკასა და ქიმიაში წარომდგენილი აქვთ საშუალო საფეხურის კურიკულუმში კომპლექსური დავალებები; სკოლამ გამოთქვა მზაობა, რომ გააგრძელებენ კურიკულუმის განვითარებას ამ პრინციპით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა შესწავლისა და ინტერვიუების შედეგად დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობითა და გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ სწავლა-სწავლების პროცესში ყურადღება მახვილდება არა მხოლოდ მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე, არამედ მათ პიროვნულ და სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზე. მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა, ჩაერთოს აქტიურ შემოქმედებით პროცესში. იმსჯელოს, გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება, შეძლოს გუნდური მუშაობა, თანამშრომლობა, დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები. კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ მათ შესასრულებლად საჭირო აქტივობები ხელს შეუწყობს მოსწავლის პიროვნულ და სოციო-ემოციურ განვითარებას. ასევე, საშუალო საფეხურზე კლასის საათისათვს შერჩეული თემატიკა, კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული თემები და დავალებები ადასტურებს, რომ კათედრებს აქვთ მზაობა იმუშაონ ამ მიმართულებით და გაითვალისწინონ მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმების დაგეგმვისას.
ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის მიერ წარმოდგენილ კურილულემებში გაწერილ თემებზე დართულია ჰიპერლინკები, რომლებიც ასახავს სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს და ქართველი სპორტსმენების მიღწევებს. ასევე, მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ ფსიქო-ემოციურ კეთილდღეობას ხელს შეუწყობს მასწავლებლების მიერ დაგეგმილი მოსწავლეების შესაქმნელი პროექტები.
ესთეტიკური კათედრის საშუალო საფეხურის საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი ორიენტირები, თემები, კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შერჩეული თემები და კომპლექსური დავალებები მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ *სოციო*-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე მოსწავლეებს ნამუშევრის შექმნისას უწევთ თვითგამოხატვა, მუსიკალური ნაწარმოების მოსმენისას და მსჯელობისას უწევთ საკუთარი ემოციებზე, გრძნობებზე დამოკიდებულებებზე საუბარი.
წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

საშუალო საფეხურზე კომპლექსური დავალების ფორმაში მოცემულია შეფასების კრიტერიუმები, რომლიდანაც ნათლად ჩანს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერა. სკოლა იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმს, სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას.
საშუალო საფეხურზე უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების მასალები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი და ანგარიშები ადასტურებს, რომ ჰოლისტური შეფასების პრინციპები მეტწილად გათვალისწინებულია მოსწავლის შეფასებისას, ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და განუყოფელი ნაწილია მოსწავლის სასწავლო საქმიანობის. შეფასების მიზნები შეესაბამება მოსწავლეების საჭიროებებს, ეხმარება მათ განავითარონ ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები, რომლებიც მათ ცხოვრების მანძილზე დასჭირდებათ. კათედრას შემუშავებული აქვს ზოგადი სახის და კონკრეტულ დავალებაზე მორგებული შეფასების რუბრიკები, თუმცა, ახალი სასწავლო წლიდან, გეგმავენ მეტი ინტენსივობით გამოიყენონ ახალ ფორმატში შემუშავებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრასთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე ფიზიკურ აღზრდაში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიზანმიმართულად გამოიყენება. საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, საგაკვეთილო პროცესში საანსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება , სიტყვიერი კომენტარები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას.
მოცემული მტკიცებულებებისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესში შეფასება ორიენტირებული იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.
სკოლის მიერ მოწოდებული მასალებიდან ირკვევა, რომ მათ მიერ გამოყენებულია შეფასების ფორმების მრავალფეროვნება: ესსე, პროექტის მომზადება, ზეპირი გამოსვლა, წარმოდგენა, წერითი ნაშრომი არგუმენტირებული მსჯელობა,შესასვლელი და გასასვლელი ბარათები, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ბარათები, სიტყვიერი განმავითარებელი კომენტარი, მყისიერი უკუკავშირი და სხვ. ასევე, შერჩეული და შექმნილი შეფასების რუბრიკები ადასტურებს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობას. შესაბამისად, **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და გასაუბრებაზე დაყრდნობით აღვნიშნავთ, სკოლაში მოსწავლეთა შეფსება ხდება ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. მასწავლებლებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემუშავებული აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. იმისათვის რომ მოსწავლეებს ჰქონდეთ განცდა, რომ შეფასება არის გამჭვირვალე და ობიექტური, მათი აზრი გათვალისწინებულია შეფასების რუბრიკების შექმნაში. შეფასების ინდიკატორებს მასწავლებლები აცნობენ მოსწავლეებს და განიხილავენ მათთან ერთად. ამასთან ერთად, რუბრიკები გამოკრულია სასწავლო სივრცეში.
საშუალო საფეხურის მასწავლებლები თვლიან, რომ შეფასების კრიტერიუმები გაზიარებული უნდა იყოს სასკოლო საზოგადოების და სასკოლო თემის დაინტერესებული პირების მიერ. მოსწავლეებთან ერთად, ინფორმირებულნი უნდა იყვნენ მშობლები, რადგან შეფასების კრიტერიუმების ღიაობა და ობიქტურობა ხელს უწყობს სკოლას ამ მიმართულებით სანდოობის მაღალი ხარისხი ჰქონდეს. ამ მიმართულებით კათედრები გეგმავენ მომდევნო სასწავლო წლისთვის დამატებით შეიმუშაონ და დანერგონ შეფასების ახალი ინსტრუმენტები. იგეგმება კომპლექსური დავალებების შეფასების რუბრიკების შექმნა.
საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას შერჩეული აქვს სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი, რომლის საფუძველზეც ფასდება გრძელვადიანი სამიზნე ცნებების დამუშავების პროცესი, რაც შეფასების სისტემას კიდევ უფრო სანდოს და გამჭვირვალეს, ობიექტურს და სამართლიანს ხდის.
სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები იძლევა დასკვნის საშუალებას, რომ საშუალო საფეხურზე შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

სკოლაში მოქმედებს და სისტემატიურად მიმდინარეობს მუშაობა შეფასების ვერიფიკაციის ერთიანი მოდელის დასახვეწად. შეფასების პროცესის ვალიდურობის მიზნით სკოლაში იყენებენ სხვადასხვა საშუალებებს: მრავალფეროვან რუბრიკებს, შემაჯამებელი დავალებების ანალიზს, მასწავლებელთა და მოსწავლეთა რეფლექსიებს და უკუკავშირს. სკოლის ადმინისტრაცია ახორციელებს შეფასების პროცესების მონიტორინგს და დაკვირვების შედეგად ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა, მოქმედ სტანდარტებთან. საშუალო საფეხურის მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს კათედრებზე შემაჯამებელი დავალებების ანალიზის წარდგენაზე და განხილვაზე, შეფასების რუბრიკების შემუშავებაზე, თუ როგორ ხდება მოსწავლის პროგრესის დანახვა, რომელიც საშუალებას აძლევს მათ რეალურად გაზომონ მოსწავლის მიღწევის ანალიზი. ასევე აქტიურად ფუნქციონირებს ხარისხის ჯგუფი, რომელიც ახორციელებს გაკვეთილებზე დაკვირვებას, შეფასების მექანიზმების გამოყენების მონიტორინგის მიზნით. სკოლა მომავალში გეგმავს ვერიფიკაციის მექანიზმების დახვეწასა და განვითარებას.
სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და მასწავლებლებთან ინტერვიუზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ სკოლას აქვს მზაობა და პოტენციალი აღნიშნული მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები გადადგას. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სკოლა უზრუნველყოფს შეფასების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. (ელექტრონული ჟურნალი, შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების შეფასებები, მოსწავლეთა ნამუშევრები/ტესტები.) გარდა ამისა, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები, როგორიცაა: გასული წლის სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოს ოქმები, ჩატარებული გაკვეთილის შეფასებები, რეფლექსიები, გასულ წლებში ჩატარებული გაკვეთილის გეგმები და უკუკავშირები, აგრეთვე მოსწავლეთა პირადი საქმეები და მათში ასახული როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასებები ცხადყოფს, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საშუალო საფეხურის კურიკულუმები
- კომპლექსური დავალებები
- სოლო ტაქსონომიის ნიმუშები
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- მასწავლებლებთან ინტერვიუ
- მოსწავლეთა თვითმართველობა კვარტალური ანგარიში
- სასწავლო პორცესში გამოყენებული აქტივობები/მასალები.

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან ირკვევა,რომ სკოლაში შექმნილია კეთილგანწყობილი და უსაფრთხო გარემო თანამშრომლობითი და პოზიტიური კომუნიკაციისთვის. წახალისებული და მხარდაჭერილია მოსწავლეთა ინიციატივები. მოსწავლეები ჩართულები არიან სხვადასხვა აქტივობებისა თუ ღონისძიებების დაგეგმვის საკითხებში.

მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. სასკოლო საზოგადოებას აქვს გამოხატვის შესაძლებლობა და ქმნიან ნაყოფიერ სივრცეს თანამშრომლობითი და პოზიტიური კომუნიკაციისთვის სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. ამის დასტურია კათედრის წევრებს შორის თანამშრომლობა, მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლისა და მასწავლებლის თანამშრომლობითი ურთიერთობები.
მოსწავლეთა მხარდაჭერას უზრუნველყოფს ასევე შეფასების სისტემა და რესურსების თანაბარი ხელმისაწვდომობა საბაზო საფეხურის ყველა მოსწავლისთვის. წარმოდგენილი საგნობრივი კურუკულუმები, სკოლის სამოქმედო გეგმა, სასწავლო პროცესში გამოყენებული სტრატეგიები, საკლასო პროექტები და სხვა აქტივობები ორიენტირებული მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებზე. გარდა ამისა, სკოლა სამომავლოდ გეგმავს, შეიმუშავოს ახალი მოსწავლეების სკოლაში ინტეგრირების ეფექტური მექანიზმები.
ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს, მათ შესაძლებელობებს და ქმნის სივრცეს მათი პოტენციალის რეალიზებისთვის; ასევე ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის; ვლინდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და მონაწილეობა სკოლის განვითარებაში, რომელიც ეფუძნება გაზიარებულ პასუხისმგებლობას
ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეებზე. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები თუ განხორციელებული პროექტები, გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ინტერესებს, ფიზიკურ, ფსიქიკურ მახასიათებლებს, ემოციურ ინტელექტს. პედაგოგები აძლევენ მათ არჩევანის შესაძლებლობას და სთავაზობენ ინტერესების შესაბამის დავალებებს.
სასწავლო პროცესი მოსწავლეზე ორიენტირებულად წარიმართება. ამის მაგალითებია მოსწავლის ინტერესების შესაბამისი კომპლექსური დავალებების და პროექტების დაგეგმვა და განხორციელება. ასევე, არასაგაკვეთილო და კლასგარეშე აქტივობები. უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვას სახის სპორტულ ოლიმპიადებში, სასკოლო სპორტულ ფესტივალებში, რომლებიც მორგებული და ორიენტირებულია მოსწავლეების ინტერესებზე.
იმისათვის რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლეზე ორიენტირებულად, სკოლა იყენებს დიფერენცირებულ მიდგომებს. სკოლის მიზანია თითოეული მოსწავლის ჩართულობის გაზრდა საგაკვეთილო პროცესში და მოტივაციის ამაღლება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, დასტურდება, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური, მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგენული სასწავლო გარემო და სასწავლო პროცესი ნამდვილად წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან იკვეთება, რომ სკოლაში მაღალია თანამშრომლობითი კულტურა და გუნდური მუშაობის პრინციპი. როგორც საშუალო საფეხურის პედაგოგებმა აღნიშნეს, ისინი ინტენსიურად ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას. სკოლაში დანერგილია ,,კრიტიკული მეგობარის" პრაქტიკა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზების მიზნით მასწავლებლები დიდ ყურადღებას უთმობენ საგანთა შორის კავშირებს. ტარდება ინტეგრირებული და ურთიერთდასწრების გაკვეთილები, დისკუსიები, ჯგუფური პროექტები, პრეზენტაციები, შემეცნებითი და სპორტული აქტივობები.

ხშირად იმართება კათედრების შეხვედრები, რომელზეც იგეგმება და შემდეგ ხორციელდება სასკოლო პროექტები. თანამშრომლობის შედეგს წარმოადგენს ასევე საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები, მასში შემავალი აქტივობები, კომპლექსური დავალებები და შეფასების რუბრიკები.

საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესის აღწერისას, ჩანს სკოლაში დამკვიდრებული პედაგოგების ერთმანეთთან და სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობის გამოცდილება. მშობლებს, სხვა საგნის პედაგოგებსა და სამეურვეო საბჭოს აქვთ საშუალება გაეცნონ სკოლის სასწავლო პროცესში შემოთავაზებულ ინოვაციებსა და ახალ მეთოდებს. სასკოლო საზოგადოებას აქვს ინფორმაცია საშუალო საფეხურზე ჩატარებული სხვადასხვა აქტივობების შესახებ. სამომავლოდ სკოლა გეგმავს მშობლების კომპონენტის გაძლიერებასა და სასკოლო თემის ჩართულობას სკოლის განვითარებაში პროექტების გამოყენებით.

ყოველივე ზემოაღნიშნული გვაძლევს საშუალებას ჩავთვალოთ, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სკოლაში უზრუნველყოფილია კეთილგანწყობილი და პოზიტიური გარემო სკოლისა და კლასის დონეზე. სკოლა ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის თანამშრომლობით კავშირებს, რომელიც მოიცავს აკადემიურ და პიროვნულ ზრდას, ზრუნვას, პატივისცემას, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობას და მათ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. პოზიტიური კლიმატის უზრუნველსაყოფად, სასკოლო საზოგადოებაში ფუნქციები და მოვალეობები გადანაწილებულია თანაბრად. კოლეგებსა და მოსწავლეებთან, მათ შორის მშობლებთან სისტემატიურად ხდება პოზიტიური უკუკავშირის გაცვლა. მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ დაუყოვნებლივ რეაგირებენ სასკოლო საზოგადოების უკუკავშირზე.

სკოლაში თითოეული მოსწავლის ინიციატივა აღიარებული, მიღებული და წახალისებულია. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ იგეგმება და ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები და აქტივობები მიკუთვნებულობის გრძნობისა და თანამშრომლობითი უნარ-ჩვევების ჩამოსაყალიბებლად.

გარდა ამისა, სასკოლო საზოგადოების წევრები ერთობლივად ავითარებენ სასკოლო კურიკულუმს, გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებსა და არაფორმალური განათლების მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები. არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, თავისუფლად წარმოადგინონ დავალებები და იყვნენ მეტად თავდაჯერებულები. ამასთანავე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოსწავლეთა ნაშრომების შეფასებისას სკოლის მასწავლებლები იყენებენ ობიექტურ კრიტერიუმებს, ყურადღებას ამახვილებენ მოსწავლეთა წახალისების საშუალებებზე.

სკოლას შემუშავებული და თვალსაჩინო ადგილზე გამოკრული აქვს სკოლის შინაგანაწესი, რომელსაც დამრიგებლები აცნობენ მოსწავლეებს. საშუალო საფეხურის მოსწავლეების ჩართულობით ჩატარებული სოციალური/სასწავლო/ინტეგრირებული პროექტებითა და სხვა ღონისძიებებით ბავშვებს სხვადასხვა უნარის აღმოჩენის, საკუთარ ძალებში დარწმუნების, მეგობრების შეძენისა და თანატოლებთან ურთიერთობის საშუალება ეძლევათ.

შესაბამისად, დგინდება, რომ საშუალო საფეხურზე უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- 2022- 23 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- 2022-29 წლის სტრატეგიული გეგმა
- მასწავლებელთან ინტერვიუ
- სკოლის შინაგანაწესი და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სხვა მასალები
- ისგ ჯგუფის სხდომის ოქმები;
- მოდიფიცირებული კომპლექსური დავალებები
- სასწავლო პროექტები
- წახალისების ბრძანებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მულტიდისციპლინარული ჯგუფის დასკვნები;
- სპეცმასწავლებლის სამოქმედო გეგმები
- მოსწავლეთა თვითმართველობა კვარტალური ანგარიში
- სადამრიგებლო პროგრამები

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სკოლაში ეტაპოვრივად ხორციელდება კურიკულუმების მონიტორინგი. პედაგოგები თვითრეფლექსიის, კოლეგების ურთიერთშეფასებისა და კათედრებზე მსჯელობის საფუძველზე გამოკვეთენ საჭიროებებს, რასაც ითვალისწინებენ კურიკულუმის დაგეგმვისას.

სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის მართვის ჯგუფი, რომელიც ახორციელებს გაკვეთილებზე დასწრებას და მასწავლებელთა საჭიროებების იდენტიფიცირებას. მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ კათედრებზე აქვთ სწორი ხედვა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით. პედაგოგების განცხადებით, კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი, მონიტორინგი და შეფასება კი ამ პროცესის ნაწილია. შესაბამისად, 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს შეიმუშაოს სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომელშიც დეტალურად იქნება გაწერილი აღნიშნული პროცესის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები, მიზნები, ამოცანები, ვადები, ინდიკატორები და სხვა დეტალები.

გარდა ამისა, სასკოლო კურიკულუმების დანერგვის მონიტორინგისათვის სკოლის დირექცია აკვირდება სასწავლო პროცესს, თუ რამდენად სწორად და მიზანმიმიმართულად ხორციელდება დაგეგმილი კომპლექსური დავალებები. ამ მიზნით გამოყენებულია წინასწარ შემუშავებული დაკვირვების ფორმა. შეფასების ინდიკატორები შეესაბამება ესგ-ს სტანდარტს და არის გამჭვირვალე. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგის წარმოებისთვის მხარდაჭერის მიზნით სასწავლო პროცესზე დაკვირვება ხდება სისტემატიურად. დაკვირვება ხდება ფოკუსირებულად კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით.

სკოლას მიეცა რჩევა, შეიმუშაოს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზნები კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომელიც აისახება სკოლის მიერ წარმოებულ დოკუმენტაციაში, კათედრის ოქმებში, ანგარიშებში და დებულებებში.

ზემოთ აღნიშნულის თანახმად დგინდება, რომ სკოლა გამოხატავს მზაობას განახორციელოს მონიტორინგი და შეფასება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძელზე ირკვევა, რომ მონიტორინგისა და შეფასების საფუძველზე ხდება საჭიროებების გამოკვეთა, რაც ორიენტირებულია მოსწავლე-მასწავლებელთა მხარდაჭერაზე. მტკიცებულებებზე დაყრდნობით მასწავლებლებს შეუძლიათ შეაფასონ მოსწავლის სწავლის პროცესი, დაადგინონ ის სფეროები და უნარები, სადაც მოსწავლეს დახმარება სჭირდება, მისცენ უკუკავშირი და მიგნებების გათვალისწინებით დაგეგმონ სწავლის პროცესი. ასევე მასწავლებლებს და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებსაც, შეუძლით შეაფასონ საკუთარი მუშაობის პროცესი და მოძებნონ გამოსავალი გამოწვევებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების ძირითადი დანიშნულებაა სასკოლო საზოგადოების გაძლიერება, მხარდაჭერა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესება. გასაუბრების დროს მასწავლებლების მიერ აღინიშნა, რომ მუდმივად ადევნებენ თვალყურს სასწავლო პროცესს და აანალიზებენ რამდენად სწორად იყო დაგეგმილი პროცესი, შერჩეული რესურსები და აქტივობები ხელს უწყობს თუ არა საკითხების დამუშავებას, ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გააქტიურებას და იძლევა თუ არა ცოდნის კონსტრუირების საშუალებას. საშუალო საფეხურზე კათედრის წევრებს აქვთ ურთიერთდასწრების პრაქტიკა, რის შედეგადაც ისინი ახორციელებენ რეფლექსიას, უკუკავშირს, აანალიზებენ გამოკვეთილ პრობლემებს, უზიარებენ კოლეგებს და ერთობლივად გეგმავენ გაუჯობესების გზებს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ მიზნით სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერი ჯგუფიც.
აღნიშნულის გათალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე ირკვევა, რომ საშუალო საფეხურზე მასწავლებლებს გააზრებული აქვთ მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელობა სწავლა-სწავლების პროცესში. სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე პედაგოგები თვითრეფლექსიის, კოლეგების ურთიერთშეფასების და კათედრებზე მსჯელობის პროცესში ეძებენ გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის გზებს. მიღებულ შედეგებს და მიგნებებს ითვალისწინებენ მომავალში პროცესების უკეთ წარმართვისთვის.

სკოლას მიეცა რჩევა, გაითვალისწინოს მონიტორინგისა და შეფასების გაძლიერების მიზნით, სადიაგნოსტიკო კვლევაზე დაფუძნებული ანალიზის შედეგები და საჭიროებები.
სკოლა გეგმავს განახორციელოს მონიტორინგისა და შეფასების პროცესი და ანალიზში ასახოს კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განსაზღვროს ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის. ასევე, გაკვეთილებზე ურთიერთდაკვირვებითა და კრიტიკული მეგობრის საშუალებით სკოლა გეგმავს შეიმუშავოს პრიორიტეტული და სტრატეგიული ხედვა და ასახოს სამოქმედო გეგმასა და კურიკულუმებში.
დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- 2022- 23 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- 2022-29 წლის სტრატეგიული გეგმა
- საგნობრივი კურიკულუმები
- ხარისხის განვითარების ჯგუფის ოქმები
- კათედრის ოქმები
- ურთიერთდასწრების ფორმები
- მასწავლებლებთან ინტერვიუ

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თვითშეფასების კითხვარიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამომდინარე ,ირკვევა, რომ შეფასებისას იყენებენ მრავალფეროვან მეთოდებს-კითხვარებს, ინტერვიუებს სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან(მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი, სხვა დაინტერესებული პირი), რათა მიიღონ სრული და რეალური სურათი. მასწავლებელთა მიერ სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებულია ჰოლისტური შეფასების მიდგომები, სადაც მოსწავლეების ემოციურ-სოციალურ-კოგნიტურ უნარების შეფასება წარმოჩინდება საგანთა და თემებს შორის კავშირებით, პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით.
საშუალო საფეხურზე შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ფოკუსირებულია მოსწავლეთა მუდმივ განვითარებაზე. მისი უზრუნველყოფა ხდება მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებით. შეფასებისას კათედრა ეყრდნობა ისეთ წყაროებს როგორიცაა, კომპლექსური და შემაჯამებელი სამუშაოების შედეგები, მოსწავლეთა უკუკავშირი, დაკვირვება სასწავლო პროცესზე. მონაცემების მიხედვით კეთდება ანალიზი და კურიკულუმში ცვლილებების შეტანა. ახალი 2023-2024 სასწავლო წლისათვის სკოლა გეგმავს შეფასებისას კიდევ უფრო მეტი ყურადღება დაუთმოს განმავითარებელ შეფასებას.
საშუალო საფეხურის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები საჭიროებს დახვეწას. ფიზიკური აღზრდის პედაგოგთან ინტერვიუდან გამომდინარე ირკვევა, რომ საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენება სიტყვიერი კომენტარი, რომელიც მიმართულია მოსწავლის დადებითი მხარის წარმოსაჩენად და რჩევების ზუსტად და გასაგებად მიცემაში, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეების განვითარებას და სასწავლო პროცესის შედეგების გაუმჯობესებას.
სკოლას მიეცა რჩევა, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების გადამუშავების დროს და პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით, გამოიყენოს სადიაგნოსტიკო შეფასების ანალიზი.
სკოლას აქვს მზაობა, სასკოლო კურიკულუმების განვითარებასთან ერთად, შეიმუშაოს მრავალფეროვანი შეფასების მეთოდები. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით: მოსწავლეთა უკუკავშირის, კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებების შედეგების გათვალისწინებით. გარდა ამისა, სკოლა შეფასებისას ითვალისწინებს მოსწავლის სოციალურ და ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას, რომლის შესახებაც იღებს ინფორმაციას კლასის დამრიგებლისგან და მშობლისგან.
გამომდინარე იქიდან, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტის წინაპირობასა და ფაქტორებზე დაყრდნობით, სკოლას ეძლევა საშუალება მოსწავლის იდენთიფიცირება მოახდინოს მრავალი კუთხით. მოსწავლეზე სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად ხდება მოსწავლეთა შესაძლებლობების შესწავლა ყველა კონტექსტში და დადგენა, თუ რა მიმართულებით არიან ძლიერნი და რაში ჭირდებათ მეტი მხარდაჭერა. მასწავლებლები მოსწავლეებზე დაკვირვებას ახორციელებენ სხვადასხვა სიტუაციაში, იქნება ეს ფორმალური თუ არაფორმალური გარემო: სასკოლო ექსკურსიები, ლაშქრობა, შემეცნებითი გასვლები, სხვადასხვა კლუბებში და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წრეებში ჩართულობა და სხვა. მოსწავლეთა შესაძლებლობების დაზუსტების საშუალებით სკოლა ახორციელებს მათ საჭიროებაზე მორგებულ აქტივობებს.
საშუალო საფეხურზე მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ მომავალ სასწავლო წელს, კათედრები გეგმავენ გააგრძელონ შეფასების მექანიზმის დახვეწასა და განვითარებაზე მუშაობა. ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

მოსწავლეთა მიღწევების მონაცემების შესაგროვებლად, პედაგოგების მიერ გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალების ანალიზი, გაკვეთილზე დაკვირვება, რეფლექსია, მოსწავლეთა უკუკავშირი, განმავითარებელი კომენტარი. სკოლა სამომავლოდ აპირებს ისეთი მეთოდების გამოყენებას, როგორიცაა ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს ჯგუფი, ტესტირება. აღნიშნულის საფუძველზე მოხდება ინფორმაციის დამუშავება და დახარისხება, რაც საშუალებას მისცემს სკოლას შეფასების ჰოლისტური მიდგომებით დააბალანსოს და გამოკვეთოს თითოეული მეთოდის სუსტი და ძლიერი მხარეები. მასწავლებლებმა ინტერვიუზე აღნიშნეს, რომ საშუალო საფეხურის მოსწავლის შეფასებისას მასწავლებელი მხოლოდ მის შექმნილ პროდუქტს არ აკვირდება, ითვალისწინებენ მოსწავლის წინარე ცოდნას, ინტერესებს, ემოციებს, დამოკიდებულებას საკითხისა და საგნის მიმართ.
გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას აქვს შეფასებისას მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენების პრაქტიკა და მომავალში გეგმავს მის კიდევ უფრო დახვეწას, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

სკოლა ითვალისწინებს, რომ შეფასებისას მნიშვნელოვანია ხედვის პერსპექტივა, მოვლენის, სიტუაციის, ინდივიდის შესწავლისას მასზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება. ამას აგრეთვე ხელს უწყობს მშობლებთან, დამრიგებლებთან მჭიდრო კომუნიკაცია. საშუალო საფეხურზე პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლის მიმართ მულტიფაქტორულ მიდგომებს, რომელიც დიდ გავლენას ახდენს შედეგზე, მოსწავლის თვითშეფასებაზე და ავტონომიურობაზე. მოსწავლე ფასდება მრავალმხრივი უნარის გააზრების და შეფასების საშუალებით. რაც მოსწავლეზე მორგებული სასწავლო პროცესის უკეთ დაგეგმვის საფუძველს ქმნის. ეს ყოველივე კი ხელს უწყობს მოსწავლეს განივითაროს აკადემიური და პიროვნული უნარები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საშუალო საფეხურზე მოსწავლის თვითშეფასების ასამაღლებლად იყენებენ მამოტივირებელ შეფასებას, მშობლებთან წერილობით და ზეპირ უკუკავშირს მოსწავლის წარმატებასთან დაკავშირებით, ჯილდოებს, სიგელებს და სკოლის გვერდს.
გარდა ამისა, კათედრები მუშაობენ ისეთი შეფასების კრიტერიუმებებზე, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მოსწავლის წინაპირობები და პროგრესი, კერძოდ, საკლასო გარემო, მოსწავლის ინტერესები, ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, ინდივიდუალური შესაძლებლობები, ანუ, ყველა ის ფაქტორი, რომელმაც შეიძლება გარკვეული ზეგავლენა მოახდინოს სწავლა- სწავლების პროცესზე.
ირკვევა ,რომ სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა  შეფასება განახორციელოს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. შესაბამსიად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- 2022- 23 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- 2022-29 წლის სტრატეგიული გეგმა
- საშუალო საფეხურის კურიკულუმები
- სოლო ტაქსონომიის ნიმუშები
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- მასწავლებლებთან ინტერვიუ

შეფასება:
○ *გთხოვთ,  ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

### 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

სკოლას შემუშავებული აქვს სწორი ხედვა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით. სასწავლო წლის ბოლოს, საგნობრივი კათედრების მიერ ხდება წლის განმავლობაში განხორციელებული კურიკულუმის რევიზია და ანალიზი, რომლის ფარგლებშიც, მასწავლებლები, კათედრის წევრები, მშობლები და მოსწავლეები ერთად მსჯელობენ და განიხილავენ განვლილ სასწავლო წელს, განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებს, მათ ეტაპებს, საკითხებსა და შედეგებს. ამ მსჯელობის საშუალებით იგებენ, რომელმა მიდგომამ და მეთოდმა გაამართლა და რა საჭიროებს დახვეწას.
2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს შეიმუშაოს სასკოლო კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი.
სკოლას აქვს მზაობა შექმნას გარკვეული ტიპის მექანიზმი/საჭიროებათა პაკეტი, რომელიც ხელს შეუწყობს კურიკულუმის განვითარებას და მის მორგებას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და მოსწავლეთა საჭიროებებზე. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში მიმდინარე პროცესები ოთხ ეტაპად მიმდინარეობს: დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და გადასინჯვა. სასწავლო წლის დასაწყისში ახალი საგნობრივი კურიკულუმი იქმნება წინა წლის შედეგების ანალიზზე. მისი შედგენისას გათვალისწინებულია ის სირთულეები, რომელიც მის დანერგვის პროცესში შეიქმნა. სკოლა აგროვებს წინა წლის გამოცდილებას, ირჩევს სტრატეგიას ამ გამოცდილების გამოსაყენებლად სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად. აღნიშნული ხორციელდება სკოლის ადმინისტრაციის, მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების თანამონაწილეობით. სკოლის ბაზაზე აქტიურად ვლინდება კათედრების წევრთა შორის და სხვა საგნობრივ კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა, გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ერთობლივი ძიება.

მომდევნო სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს, ამ პროცესებს მისცეს დოკუმენტის სახე, რომელშიც დეტალურად იქნება გაწერილი, სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების ყველა ეტაპზე პასუხისმგებელი პირები და მათი ფუნქცია-მოვალეობანი. განხორციელდება მონიტორინგი და მოხდება მიღებული შედეგების შეფასება.

გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ არის მზაობა, პროცესების მონიტორინგისა და შედეგების ანალიზზე დაყრდნობით, კათედრებმა შეიმუშაოვონ კურიკულუმების გადამუშავებული ვერსიები და მიგნებები ასახონ გაამუშავებულ კურიკულუმებში.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- 2022- 23 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- 2022-29 წლის სტრატეგიული გეგმა
- საგნობრივი კურიკულუმები
- საავტორიზაციო განაცხადი
- მასწავლებლებთან ინტერვიუები

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

..............................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................

თარიღი 24.10.23

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: